დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 7 - 13 ოქტომბერი
N 42 1560
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# როგორც იქნა:

## საქართველოს კანონი

ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ 2-3



საქართველოს პრეზიდენტის სავარძელი ოფიციალურ ლგბტ აქტივისტს უკავია! 4

# ავღანეთში რად ვკვდებოდით?! 6

## თამაზ მოლაშვილი:



ღმერთი არ გაგიწყრეთ და ჩემი შვილის მკვლელებს ხმა არ მისცეთ! 10

„წყალსაც წაუღია ისეთი ამერიკა და ევროპა, თუ თქვენთვის მკვლელი დემოკრატიის შუქურაა!“

## ლალი მორომშკინა:



არჩევნებამდე 24 საათით ადრე – ყველანი ქუჩაში! 11-12



არასახელმწიფო გადატრიალება

# ბარემ, ყურებზეც გაიარეთ!

## მამუკა ფიფია:



ქართველობა „შინ ევროპაში“ კი არა, ღირსებით შინ – სახლებში, მშობლიურ კერებზე შეაბიჯებს! 15

## გია ყრუაშვილი:





გუბაზი ვანო მერაბიშვილმა გააბ...ზა (ცენზურა ჩვენია. რედ.) და მისივე აგენტია! 19



ელისაშვილი ხაზარაძეს თავდაყირა დაუდგა! 14

# ამდენ კუალიციას რა გახვეტავს? 13

## ლაზარე ჯორბენაძე:



გრიცკო სინამდვილეში გიორგი სანაიას მკვლელია თუ არა, ამის შესახებ ზუსტად იციან კახა თარგამაძემ და მისმა მოადგილემ, რომელიც დღევანდელი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრია!





20-21

ქოჩორაშვილმა ფაფარი აუშვა! 12



ბიძინა ივანიშვილის ფულებით გაზულუქებულ-გაყოყოჩებული ისევ ბიძინა ივანიშვილს შეუტრიალდი!

# საქართველოს კანონი

## ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ

**მუხლი 1. კანონის მიზანი**

ამ კანონის მიზანია ქალისა და მამაკაცის კავშირზე დაფუძნებული ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის მექანიზმების გაძლიერება.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ა) ქალი — *მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული მდედრობითი სქესის ადამიანი;* ბ) მამაკაცი — *მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული მამრობითი სქესის ადამიანი;* გ) ბიოლოგიური სქესი — *მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირებული სქესი.*

**მუხლი 3. ტერმინ „პოპულარიზაციის" განმარტება**

1. მიიჩნევა, რომ ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაცია/ქმედება მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, თუ, ობიექტური დამკვირვებლის აზრით, აღნიშნული ინფორმაცია/აღნიშნული ქმედება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას, ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატულ ურთიერთობას ან ინცესტს დადებითად ან/და მისაბაძად წარმოაჩენს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის/ქმედების შეფასებისას გაითვალისწინება ამ ინფორმაციის/ქმედების შინაარსი, ფორმა და სახე, მისი გავრცელების (მიწოდების)/განხორციელების ფორმა, მეთოდი, დრო და სივრცე, აგრეთვე ის ვითარება, რომელშიც იგი გავრცელდა (მიეწოდა სხვას)/განხორციელდა, და იმ პირთა წრე, რომელიც ამ ინფორმაციის—ქმედების ადრესატი აღმოჩნდა.

**მუხლი 4. ქორწინება**

1. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის კავშირის, როგორც ქორწინების რეგისტრირება ან/და სამართლებრივი აქტით ქორწინებად აღიარება დაუშვებელია. ერთი და იმავე 2 ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის ისეთ კავშირს, რომელიც საზღვარგარეთ რეგისტრირებულია ან/და აღიარებულია, როგორც ქორწინება, საქართველოში იურიდიული ძალა არა აქვს.

2. ქორწინების ალტერნატიული კავშირის რეგისტრირება ან/და სამართლებრივი აქტით აღიარება დაუშვებელია. საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ან/და აღიარებულ ასეთ კავშირს საქართველოში იურიდიული ძალა არ აქვს.

**მუხლი 5. შვილად აყვანა, მინდობით აღზრდა**

1. დაუშვებელია იმ ადამიანის მიერ არასრულწლოვნის შვილად აყვანა, რომელიც თავს არცერთ ბიოლოგიურ სქესს არ მიაკუთვნებს ან თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ანდა რომლის სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება.

2. დაუშვებელია იმ ადამიანისთვის არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად გადაცემა, რომელიც თავს არცერთ ბიოლოგიურ სქესს არ მიაკუთვნებს ან თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ან/და რომლის სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება.

**მუხლი 6. სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება**

ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენება დაუშვებელია.

**მუხლი 7. საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტში სქესის მითითება**

1. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება დაუშვებელია. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების ან/და დამატების შეტანის გზით მასში ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება დაუშვებელია. ამ აკრძალვებიდან გამონაკლისები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებთან არის დაკავშირებული, განისაზღვრება „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონით.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ან „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტში ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება დაუშვებელია. ამ აკრძალვიდან გამონაკლისები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე წარ-



*მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი არ მოაწერა კანონს* ***„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ",*** *ხელმოწერის უფლებამოსილება, კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე* ***შალვა პაპუაშვილზე*** *გადავიდა, რომელმაც 2024 წლის 3 ოქტომბერს ხელი მოაწერა საქართველოს კანონს* ***„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ".***

**ქორწინების ალტერნატიული კავშირის რეგისტრირება ან/და სამართლებრივი აქტით აღიარება დაუშვებელია! საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ან/და აღიარებულ ასეთ კავშირს საქართველოში იურიდიული ძალა არა აქვს!**

**სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება დაუშვებელია!**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



რატომ საუბრობენ საერთოდ **არჩევნების ლეგიტიმაციაზე,** როცა ამისთვის **მინიმალური საბაბიც კი არ არსებობს.**

„იმედინიუსი"

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



დასავლელ პარტნიორებს კი არ ვაკრიტიკებთ, **თავს და ქვეყანას ვიცავთ** — ის ნაბიჯები რომ გადაგვედგა, რასაც მოგვიწოდებდნენ, **ქვეყანა თავზე დაგვემხობოდა.**

„ინტერპრესნიუსი"

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**8000 წელი ღვინო იმისთვის არ გვიწურია,** რომ უსამშობლოებმა შეგვიბილწონ; **3000 წელი სახელმწიფო იმისთვის არ გვიშენებია,** რომ გარედან გვმართონ; **1700 წელი პირჯვარი იმიტომ არ გვიწერია,** რომ ახლა სხვა სალოცავისკენ მიგვატრიალონ. ამიტომ, **26 ოქტომბერს ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ** და კიდევ ერთხელ ერთ ქართულ ლაშქრად უნდა შევიკრათ **არა ხმლით, არამედ ხმით,** იმ ხმით, რომელიც ჩვენი რწმენის, ჩვენი თვითმყოფადობის, ჩვენი იდენტობის ყველა მტრისთვის **ავი მუსაიფი** იქნება.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**გიგლა ბარამიძე**
*ამერიკისმცოდნე, პროფესორი*



**2024 წლის 26 ოქტომბერი** ქართული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საეტაპო თარიღია!

**26 ოქტომბერი** ქართველი ერის ოცნების, სიკეთის, ერთიანობის, რწმენის, მშვიდობის, გამარჯვების დღე იქნება!

**26 ოქტომბერი,** მთელი თავისი მასშტაბურობით, ასევე იქცევა **ნაც**სექტანტიზმის, **ნაც**სიბოროტის, **ნაც**კაცთმოძულეობის, **ნაც**მოღალატეობის დასამარების თარიღად და ამავდროულად მათი გასამართლების **დღე-პირველად** და **დღე-უკანასკნელად!**

**თანამემამულენო, ქუდზე კაცი არჩევნებზე!**

**არა აგენტების რევოლუციურ პარპაშს!**

**ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენება დაუშვებელია!**

**ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს!**

მოშობილ შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობებთან არის დაკავშირებული, განისაზღვრება „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ იმ დოკუმენტში, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო გასცემს, შეიძლება მიეთითოს ადამიანის მხოლოდ ის ბიოლოგიური სქესი, რომელიც იმავე პუნქტებით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტშია მითითებული, ხოლო ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში — ის ბიოლოგიური სქესი, რომელიც მისი ვინაობის დამდგენ სხვა სათანადო დოკუმენტშია მითითებული.

4. დაუშვებელია საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ ისეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება ან/და უცხო ქვეყნის ისეთი სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რომელიც ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას გულისხმობს.

**მუხლი 8. განათლება**

დაუშვებელია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სააღმზრდელო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სააღმზრდელო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და იმავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.

**მუხლი 9. ინფორმაციის გავრცელება**

1. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ თავისი ეთერით ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. ეს აკრძალვა შემოქმედებითი ნაწარმოების მაუწყებლის ეთერში განთავსების შემთხვევაზე მოქმედებს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომ არ იქნეს დაშვებული ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ინტიმური ურთიერთობის ან ინცესტის ამსახველი სცენის მაუწყებლის ეთერით გავრცელება. ამ პუნქტით დადგენილი აკრძალვის დარღვევა მაუწყებელს არ შეერაცხება, თუ ის შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაზე ფაქტობრივ კონტროლს არ ახორციელებდა.

2. დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის მასთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელების გზით ისეთი ინფორმაციის *(მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების)* მიწოდება *(გაზიარება)* ან/და ისეთი ინფორმაციის *(მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების)* ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. არასრულწლოვნისთვის მასთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელების გზით ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში იგულისხმება ისეთი შემთხვევაც, როდესაც სუბიექტმა არასრულწლოვანი დაუშვა იმ ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული ინფორმაცია სიტყვიერად, ხმოვანი მოწყობილობით ან/და ვიზუალურად ვრცელდება, თუ აღნიშნულ სუბიექტს ამ არასრულწლოვნის ასეთ ტერიტორიაზე დაშვების შეზღუდვის უფლება და გონივრული შესაძლებლობა ჰქონდა.

3. დაუშვებელია ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. ამ აკრძალვის დარღვევა სუბიექტს არ შეერაცხება, თუ ის შესაბამისი რეკლამის გავრცელებაზე ფაქტობრივ კონტროლს არ ახორციელებდა.

**მუხლი 10. შეკრება, მანიფესტაციის ჩატარება**

დაუშვებელია საჯაროდ ისეთი შეკრება ან/და მანიფესტაციის ჩატარება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იგივე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.

**მუხლი 11. შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ბიოლოგიური სქესის ამსახველი შინაარსის მქონე სიტყვების გამოყენება**

ბათილია შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულების, შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გაცემული ნებისმიერი მითითების ან/და შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დადებული ნებისმიერი შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ბიოლოგიური სქესის ამსახველი შინაარსის ქონის გამო რომელიმე სიტყვის ან სიტყვათა ერთობლიობის გამოყენებისგან თავის შეკავებას გულისხმობს.

**მუხლი 12. ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე**

17 მაისი დადგენილია ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ.

**მუხლი 13. პასუხისმგებლობა**

ამ კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევა კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

**მუხლი 14. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

*2024 წლის*
*3 ოქტომბერი*



## კვირგვინოსნები

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



ბრძანება პოლიციელებს ავალდებულებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას **დაიცვან პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი.** დაუშვებელია, სამართალდამცველის ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ იყოს მიმართული **რომელიმე პოლიტიკური პარტიის საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*პარლამენტარი*



მოვუწოდებ ამერიკის საელჩოს — **დაიბრუნოს საკუთარი „ფეისბუქ“ გვერდის მართვის ფუნქცია ნაცმოძრაობისგან,** რომელმაც ამჯერად იერიში უკრაინის, მოლდოვის და სხვა ევროპულ დემოკრატიებზე მიიტანა, სადაც **ათეულობით პარტიაა აკრძალული!**

„ინტერპრესნიუსი“

**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*



დასავლეთიდან ზეწოლა გაგრძელდება იქამდე, **სანამ ექნებათ ცრუ ილუზია, რომ საქართველოში არეულობისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეძლებენ.** საქართველო არანაკლებ სჭირდება დასავლეთს, ვიდრე ჩვენ გვჭირდება დასავლეთი.

„აიპრესი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ჩვენი ქვეყანა იცავს ყველას უფლებას, მათ შორის **განსხვავებული სექსუალური ცხოვრების წესის** მქონე ადამიანების უფლებას. ევროპას კი არ აშორებს, მგონი, **ევროპის საწყის ფასეულობებთან აახლოებს საქართველოს ეს ჩვენი კანონები.** ის, რომ **სალომე ზურაბიშვილმა** ხელი ვერ მოაწერა ამ კანონს, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ **მას ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ ამოძრავებს.**

„იმედინიუსი“

# საქართველოს პრეზიდენტის სავარძელი ოფიციალურ ლგბტ აქტივისტს უკავია!

***როგორც მოსალოდნელი იყო, ე.წ. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ხელი არ მოაწერა კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ", რომელიც საქართველოში ლგბტ პროპაგანდას, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას, ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობას, ადამიანის სქესის შეცვლასა და მსგავს ნეოლიბერალურ სიბილწეებს კრძალავს.***

სალომე ზურაბიშვილი ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ და ოჯახურ ღირებულებათა დასაცავ კანონს ხელს რომ არ მოაწერდა, ეს საზოგადოების დიდი ნაწილისათვის საბოლოოდ მაშინ გახდა ცხადი, როცა ე.წ. პრეზიდენტი თბილისში **თავისივე საყვარლის მიერ მოკლული ცნობილი ტრანსგენდერის, ანუ ქალად გადაკეთებული მამაკაცის პანაშვიდზე თაიგულით ხელში მივიდა,** მანამდე კი მის მკვლელობას საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა და **მოკლული ლამის სამოქალაქო გმირად გამოაცხადა.**

ისიც ცხადი იყო, რომ ე.წ. პრეზიდენტი ოჯახური ღირებულებების დასაცავ კანონს მხოლოდ პოლიტიკური მოტივაციისა და უცხოელი პატრონებისაგან მიღებული დირექტივის გამო კი არა, პირადი მიზეზითაც არ მოაწერდა ხელს. **ვინც ზურაბიშვილის ბიოგრაფიას მეტნაკლებად მაინც იცნობს, ყველამ იცის, როგორია მისი დამოკიდებულება ოჯახური ღირებულებებისა და ოჯახის სიწმინდის მიმართ, თუმცა, აქ ამაზე საუბარსა და „ჭუჭყიანი საცვლების" გამოფენას ნამდვილად არ ვაპირებთ.**

მთავარია, რომ **ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს** პრეზიდენტის მაგივრად პარლამენტის თავმჯდომარემ მოაწერა ხელი და იგი ძალაში მიმდინარე წლის ბოლოს შევა!

მთავარია, რომ **„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ"** კანონის მიღებით, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნება აღასრულა!

მთავარია, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა ის, რასაც მისგან 2024 წლის 17 მაისს — ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს — საქართველოს ქუჩებში გამოსული მილიონზე მეტი ადამიანი მოითხოვდა!**

მთავარია, რომ **ქართველმა ხალხმა აწ უკვე ოფიციალურად გაიგო ის, რაც აქამდე არაოფიციალურად იცოდა** — საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში ოფიციალური ლგბტ აქტივისტი ზის!

დიახ, **სალომე ზურაბიშვილმა** ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონზე ხელის არმოწერით საბოლოოდ და ოფიციალურად დაადასტურა, რომ ლგბტ აქტივისტია, ხოლო კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ, რომლის ფაქტობრივ ლიდერად დღეს სწორედ **სალომე ზურაბიშვილი** გვევლინება, თავისი ლგბტ აქტივისტობა ოფიციალურად დაამოწმა ჯერ კიდევ 2021 წელს, როცა 15 ოპოზიციურმა პარტიამ ე.წ. ლგბტ მანიფესტს მოაწერა ხელი!

შესაბამისად, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში ასეთი ფაქტობრივი მოცემულობა გვაქვს: **ერთ მხარეს დგას პოლიტიკური ძალა, რომელმაც ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონი მიიღო, ხოლო მეორე მხარეს დგანან ლგბტ მემორანდუმზე ხელმომწერი პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონზე ხელის არმომწერი პრეზიდენტი ლიდერობს!**

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მკაფიოდ გამოკვეთილი და ცალსახაა საქართველოს ე.წ. საერთაშორისო პარტნიორების პოზიციაც, რომლებიც ქართველ ხალხს პირდაპირ ეუბნებიან — **თუ ხელისუფლებაში დატოვებთ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონი მიიღო, მაშინ საქართველოსათვის ევროკავშირის კარი საბოლოოდ დაიკეტება, მაგრამ, თუ ხელისუფლებაში მოიყვანთ პოლიტიკურ ძალებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლგბტ მემორანდუმს და ხმა არ მისცეს ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს, საქართველოსთვის ევროკავშირის კარი ფართოდ გაიღება!**

ესე იგი, საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი,** გერმანიის კანცლერი **ოლაფ შოლცი** და ევროკავშირის სხვა







## კვირგვინოსნები

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**საჯარო კეთილსინდისიერების ინდექსით** საქართველომ შეფასების 10-ბალიანი სისტემით 7,56 ქულა დაიმსახურა, რაც ნიშნავს **კორუფციის კონტროლის მაღალ დონეს ქვეყანაში, სახელმწიფოს კეთილსინდისიერი მმართველობის კარგ პრაქტიკას, სასამართლოს დამოუკიდებლობას და პრესის თავისუფლებას.** კეთილსინდისიერების რეიტინგში საქართველო უსწრებს **ევროკავშირის და ნატოს წევრ ჯამში 11 სახელმწიფოს** და ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა დანარჩენ ქვეყანას.

„იმედინიუსი"

**ზურაბ რურუა**
*„ქართული ოცნების"*



„ქართული ოცნების" გამარჯვების შემთხვევაში, **წინასწარ დაგეგმილია არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადება, აქციების მოწყობა.** ჩვენ გვინდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, **მშვიდობა შეინარჩუნოს და ჩვენს შიდა საქმეებში არავინ ერეოდეს.**

„საერთო გაზეთი"

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის" წევრი*



**სააკაშვილმა** ისე გაამწარა ხალხი, რომ **ბიძინა ივანიშვილი** მოიყვანა ხელისუფლებაში და **დღემდე ამ სიძულვილზე დგას „ქართული ოცნების" ძალაუფლება.**

არჩევანს ვაკეთებთ, **ვინ უფრო მეტად არ მოგვწონს, მიშა თუ ბიძინა.**

„აიპრესი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ოპოზიციური ძალების ხელისუფლებაში მოსვლა** ყველაზე მძიმე სიზმარშიც რომ დაუშვა, პირდაპირ არის დაკავშირებული **ქვეყანაში არეულობასთან, ომის დაწყებასთან.**

„იმედინიუსი"

# შოლცებისა და მაკრონების ევროკავშირში მხოლოდ ისეთი საქართველო სჭირდებათ, რომელიც ლგბტ დროშასააფრიალებს და ოჯახური ღირებულებების დაცვას კი არა, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს!




წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები ქართველ ხალხს არწმუნებენ, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასა და გეი-აღლუმების გამართვაზე გადის!

ევროკავშირის ელჩი **პაველ ჰერჩინსკი,** გერმანიის ელჩი **პეტერ ფიშერი,** საფრანგეთის ელჩი **შერაზ ბასრი** და სხვა წამყვანი ევროპული ქვეყნების ელჩები ქართველ საზოგადოებას უცხადებენ, რომ, **თუ საქართველოში ერთნაირსქესიანთა წყვილებს შვილის აყვანის უფლება არ ექნებათ და სახელმწიფო სქესის შეცვლის, ანუ ქალის — კაცად და კაცის ქალად გადაკეთების თავისუფლებას არ უზრუნველყოფს, საქართველომ ევროინტეგრაციაზე არც უნდა იოცნებოს!**

საერთოდ, ევროკავშირის საკვანძო სახელმწიფოები ნეოლიბერალურ მარაზმში ყელამდე რომ არიან ჩაფლული, ამაზე თუნდაც გერმანიის კანცლერ **ოლაფ შოლცის** მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებული განცხადება მეტყველებს — **საქართველო ანტი-ლგბტ კანონის მიღებით ევროპას დაშორდა!**

დიახ, **კანცლერი შოლცი,** რომლის პარტიამაც ევროკავშირის საპარლამენტო არჩევნებში კატასტროფული შედეგი აჩვენა და გერმანიის რეგიონულ საპარლამენტო არჩევნებშიც ფიასკო განიცადა, იმისათვის იცლის, რომ საქართველოში ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონის მიღება დაგმოს.

გერმანიის დიადი კანცლერები და მსოფლიო დონის პოლიტიკური მოღვაწეები — **კონრად ადენაუერი და ჰელმუტ კოლი,** ალბათ, საფლავში ტრიალებენ იმის გამო, რომ დღეს, ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებასა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პირობებში, გერმანიას კანცლერად — ლგბტ აქტივისტი **ოლაფ შოლცი,** საგარეო საქმეთა მინისტრად — ლგბტ აქტივისტი **ანალენა ბერბოკი,** ხოლო ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარედ გათხოვილი კაცი — **მიხაელ როთი** უზის!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **შოლცები და მაკრონები** პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ევროკავშირს არაფერში სჭირდება საქართველო, რომელიც ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის, ეროვნული ფასეულობების, მართლმადიდებლობისა და დედაეკლესიის ერთგულების დროშას აფრიალებს!

**შოლცებისა და მაკრონების** ევროკავშირში მხოლოდ ისეთი საქართველო სჭირდებათ, რომელიც ლგბტ დროშას ააფრიალებს და ოჯახური ღირებულებების დაცვას კი არა, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს!

თუმცა, კარგი ის არის, რომ **შოლცები და მაკრონები** ამ ყველაფერზე ღიად და დაუფარავად ლაპარაკობენ!

კი, **ეს ძალიან კარგია იმიტომ, რომ ქართველ ხალხს 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევანის გაკეთება არ გაუჭირდება და მარტივად გადაწყვეტს, მოიყვანოს თუ არა საქართველოს ხელისუფლებაში** კოლექტიური ნაცმოძრაობა, რომელმაც ლგბტ მემორანდუმს ხელი მოაწერა, ხოლო ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონს ხმა არ მისცა!

**2024 წლის 26 ოქტომბერს ან საქართველო და ქართველი ხალხი გაიმარჯვებენ, ან — ლგბტ ოპოზიცია და პრეზიდენტის სავარძელში მჯდომი ოფიციალური ლგბტ აქტივისტი სალომე ზურაბიშვილი!**

სხვა არჩევანი და ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს!

***ჯაბა ხუბუა***




# მოვიდნენ ხელისუფლებაში?

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



**რევოლუციური სცენარი** არსებობს, **სალომე ზურაბიშვილი** კოლექტიური ნაცმოძრაობის ლიდერია.

„რეზონანსი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



არცერთი ძალა **არ იქნება ერთპარტიული** მმართველი.

„რეზონანსი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მოსახლეობამ უნდა გააზროს **რეალური საფრთხე,** რომ, თუ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგო, **ომი გარდაუვალი იქნება საქართველოში** და ეს არ იქნება სამი ან ხუთდღიანი ომი. **ამ ომით აღიგვება საქართველოც, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც პირისაგან მიწისა** და ჩვენი ეთნოსები გაქრება... ამიტომაც უმთავრესი სწორედ ეს არჩევანია — **ომი ან მშვიდობა!**

„საერთო გაზეთი“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ჩვენ არავის ვალი არ გვაქვს.** ჩვენ არავისთან არ გვაქვს გასაუმჯობესებელი ურთიერთობა. **საქართველომ 30 წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ ყველასთვის უერთგულესი პარტნიორია.** საქართველოს ურთიერთობა გადასატვირთი არავისთან აქვს.

„ახალი თაობა“

**ეკა ბესელია**
*პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



მგონია, რომ არჩევნების წინ შეაჩერებენ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის მოქმედებას და ამას დაუკავშირებენ ხელისუფლების კეთილ ნებას.

„პალიტრანიუსი“

# ავღანეთში რად

*ავღანეთში რად ვკვდებოდით?! — ეს* ***კითხვა დღევანდელ საქართველოში სულ უფრო აქტუალური ხდება, რადგან ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის, უბრალოდ, გამაოგნებელია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის სადამსჯელო, ცინიკური და დამამცირებელი დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოს მიმართ.***

**ავღანეთში რად ვკვდებოდით?!** — ამ კითხვას დღეს კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით სვამენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ ნატოს ე.წ. სამშვიდობო მისიის ეგიდით ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის ყოფნა არასწორი იყო.

**ავღანეთში რად ვკვდებოდით?!** — ამ კითხვას დღეს იმ ადამიანების დიდი ნაწილიც სვამს, რომელიც თავის დროზე იწონებდა და ეთანხმებოდა ნატოს ე.წ. სამშვიდობო მისიის ეგიდით ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის ყოფნას.

**ავღანეთში რად ვკვდებოდით?!** — დღეს ამ კითხვამ რიტორიკული ხასიათი შეიძინა, რადგან საქართველოსადმი აშშ-ის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ დიდ მსხვერპლს, რომელიც პატარა საქართველომ ნატოს ე.წ. სამშვიდობო მისიის ეგიდით ავღანეთში გაიღო, არც ამერიკისათვის და არც მთლიანად ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის ჩალის ფასიც არ ჰქონია.

არადა, 17 წლის განმავლობაში, **2004-დან 2021 წლის ჩათვლით, ავღანეთში, ამერიკული დროშის ქვეშ, 20 000-ზე მეტმა ქართველმა ჯარისკაცმა იმსახურა.** ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველოს ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი ჰყავდა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ნატოს წევრ არცერთ სახელმწიფოს ავღანეთში იმდენი ჯარისკაცი არ ჰყოლია, რამდენიც ერთმა ციცქნა საქართველომ წარგზავნა.

პირდაპირ რომ ვთქვათ, **აშშ-ისა და ნატოს მიერ ავღანეთში განხორციელებულ მისიებში, რომელთაგან ერთს „უსაფრთხოების ხელშემწყობის საერთაშორისო ძალები ერქვა", ხოლო მეორეს — „მტკიცე მხარდაჭერა", პატარა საქართველომ უპრეცედენტო წვლილი შეიტანა და 32 ჯარისკაცის სიცოცხლე შესწირა.**

ჯერ კოსოვოში, მერე ერაყში და ბოლოს ავღანეთში ნატოს დროშის ქვეშ მებრძოლ, დაღუპულ, დაჭრილ და დასახიჩრებულ ქართველ ჯარისკაცებს სწამდათ, რომ უცხო მიწაზე სამშობლოს ინტერესებს იცავდნენ; სჯეროდათ, რომ საერთაშორისო პარტნიორებისადმი ძლიერი ერთგულება საქართველოს სათანადოდ დაუფასდებოდა; იმედოვნებდნენ, რომ საერთაშორისო მისიებში მათი თავდადებული სამსახურის შედეგი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მიღება და ქართული სახელმწიფოსათვის უსაფრთხოების ქოლგის გადაფარება იქნებოდა.

კი, სწორედ ამ რწმენითა და იმედით დატოვეს ავღანეთის ხრიოკ მიწაზე თავიანთი სიცოცხლე პოლკოვნიკმა **რამაზ გოგიაშვილმა,** ლეიტენანტმა **მუხრან შუკვანმა,** სერჟანტმა **დავით ცეცხლაძემ,** კაპრალმა **ნუგზარ კალანდაძემ,** კაპრალმა **გიორგი კოლხიტაშვილმა,** კაპრალმა **გიორგი ავალიანმა,** კაპრალმა **ვალერი ვერსკიანმა,** უმცროსმა სერჟანტმა **ლავროსი ივანიაძემ,** რიგითმა **გია გოგუაძემ,** სერჟანტმა **რეზო ბერიძემ,** კაპრალმა **ბესიკ ნინიაშვილმა,** კაპრალმა **შალვა ფაილოძემ,** კაპრალმა **ვალიკო ბერაიამ,** კაპრალმა **რუსლან მელაძემ,** კაპრალმა **პაატა კაჭარავამ,** სერჟანტმა **ვალერიან ხუჯაძემ,** კაპრალმა **გივი ფანცულაიამ,** კაპრალმა **მინდია აბაშიძემ,** სერჟანტმა **გიორგი კიკაძემ,** უმცროსმა სერჟანტმა **ზვიად დავითაძემ,** კაპრალმა **ალექსანდრე კვიწინაძემ,** კაპრალმა **ვლადიმერ შანავამ,** კაპრალმა **თეიმურაზ ორთავიძემ,** კაპრალმა **გიორგი ადამოვამ,** პირველი კლასის რიგითმა **ზურაბ გურგენაშვილმა,** რიგითმა **მიხეილ ნარინდოშვილმა,** რიგითმა **ბორის ჩუგოშვილმა,** პირველი კლასის რიგითმა **ზვიად სულხანიშვილმა,** პირველი კლასის რიგითმა **გიორგი ლუჰაშვილმა,** კაპრალმა **რამაზ დავითაიამ,** პირველი კლასის რიგითმა **ვასილ ყულჯანიშვილმა** და უმცროსმა სერჟანტმა **მდინარი ბებიაშვილმა.**

ქართველი ჯარისკაცების სისხლი, რომელიც ავღანეთში და-



ავღანეთში დაღუპული ქართველი

## ავღანეთში იმისთვის არ ვკვდებოდით,

### აშშ-ის ხელისუფლებას საქართველოსგან სრული მორჩილება და უუფლებო კოლონიის როლში ყოფნა მოეთხოვა!

## კვირგვინოსნები

**გიორგი ახვლედიანი**
*მედიაპოლიტიკის ექსპერტი*



2020 წლის შემდეგ **„ოცნება" დაიწურა, გასუფთავდა და ჩამოყალიბდა ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებულ ძალად.** „ოცნებაში" მანამდე მართლა იყო **გრანტებზე გაზრდილი ჩუგოშვილების მსგავსი პოლიტიკური აქტორები,** რომლებიც მუდმივად ცდილობდნენ, რომ **საკუთარი პატრონებისთვის ესიამოვნებინათ** და არა ქართველი ხალხის პოზიციები დაეცვათ.

„საქართველოს რესპუბლიკა"

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თავდაცვის პოლიტოლოგი*



**აი, კობახიძეს მოსაწვევი გაუუქმეს, აი, თითი დაუქნიესო** — უხარიათ რადიკალებს, მაგრამ კიდევ კარგი, რომ დღეს სახელმწიფოს მართავს ის ხალხი, რომელსაც **ასეთი იაფფასიანი ფეხის დადებით, უკნიდან მიპარვით და ყადაღა-სანქციებით ვერ შეაშინებ.**

„საერთო გაზეთი"

**მაია ნიკოლეიშვილი**
*საერთაშორისო სამართლის ექსპერტი*



რა გვჭირს ქართველებს, **რატომ გვგონია, რომ ევროპელები ვართ? ჩვენ ხომ კავკასიაში ვართ, ხალხნო.** ვიშვიშებენ: **ვიღუპებით, ევროპას ვშორდებითო.** არაფერსაც არ ვშორდებით, **სადაც ვიყავით — სამხრეთ კავკასიაში, ისევ იქ ვართ.**

„საერთო გაზეთი"

**რობინ დანიგანი**
*აშშ-ის ელჩი საქართველოში*



**ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებში სამართლიანი არჩევნები ჩატარდება** და მოვლენ ხელისუფლებები, რომლებიც ხალხის ნებასა და სურვილს ასახავენ — **ვიმედოვნებ, ქართველ ამომრჩეველს ეცოდინება, რას აძლევს ხმას.**

„ინტერპრესნიუსი"

# ვკვდებოდით?!




## ავღანეთში იმისთვის არ ვკვდებოდით,

**ამერიკამ და ევროკავშირმა საქართველო თავისი სამშვიდობო პოლიტიკის გამო სანქციებით დასაჯონ და ე.წ. მაიდნის, ანუ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა დაუპირონ!**

იღვარა, სულ მცირე, იმის გარანტია მაინც უნდა ყოფილიყო, რომ აშშ და ნატოს წევრი სხვა დიდი სახელმწიფოები საქართველოს ღირსეულ პარტნიორად ჩათვლიდნენ და არა — კოლონიად, სახარჯ მასალად და საზარბაზნე ხორცად!

თუმცა, საკმარისი იყო, საქართველოს სუვერენიტეტის ელემენტარული ნიშნები გამოემჟღავნებინა, კოლექტიური დასავლეთის ინტერესებზე მაღლა საკუთარი ეროვნული ინტერესები დაეყენებინა და სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობის ტოლფასი ნაბიჯების გადადგმაზე უარი ეთქვა, ე.წ. საერთაშორისო პარტნიორებმა მაშინვე ქართული სახელმწიფოს ჯიჯგნა დაიწყეს.

**თურმე, საქართველოს იმის უფლებაც არ ჰქონია, ომსა და მშვიდობას შორის არჩევანი მშვიდობის სასარგებლოდ გააკეთოს, პრაგმატული პოლიტიკა აწარმოოს და რუსულ ტანკს მუხლუხოში არ შეუვარდეს!**

**ქართულ სახელმწიფოს არც იმის უფლება ჰქონია,** უცხოური გავლენის გამჭვირვალობა დააკანონოს და **კოლექტიურ ლომჯარია-გიგაურს** წელიწადში ერთხელ ფინანსური დეკლარაციის შევსება მოსთხოვოს!

თქვენ წარმოიდგინეთ, **საქართველოს არც იმის უფლება ჰქონია, ოჯახური ღირებულებების დასაცავი კანონი მიიღოს და ბავშვები ლგბტ პროპაგანდის მავნე ზეგავლენისაგან დაიზღვიოს!**

თურმე, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ კოლექტიურ დასავლეთს საქართველო ღირსეულ პარტნიორად და მეგობრად კი არა, საომარ პოლიგონად და თავიანთი გავლენის აგენტურის სათარეშო ტერიტორიად ნდომებიათ, სადაც ქრისტიანული, ეროვნული, ტრადიციული ღირებულებები ლგბტ ცხოვრების წესითა და სხვა ნეოლიბერალური სიბილწეებით უნდა ჩაანაცვლონ!

**დღეს ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს სწორედ ამიტომ უჩნდება კითხვა — ავღანეთში რად ვკვდებოდით?!**

ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს ამ კითხვაზე პასუხიც გააჩნია:

**ავღანეთში იმისთვის არ ვკვდებოდით, რომ აშშ-ის ხელისუფლებას საქართველოსგან სრული მორჩილება და უუფლებო კოლონიის როლში ყოფნა მოეთხოვა!**

**ავღანეთში იმისთვის არ ვკვდებოდით,** რომ ამერიკამ და ევროკავშირმა საქართველო თავისი სამშვიდობო პოლიტიკის გამო სანქციებით დასაჯონ და ე.წ. მაიდნის, ანუ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა დაუპირონ!

**ავღანეთში იმისთვის არ ვკვდებოდით,** რომ ამერიკასა და ევროკავშირს ქართველი ხალხისათვის ეკადრებინათ — თუ ხელისუფლებაში მკვლელებს, მწამებლებსა და გამაუპატიურებლებს არ დააბრუნებთ და ლგბტ დროშას არ ააფრიალებთ, საერთაშორისო იზოლაციაში მოგაქცევთო!

**თუმცა, იმ ფონზე, როცა ბაიდენის ამერიკა ავღანეთიდან სამარცხვინოდ გამოიქცა და ავღანელი ხალხი კვლავ თალიბების ხელში ჩააგდო, არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამერიკული და ევროპული პოლიტ-ელიტისათვის კოლექტიური ლომჯარია-გიგაური ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე ავღანეთში ნატოს დროშის ქვეშ დაღუპული 32 ქართველი ჯარისკაცი!**

ამიტომაც სვამს დღეს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი რიტორიკულ კითხვას — **ავღანეთში რად ვკვდებოდით?!**

დღევანდელივით მკაფიო და ცალსახა არასოდეს ყოფილა, რომ **ავღანეთში არ უნდა მოვმკვდარიყავით!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**პაატა ნაცვლიშვილი**
*ჟურნალისტი*



გინდა ბარბაროსნი იყვნენ,
გინდა **არიელები,**
გინდა ძველი ბერძნები და
მათი **ორეულები,**
ხვალ იქნება უეჭველად
დიდი **არეულობა,**
არც ვანგები უნდა ამას
და არც **ორუელები.**

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: **1. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი; 2. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარადგენს საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია.** შესაბამისად, თუ ოფიციალურად პრემიერის კანდიდატურის არც შერჩევაში, არც წარდგენაში შეუძლია მონაწილეობა და ამ პროცესში დეკლარირებულად არაოფიციალურად მონაწილეობს, გამოდის, რომ **არაფორმალურ მმართველად ჩამოყალიბებულა ქალბატონი პრეზიდენტი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ფრანცისკე**
*რომის პაპი*



მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას, **ხელი შეუწყოს შურისძიების სპირალის დასრულებას და სხვა თავდასხმების შეწყვეტას,** რამაც ახლო აღმოსავლეთი, შესაძლოა, კიდევ უფრო დიდ ომში ჩაძიროს. „ინტერპრესნიუსი“

**ანტონიო გუტერეში**
*გაეროს გენერალური მდივანი*



**მძევლების გათავისუფლების დროა, იარაღის გაჩუმების დროა, იმ ტანჯვის შეწყვეტის დროა,** რომელმაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცვა — მშვიდობის, კანონის და სამართლის დროა.

„ინტერპრესნიუსი“

**ალექსანდრე წულაძე**
*განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*



**განათლება ქმნის ქვეყნის მომავალს** და მჯერა, ჩვენი თავდადებით, შრომითა და პასუხისმგებლობით, სწორი სვლით შევძლებთ, **უზრუნველვყოთ საქართველოს უკეთესი მომავალი.**

„რეზონანსი“

# რაჟდენის დარტყმამ თავად ხელისუფლება შეაქანა!

*„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „რაჟდენის დარტყმა“ — იმის შესახებ ვწერდით, რომ საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ, რომელსაც რაჟდენ კუპრაშვილი ხელმძღვანელობს, ეკა გიგაურისა და ხათუნა ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტების სტატუსი მიანიჭა და დაავალდებულა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონს დაქვემდებარებოდნენ.*




**გიგაურისა და ლაგაზიძის** ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც, რეალურად, პოლიტიკური საქმიანობით არიან დაკავებული და **კოლექტიური ნაცმოძრაობის** მხარდამჭერ საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ, **რაჟდენ კუპრაშვილისა** და მისი ბიუროს სრულიად კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების შესაბამისად, საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული საბანკო რეკვიზიტებისა და ფინანსური ანგარიშების გასაჯაროება დაევალათ.

რაც მთავარია, **ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილების შედეგად გიგაურისა და ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო კამპანიას „მიუკერძოებელი სუბიექტის“ სტატუსით ველარ წარმართავდნენ და „ნეიტრალური დამკვირვებლის“ მანტიას ვერ მოისხამდნენ.**

თუმცა, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ აბსოლუტურად საფუძვლიანი და მართებული გადაწყვეტილების მიღებიდან სულ რამდენიმე დღეში, **საქართველოს ხელისუფლებამ უკან დაიხია და რაჟდენ კუპრაშვილს მოუწოდა, გიგაურისა და ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის სტატუსი გაეუქმებინა.**

კერძოდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** 2024 წლის 1 ოქტომბერს თავის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომლის მოკლე შინაარსიც ასეთია: **ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება, სამართლებრივი თვალსაზრისით, აბსოლუტურად დასაბუთებული და სწორია, მაგრამ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, გიგაურისა და ლაგაზიძის ორგანიზაციებს გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტის სტატუსი მოეხსნათ!**

როგორც **პრემიერი კობახიძე** წერს, უცხოური დაფინანსებით მოქმედი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება საქართველოს კონსტიტუციას, სახელმწიფო სუვერენიტეტსა და დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ისინი არჩევნების შედეგებზე გავლენას მაინც ვერ მოახდენენ, რადგან ქართველი საზოგადოების თვალში რეპუტაცია შელახული აქვთ და ხალხის ნდობა არ გააჩნიათ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით და კიდევ იმის გამო, რომ გარე ძალებს, ანუ კოლექტიური ნაცმოძრაობის უცხოელ პატრონებს 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ზედმეტი მანიპულაციებისა და სპეკულაციების საბაბი არ მიეცეთ, **მთავრობის მეთაურმა ანტიკორუფციულ ბიუროს გადაწყვეტილების შეცვლისაკენ მოუწოდა.**

პრემიერ-მინისტრის მოწოდებას **რაჟდენ კუპრაშვილი** ოპერატიულად გამოეხმაურა და **გიგაურისა და ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტის სტატუსი მოუხსნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი კოლექტიური ნაცმოძრაობის სასარგებლო კამპანიას გააგრძელებენ და არჩევნებსაც „მიუკერძოებელი ორგანიზაციების“ ამპლუაში დააკვირდებიან.**

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ პრემიერ-მინისტრის მოწოდების გათვალისწინებამ და რამდენიმე დღით ადრე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლამ კოლექტიურ ნაცებს სალაპარაკო მისცა — **აი, ხომ ვამბობდით, რომ ანტიკორუფციული ბიურო დამოუკიდებელი უწყება კი არა, ხელისუფლების მარიონეტია, რაჟდენ კუპრაშვილი კი „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებსო!**

ცოდვა გამხელილი ჯობს და ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა **კოლექტიური ნაცების** ნათქვამში სიმართლის მარცვალი ურევია, რადგან **გიგაურისა და ლაგაზიძის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლამ საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს, როგორც პო-**

**ხელისუფლება ოდნავ სისუსტესაც თუ გამოიჩენს და კოლექტიური ნაცლიბერალების წინაშე კიდევ ერთხელ დაიხევს უკან, „ქართული ოცნების“ გარშემო ქართველი ხალხის კონსოლიდაცია მყისიერად დადნება და განილევა!**

## კვირგვინოსნები



**მირიან ყარაულაშვილი**
*საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ დამფუძნებელი*

**ნაცმოძრაობა,** რომელმაც საქართველოს მომავალი გაანადგურა, ამჟამინდელი **რუსეთის ხელისუფლების წიაღში შობილი ძალაა.**

„საერთო გაზეთი“



**მიხეილ დუნდუა**
*ფინანსთა მინისტრის მოადგილე*

საქართველო **კორუფციისგან თავისუფლებით, კორუფციის არარსებობით** არის ევროპის საუკეთესო ოცეულში.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ჰერმან საბო**
*„გირჩის“ წევრი*

ოპოზიციონერი კოლეგები რომ შელაგდნენ პარლამენტში და უმრავლესობა ჰქონდეთ, დარწმუნებული ვარ, **არავითარ დროებით მთავრობაზე აღარ იქნება საუბარი,** ისე გადაინაწილებენ ფუნქციებს.

„პირველი არხი“



**ზურაბ ბატიაშვილი**
*ანალიტიკოსი*

**თუ ისრაელში ომის ახლანდელი მასშტაბი შენარჩუნდა,** ჩვენზე ნაკლები გავლენა ექნება, თუ მასშტაბები გაიზარდა და ამან **დიდი რეგიონული ომის სახე მიიღო,** მაშინ მთელს რეგიონს შეეხება, მათ შორის, ჩვენც.

„ინტერპრესნიუსი“



**გიორგი კახიანი**
*პარლამენტარი*

ქვეყნის გარედან გარკვეული ძალები ცდილობენ, რომ **კოლექტიური ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში მოაბრუნონ,** ეს განუხორციელებელი მისიაა, რომელიც საქართველოში ვერ მოხდება.

„პირველი არხი“

# ფრთხილად, „ქართულო ოცნებავ“, პოლიტიკურ დამიწებას ნუ დაიჭირვებ!



ბოლოთქმა

**ლიტიკური გავლენებისაგან თავისუფალი ინტიტუტის, იმიჯსა და რეპუტაციას ნამდვილად ზიანი მიაყენა!**

თუმცა, ეს კიდევ არაფერია იმ პოლიტიკურ დარტყმასთან შედარებით, რაც ხელისუფლებას უკან დახევისა და უცხოური გავლენის აგენტურასთან კომპრომისზე წასვლის გამო შეიძლება, მიადგეს!

მართალია, **უკან დახევა და კომპრომისი ზოგჯერ სისუსტის კი არა, სიძლიერის ნიშანია, მაგრამ ეს ის შემთხვევა ნამდვილად არ არის!**

დღეს ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი საქართველოს ხელისუფლების გარშემო სწორედ იმიტომ არის კონსოლიდირებული, რომ მან კოლექტიური დასავლეთის კოლონიზატორულ პოლიტიკასთან ღიად დაპირისპირება გაბედა!

დიახ, **დღეს ქართველი ამომრჩევლის გადამწყვეტი უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ იმიტომ უჭერს მხარს, რომ იგი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პრინციპულად იცავს ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან წამოსულ დირექტივებს ყურმოჭრილ მონასავით აღარ ასრულებს და იქიდან ნაკარნახევ ნეოლიბერალურ დღის წესრიგს აღარ მიჰყვება!**

დიახ,

**ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა ხელისუფლებისათვის ზურგის გამაგრება იმიტომ გადაწყვიტა, რომ ხედავს, „ქართული ოცნების“ ლიდერები პრინციპულობას ინარჩუნებენ და უცხოეთიდან წამოსულ უზარმაზარ პოლიტიკურ წნეხს მედგრად უძლებენ!**

მაგრამ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი „ქართულ ოცნებას“ მაშინვე შეაქცევს ზურგს, როგორც კი დაინახავს, რომ ხელისუფლება შედრკა, მერყეობა დაიწყო, ორმაგ თამაშებში ჩაება და მის მიერვე გლობალურ ომის პარტიად მონათლულ ძალებთან ენის მოჩლექას შეუდგა!

დიახ, ხელისუფლება ოდნავ სისუსტესაც თუ გამოიჩენს და კოლექტიური ნაცლიბერალებისა და მათი უცხოელი პატრონების წინაშე კიდევ ერთხელ დაიხევს უკან, „ქართული ოცნების“ გარშემო ქართველი ხალხის კონსოლიდაცია მყისიერად დადნება და განილევა!

ამდენად, **საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ ხალხს არ უნდა შეუქმნას განცდა, რომ შეიძლება, ხვალ უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონებიც გააუქმოს და ეს „პოლიტიკური მიზანშეწონილობით“ ახსნას ისევე, როგორც ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილების გაუქმება!**

საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ ხალხს ბოლომდე უნდა დაანახოს, რომ აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს!

**ასეთ შემთხვევაში,** ქართველი ხალხიც ბოლომდე დადგება ხელისუფლების გვერდით!

**ასეთ შემთხვევაში,** ქართველი ხალხი ბოლომდე დაიცავს არამხოლოდ საქართველოს, არამედ ხელისუფლებასაც!

„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში დავწერეთ, რომ **ანტიკორუფციული ბიუროსა და მისი უფროსის რაჟდენ კუპრაშვილის სამართლიანმა გადაწყვეტილებამ კოლექტიურ ნაცებზე რაჟდენის დარტყმის ეფექტი იქონია და ისინი გვარიანად შეაზანზარა,** თუმცა, გადაწყვეტილების შეცვლისა და კოლექტიური ნაცლიბერალების წინაშე უკან დახევის შემდეგ **რაჟდენის დარტყმის** ეფექტი, გარკვეულწილად, „ქართულ ოცნებაზეც“ გავრცელდა! შეიძლება ითქვას, რომ **რაჟდენის დარტყმამ** თავად ხელისუფლება შეაქანა! **ასე რომ, ფრთხილად, „ქართულო ოცნებავ“, პოლიტიკურ დამიწებას ნუ დაიჭირვებ!**

***ჯაბა ხუბუა***

**საქართველოს ხელისუფლებამ ქართველ ხალხს არ უნდა შეუქმნას განცდა, რომ შეიძლება, ხვალ უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონებიც გააუქმოს და ეს „პოლიტიკური მიზანშეწონილობით“ ახსნას ისევე, როგორც ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილების გაუქმება!**

## კვირგვინოსნები

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



რაც უფრო რეალური ხდება **ერთობლივი ცხოვრება აფხაზ და ოს დებთან და ძმებთან,** მით უფრო შოკში ვარდება რადიკალური ოპოზიცია — **მათ უნდათ, რომ აფხაზეთში და ცხინვალში სამხედრო ძალებით შევიდეთ და ვიომოთ.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი კირცხალია**
*პარლამენტარი*



სირცხვილია **ბატონი როთის** თითოეული გამოსვლა და თითოეული განცხადება ჩვენი ქვეყნის მიმართ. **ბარემ დათმოს თავისი ქვეყნის მოქალაქეობა, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა და ჩამოვიდეს** — ან ზვარამია, ან სააკაშვილი მოუძებნის ადგილს სიაში და **იყაროს კენჭი პირდაპირ.**

„იმედინიუსი“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



**მიხაილ როთი** უხეშად არღვევს საერთაშორისო კანონმდებლობას და **ერევა უცხო ქვეყნის წინასაარჩევნო პროცესში.** ეს მას არ უნდა ეპატიოს.

„იმედინიუსი“

**მარიამ ლაშხი**
*პარლამენტარი*



რეზოლუციაზე, რომელიც **საკუთარ ჯარისკაცებს ბრალად სდებდა ომის დაწყებას,** ნაციონალურმა მოძრაობამ ხელი მოაწერა! **ოპოზიციური მედია სად იყავით, როცა მართლა ყიდდნენ ქვეყანას?** „იმედინიუსი“

**მირზა მოდებაძე**
*მომღერალი*



ნებისმიერი ქართველის გზა-ვნილი არის ევროპისკენ — **ოჯახის სიწმინდის დაცვით, ჩვენი მართლმადიდებლობით, დიდი სიყვარულით, სტუმართმოყვარეობით,** რაც ქართველებს გენეტიკაში გვაქვს. „იმედინიუსი“



# თამაზ მოლაშვილი:

# ღმერთი არ გაგიწყრეთ და ჩემი შვილის მკვლელებს ხმა არ მისცეთ!




*რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო მძაფრდება ე.წ. ოპოზიციონერებისა და სტრატეგიული პარტნიორების განცხადებები საქართველოში დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით. სწორედ ამ ადამიანებსა და მათ მხარდამჭერებს მიმართავს სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაწამები და მოკლული სულხან მოლაშვილის მამა თამაზ მოლაშვილი:*




— როდესაც „ასავალ-დასავალში“ ჩემი ბოლო ინტერვიუ დაიბეჭდა, ვიფიქრე, ალბათ, ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლაა-მეთქი. არც ის მეგონა, სულხანის გარდაცვალების შემდეგ ამდენი ხანი თუ ვიცოცხლებდი და არც ის, რომ 2024 წლის არჩევნების წინ კვლავ იმის თქმა და შეხსენება მომიწევდა საზოგადოების ნაწილისათვის, რომ მკვლელებს ხმა არ მისცენ!

**— ამ საზოგადოების უკან ჩვენი სტრატეგიული მეგობრებიც არიან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებამ ევროპულ გზას გადაუხვია და დემოკრატია საქართველოში სავალალო მდგომარეობაშია...**

— ახლა მიექანება დემოკრატია უფსკრულისკენ, როცა ხალხს ციხეებში აღარ აწამებენ, აღარ კლავენ და სააკაშვილის დროს ყვაოდა? ბიძინა ივანიშვილია რუსი ოლიგარქი, დიქტატორი და სააკაშვილი — დემოკრატიის შუქურა? **რა უნდათ ამ შობელძაღლებს, ჩვენს შიდა საქმეებში რომ ერევიან?!** სულ მინდოდა, მეკითხა მათთვის და კარგია, რომ მომეცით ამის თქმის შესაძლებლობა — **თქვენ რომ მოგიკლან შვილი, მე კი ტაში დავუკრა და მკვლელს დემოკრატიის შუქურა ვუწოდო, მოგეწონებათ?** ვის იცავთ, ამ მკვლელების ბანდას? გამისწორეთ თვალი და ისე მიპასუხეთ!

ათასგზის გავიმეორებ, ჩემი შვილი სააკაშვილის ინიციატივით აწამეს და მისმა რეჟიმმა მოკლა! იცით, რა ბრალდებით დააკავეს და აწამეს სულხანი?

**— მოდით, ესეც შევახსენოთ საზოგადოებას.**

— პრემიის სახით 37 ათას 200 ლარი რატომ დაურიგე თანამშრომლებსო? მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ ეს სააკაშვილის სურვილი იყო. ნაწამები სულხანის მონახულების შემდეგ **მათიას იორშმაც** ვერ დამალა გაოცება — ჩვენ ასეთ დღეში პირუტყვიც არა გვყავსო. **ელენე თევდორაძე** ცოცხალია და ჰკითხეთ, როგორ პირობებში იყო **სულხან მოლაშვილი.** როგორ აწვავდნენ სხეულზე სიგარეტებს. მეტრნახევრიან, ბნელ საკანში, კოჭებამდე წყალში იჯდა, სამი-ოთხი დღის განმავლობაში არ იცოდა, დღე იყო თუ ღამე, საკნიდან რომ გამოიყვანეს, კარგა ხანი ვერაფერს ხედავდა, თვალზე ჰქონდა ხელი აფარებული.

დიახ, ეს იმ ხალხმა ჩაიდინა, ვისაც თქვენ უწევთ რეკომენდაციას ხელისუფლებაში მოსასვლელად, ამ ხალხმა საკუთარი შვილის საფლავზე ააფეთქა **იური ვაზაგაშვილი,** ლავიწის ძვლები ჩაუმტვრია ჩემს შვილიშვილს მხოლოდ იმიტომ, რომ სულხან მოლაშვილის შვილი იყო, მოკლა ანგელოზივით **ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი, გიორგი გამცემლიძე.** აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ღამის 2 საათზე ხდებოდა ბიზნესების გადაფორმება, ციხეებში აწამებდნენ და აუპატიურებდნენ ადამიანებს. გაყიდეს დამატებითი ტერიტორიები. ორ გვამს პირდაპირ კამერების წინ ითხოვდნენ, იყო ტოტალური მოსმენები. ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფინანსებელი **კეზერაშვილი,** დღეს რომ კაი ბიჭის როლს თამაშობს, ვალებით მოვიდა ხელისუფლებაში და საქართველოდან მილიარდერი გაიქცა.

სად იყავით მაშინ? დღეს რომ წაიღეთ ტვინი ბიძინა ივანიშვილის ლანძღვით, რატომ არ ამოიღეთ ხმა, როცა სულხანი ციხეში აწამეს და **ზურაბ შარაძეს** შუაგულ თბილისში შუბლში ტყვია დაახალეს?! დღეს თქვენ ამ ნაძირალებს, მკვლელებს იცავთ და აკრიტიკებთ იმ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ქვეყანას მშვიდობა მოუტანა!

**ბოლოს და ბოლოს, ვინ ხართ, რა გინდათ ამ ქვეყნისგან? წყალსაც წაუღია ისეთი ამერიკა და ევროპა, თუ თქვენთვის მკვლელი დემოკრატიის შუქურაა, ხოლო ხალხის მყვლეფავი ხაზარაძე – პატიოსნების საზომი!**

ვენაცვალე ბიძინა ივანიშვილს, გვიან, მაგრამ მაინც შეძლო ხმის ამოღება იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც დღეს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ხდება!

**— ის, რომ „ოცნება“ მოსვლის მე-12 წლისთავზე კვლავ სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობს, მაინც გჯერათ მისი?**

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! ახლა სხვა პოლიტიკური სიტუაციაა, ნავსიც გატეხილია და მჯერა, ბიძინა ივანიშვილი ამ ბრძოლას ბოლომდე მიიყვანს! მას არც დამნაშავეების დასჯა დასიზმრებია, არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და არც ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა. იცის, რა უნდა ხალხს და გააკეთებს კიდეც! თუმცა, მარტო ერთი კაცი წინ ვერ აღუდგება ამხელა ბოროტებას. მის გვერდით უნდა დადგეს ხალხი. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ხელისუფლებაში მოსვლას კვლავ მკვლელები და მათი დამქაშები ლამობენ!

ღმერთმა ნუ ქნას, ისე წავიდეს ამ ქვეყნის საქმე, რომ თანამდებობებზე ნაციონალები დაბრუნდნენ, მერე ნახეთ თქვენ ომი და უბედურება, შავი სიები და დაჭერები, ისეთ სისხლის კალოს დააყენებენ, 37 წელი მონაგონი იქნება. როდესაც ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, სულხანს მისმა თანამშრომელმა პირდაპირ უთხრა — **გიგა ბოკერიამ** დასაჭერი ადამიანების სია მაჩვენა და მასში შენც იყავიო. წარმოიდგინეთ, ამ ხალხს უნდა ხელისუფლებაში დაბრუნება. მაშინ რა გააკეთეს და ახლა, ამ დაბოღმილ გულზე რას იზამენ.

რაც არ უნდა განაწყენებული იყო „ოცნებაზე“, როგორ შეიძლება, მოგიბრუნდეს ხელი და ნაციონალი შემოხაზო, **გვარამია** იქნება ეს, **ხაზარაძე** თუ რომელიმე სხვა. ყველანი სააკაშვილის კუდები არიან, სულით და ხორცით გამყიდველები და მოღალატენი!

ღმერთი არ გაგიწყრეთ და ჩემი შვილის მკვლელებს ხმა არ მისცეთ! კახურადაც გეტყვით, ყველა იმ კაცის დედა ვატირე, ვინც ნაციონალურ მოძრაობას თავის **ბოკერიან, ხოშტერიან, გირჩიან, ხაზარაძიანად** დაუჭერს მხარს! თქვენ იქნებით ამ ქვეყნის მტრები! რეჟიმის მიერ გამწარებულ ოჯახებზე თუ არა, საკუთარ შვილებზე, ძმებზე, მამებზე, ქვეყანაზე მაინც იფიქრეთ!

პირადად მე, **თამაზ მოლაშვილი,** ვლოცულობ, იმ დღეს მოვესწრო, როცა დამნაშავეებს საბრალდებო სკამზე ვიხილავ. **ჯამბულ გამცემლიძესთან** ერთად მეც ვიქნები ერთ-ერთი მოწმე ამ ისტორიულ პროცესზე! არ ვიცი, იქნებ, ამიტომაც გამიხანგრძლივა უფალმა სიცოცხლე! თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, იმისთვის, რომ დამნაშავეები საბრალდებო სკამზე ვიხილოთ და ქვეყანამ ამოისუნთქოს, აუცილებელია, „ოცნებამ“ კონსტიტუციური უმრავლესობით გაიმარჯვოს! 26 ოქტომბერს საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება! ყველას მოვუწოდებ, არჩევნებზე ქუდზე კაცი გამოვიდეს!

# „ვის იცავთ, ამ მკვლელების ბანდას? გამისწორეთ თვალი და ისე მიპასუხეთ!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლუკა ბერაძე**
*რეჟისორი*



გადავწყვიტე, წავსულიყავი იმ სოფელში, **სადაც ხალხი უკბილოდ დატოვეს.** მივხვდი, ამ ამბიდან შეიძლებოდა, გაკეთებულიყო უფრო დიდი ფილმი, რომელიც ზოგადად გამოხატავდა **პოლიტიკოსების ცრუ დაპირებებს.** წარმოიდგინეთ, ეს იყო **2012 წელს** პიარკამპანიის პროგრამა. მე ფილმი გადავიღე **2019-2020-2021 წლებში** და ადამიანები ამ ხნის განმავლობაში **უკბილოდ ცხოვრობდნენ.**

ბევრს ისევ არა აქვს კბილები, ზოგმა ოჯახის დახმარებით გაიკეთა. ჩვენმა გადამღებმა ჯგუფმა მოვახერხეთ და **ჩვენი ფილმის ორ პერსონაჟს პროთეზი გავუკეთეთ.** ფილმისთვის 30-მდე ადამიანი გადავიღეთ. სულ დაზარალებული, ალბათ, 50-მდეა.

„სარკე“

**ნიკა გვარამია**
*„ცვლილებებისთვის“ კოალიციის ლიდერი*



მინდა, **როგორც ყოფილმა პოლიტპატიმარმა,** მივმართო პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს, მათ გულშემატკივრებს — **ბოდიში ყველაფრისთვის, რაც მომხდარა თქვენს თავს** და რაც ყურადღების მიღმა დამრჩა, როცა შემეძლო, რომ ეს მეკონტროლებინა.

„აიპრესი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*



**27 ოქტომბრის სრული სცენარი** უკვე ფაქტობრივად ცნობილია **მაკკეინის ინსტიტუტის** დასკვნის წყალობით. 2-3-კვირიანი სამოქმედო გეგმაც აქვთ გაწერილი — **არ აღიარებენ არჩევნებს არჩევნებში მონაწილე პარტიები, თითქოსდა გაყალბების მიზეზით.** ამის შემდეგ ამას დაადასტურებს პრეზიდენტი.

„TV იმედი“

# ლალი მოროშკინა: არჩევნებამდე 24 საათით ადრე – ყველანი ქუჩაში!



***არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ამერიკას პოლიტიკურმა ტაიფუნმა გადაუარა. ჰოლივუდის სკანდალმა თავდაყირა დააყენა ყველა და ყველაფერი. რას შეცვლის ეს ფაქტი მსოფლიო პოლიტიკაში და შეიძლება თუ არა ველოდოთ მინი ჰოლივუდურ სკანდალს საქართველოში?! — პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს ჟურნალისტი, პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა აკეთებს.***

**— დამანგრეველი ტაიფუნი იმ ჰოლივუდს დაატყდა თავს, რომელიც ბაიდენის ადმინისტრაციას და, შესაბამისად, კამალა ჰარისის კანდიდატურას უჭერს მხარს. პირდაპირ გკითხავთ — რაში აწყობდათ არჩევნების წინ ამხელა სკანდალის აგორება?**

— მოდით, ვთქვათ სიმართლე — მსოფლიოს მართავს რამდენიმე კლანური ოჯახი, ხოლო პრეზიდენტები და პრემიერები, რომლებიც უმაღლეს პოსტებს იკავებენ, მათ ხელში ჩვეულებრივი მარიონეტები არიან. ვის სჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს მმართველები გაკეთილშობილდნენ და ღვთისმოსავები გახდნენ?! აქ სულ სხვა პროცესია.

**— კერძოდ?**

— ზედა ეშელონმა საჭიროდ ჩათვალა, მსოფლიო კონსერვატიულ ტალღაზე გადავიდეს! ზედმეტი მოუვიდათ, ამერიკა ამერიკას აღარ ჰგავს და არაჩვეულებრივი ქვეყანა წამლის გასაღების ბუდედ გადაიქცა, ანუ იმ ზედა ზღვრამდე მივიდა, რამაც თავის დროზე რომის იმპერია დაანგრია. **ხვდებიან, რომ ამ ნანგრევებში შეიძლება თვითონაც მოჰყვნენ და იმ პაიკების გაწირვა დაიწყეს, რომლებიც ლიბერალურ ბაგლს ქმნიდნენ.**

რამდენიმე დღის წინათ სტრასბურგში სასამართლო გაიმართა, სადაც **ასანჟი** გაუგონარ ამბებს მოჰყვა, როგორ ძალადობდნენ მის ცოლზე და მცირეწლოვან შვილზე. 6 თვის ბავშვის პამპერსიდან როგორ აიღეს დნმ-ის მასალა. ადამიანები, რომლებიც, წესით, ლიბერალი ფაშისტების მიერ მოკლული უნდა იყვნენ, უცებ გააქტიურდნენ. როგორ გგონიათ, რატომ გადაწყვიტა ავსტრია-გერმანიამ თავიანთ რიგებში კონსერვატორების შემოყვანა?! იმიტომ ხდება ეს ყველაფერი, რომ სხვა ტალღაზე გადავდივართ. ამ მოცემულობაში უკვე **კამალა ჰარისი** კი არა, **ტრამპი** ხდება საჭირო ფიგურა! შესაბამისად, ზუსტად ახლა, არჩევნების წინ მოხდა ჰოლივუდზე დარტყმა.

დააკვირდით — ჰოლივუდის ფილმები იყო ანონსი იმისა, რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ასე დააანონსეს **ზელენსკის** გაპრეზიდენტებაც. **იმთავითვე გაწერილი იყო სამოქმედო გეგმა, როგორ უნდა დაენაწევრებინათ უკრაინა.** დიდმა მამებმა ჰოლივუდს სწორედ იმიტომ დაარტყეს, რომ საზოგადოებასთან კავშირი ყველაზე კარგად აქედან ხდება. აი, ნახავთ, ახლა წამოვა ვაჟკაცური ფილმები. უკვე დაიწერა კიდეც, რომ **მელ გიბსონს** ამაში მონაწილეობა არ მიუღია. შემიძლია, შემდეგი პროგნოზიც გავაკეთო: **ეს პროცესი მეორე უკიდურესობაში გადაიზრდება, ზედმეტად კონსერვატიული მოძრაობები დაიწყება და ეს ციკლი 70-80 წელი გაგრძელდება.** ისტორიას რომ გადავხედოთ, მუდმივად ხდებოდა მსგავსი ცვლილებები.

ჩვენი თაობა ამ კონსერვატიულ ტალღაში მოჰყვა. **ბიძინა ივანიშვილი** ნამდვილი გროსმაისტერია და შემთხვევით არ აკეთებს ხმამაღალ განცხადებებს ტრადიციების დაცვასთან დაკავშირებით. ის საუკეთესოდ თამაშობს პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე.

**— ანუ ფიქრობთ, რომ „ოცნება“ ერთპიროვნული გამარჯვებულია 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში?**

— არჩევნები პირწმინდად არის მოგებული და ამაში არამხოლოდ „ქართული ოცნების“, სააკაშვილის წვლილიც არის!

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— გარიგება შედგა „ოცნებასა“ და სააკაშვილს შორის. ამაში ისე ვარ დარწმუნებული, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ჯანმრთელ ადამიანს ამდენი ხანი კლინიკაში არავინ ტოვებს. **მიხეილ სააკაშვილს საბოლოოდ უნდა დაესამარებინა თავისი პარტია, „ოცნებას“ კი სანაცვლოდ ციხეში არ უნდა გადაეყვანა.** ვინც პენიტენციურ სისტემაშია ჩახედული, იცის, რომ იქ ბოლომდე დაცული არავინაა, ხოლო დიდ პოლიტიკაში მსგავსი გარიგებები ჩვეულებრივი მოვლენაა.

**დააკვირდით — როგორი უკულმართი, არაავტორიტეტული ტიპები წამოსწია სააკაშვილმა წინა პლანზე — ხაბეიშვილი და სტომატოლოგი სოფო ჯაფარიძე.** მათ საკუთარი ხელით გაანადგურებინეს პარტია. ვის სჯერა, რომ სააკაშვილი ვიღაც სულელების დაძახილზე ჩამოვიდა საქართველოში და თავი საფრთხეში ჩაიგდო?! ნუ დაგვავიწყდება, რომ ის საკმაოდ ჭკვიანი **თემურ ალასანიას დისშვილია,** რომელსაც დღემდე აქვს სერიოზული გავლენები! ისიც ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო ომი უკრაინაში. **რა ჯობდა — უკრაინაში დარჩენილიყო და ეომა თუ კლინიკაში ეკოტრიალა?!** მოკლედ, რა წუთში გაიგო, რომ ომი იწყებოდა, სააკაშვილი მაშინვე გამოქანდა საქართველოში და „ვივამედში“ წამოწვა, მიუხედავად ყველაფრისა, მას არ უთქვამს უკრაინის მოქალაქეობაზე უარი. სპეციალურად მოითხოვა სასამართლოზე თარჯიმანიც. აი, ნახავთ, მომავალში უკრაინაში რომელიმე წამყვან თანამდებობაზე თუ არ ვიხილავთ.







## „არჩევნები პირწმინდად არის მოგებული და ამაში არამხოლოდ „ქართული ოცნების“, არამედ სააკაშვილის წვლილიც არის!“

## „ოცნება“ სააკაშვილის დახმარების გარეშე ასე ვერ გაანადგურებდა ოპოზიციას. მათ დღეს მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრები თუ მისცემენ ხმას.

**— აბა, ჰკითხეთ მამუკა ხაზარაძეს, გიორგი გახარიას ან სალომე ზურაბიშვილს, ასე თუ ფიქრობენ?!**

— **გახარია** ისეთივე დიდი გარიგების მონაწილეა, როგორიც **მიხეილ სააკაშვილი და სალომე ზურაბიშვილი.** ოპოზიციურ ფლანგზე რაც ხდება, ყველაფერი თამაშია „ოცნების“ სასარგებლოდ. გაუყიდავი არავინ არის. **ხომ ხედავთ, ბოლომდე მიყვანილი ერთობა გახარიამ ჩაშალა. სალომე ზურაბიშვილსაც შეეძლო სააკაშვილის განთავისუფლება, მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადადგა.** თავის ცხოვრებაში არ ყოფილა პრინცი-

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მწამებელი **მეგის ქარდავა** ექსტრადირებამდე ბოლო რვა წლის განმავლობაში **ქართულ მართლმსაჯულებას მიხეილ სააკაშვილის მეშვეობით ემალებოდა** — თუნდაც ეს საკმარისი უნდა იყოს 26 ოქტომბერს სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

„იმედინიუსი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



რა ნამუსით საუბრობს **გამობრძმედილი მატყუარა გიორგი გახარია** ტყუილზე? დღემდე **მისი მოტყუებული ხალხი მხვდება** სამეგრელოში.

„იმედინიუსი“

**გიგი უგულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**გიორგი გახარია** არითმეტიკაში ცოტა მოიკოჭლებს, იმეორებს ერთსა და იმავე განცხადებას, რომ **„ქოცები“ და ნაცები არ იქნებიან ხელისუფლებაში,** ეს, უბრალოდ, არითმეტიკულად არ გამოდის. **თუ ვინმეს წარმოუდგენია მომავალი მთავრობა ნაციონალური მოძრაობის გარეშე, უბრალოდ, იტყუება.**

„TV ფორმულა“

**გიორგი გახარია**
*„გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



**26 ოქტომბერს** უნდა გავიმეოროთ **1 ოქტომბერი.**

„აიპრესი“

**პროგნოზები და დიაგნოზები**

# ლალი მოროშკინა: ოპოზიციურ ფლანგზე რაც ხდება, ყველაფერი თამაშია ,,ოცნების" სასარგებლოდ!

*დასაწყისი მე-11 გვერდზე*

პული და რაღა ამ შემთხვევაში იყო?! საქართველოს კანონმდებლობას რომ არღვევს და წინ და უკან დადის, ესეც უარყოფითად მუშაობს ოპოზიციაზე და კარგია „ოცნებისთვის“.

კიდევ ერთხელ ვამბობ — **„ოცნება“, უფრო სწორად სიის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილი, წაუგებელ თამაშს თამაშობს.** შეიძლება ითქვას, რომ ამ პარტიაში ეს ერთი ადამიანი არის ყველაფერი — მისი ყველა წინასაარჩევნო გამოსვლა იყო ძალიან ჭკვიანური, გამართული, მოზომილი, ძარღვიანი და ღირსეული! ვიღაცას თუ ჰგონია, რომ ჯიბეში 1000-1000 დოლარს ჩაუკუჭავს, ცდება. ის აკეთებს მთავარს — **საქართველო ძალიან მნიშვნელოვან სარბიელზე გაჰყავს!**

**— გჯერათ, რომ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა?**

— არ დაგვავიწყდეს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც პატრიარქმა ბრძანა — **ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ სოხუმში წირვა-ლოცვა არ აღვავლინოო. მე ამის მჯერა!**

დღეს სულ სხვა მსოფლიოა, მომწიფდა პროცესები საიმისოდ, რომ ქვეყნებმა კონფიგურაცია შეცვალონ ისევე, როგორც ეს გააკეთა აზერბაიჯანმა. ეჭვიც არ მეპარება, რომ შემდეგი ჩვენ ვიქნებით. ცხადია, ეს ერთ-ორ თვეში ვერ მოხდება, მაგრამ პროცესი დაწყებულია და **აუცილებლად დავიბრუნებთ ტერიტორიებს!** პირადად მე დიდი ინტერესით ველოდები, ვინ გამოვა პირველი და იტყვის — ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებული სამაჩაბლო და აფხაზეთი არ მინდაო.

მჯერა იმისიც, რომ **ნიურნბერგის პროცესს** ბიძინა ივანიშვილი თავისივე თანაგუნდელებიდან დაიწყებს. როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი სამარცხვინო საქციელს სჩადის. არამხოლოდ პარტიას, ქვეყანას ღალატობენ და სათანადო დასჯას იმსახურებენ, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ჯერ არჩევნებია მოსაგები!

ყველამ უნდა გადავდოთ პირადი წყენები და ამბიციები. ერის ისეთივე კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, როგორც ეს იყო 17 მაისს და 2012 წელს! **24 საათით ადრე უნდა გამოვიდეთ ქუჩაში და დავიცვათ საკუთარი ხმები!** როცა ამ პატარა ქვეყანაში მილიონამდე თავს დაითვლიან, იქ ვერავინ ვერაფერს გახდება, არჩევნების ლეგიტიმაციაზე კითხვითი ნიშნები აღარ დაისმება.

**— რა მოხდება 26 ოქტომბერს, ძნელი სათქმელია, მაგრამ დღეს ჩვენი უცხოელი პარტნიორების მხრიდან კეთდება მკვეთრი განცხადებები, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ გზას გადაუხვია.**

— ეს არის ქარიშხალი ჭიქაში, რომელიც მეორე დღეს აღარავის ემახსოვრება. კიდევ ერთხელ ვამბობ — ამერიკასა და ევროპაში თითქმის ყველგან არჩევნებია და კონსერვატიული ძალები მოდიან. ჰოლივუდის სკანდალი პრელუდიაა იმასთან შედარებით, რაც წინ გველოდება!

არ გამოვრიცხავ, არჩევნების წინ **მინი ჰოლივუდური სკანდალი** საქართველოშიც მოხდეს. უცხო არავისთვისაა ნარკოტრაფიკის არსებობა ქართულ შოუბიზნესში. ყველაზე ყველაფერი კარგად იციან — ვინ ბარიგობს, რომელ ღამის კლუბში რა იყიდება და ა.შ. როცა დასჭირდებათ, მაშინ გამოამზეურებენ ამ ფაქტებს. გარდა იმისა, რომ „ოცნების“ პიარისთვის იქნება სასარგებლო, ხალხის განსაკუთრებული თხოვნაც არის, დამთავრდეს წამლის ტრაფიკი საქართველოში.

**რევოლუცია ხდება მაშინ, როცა ქვედა ფენებს აღარ სურთ ძველებურად ცხოვრება და ზედა ფენები ვეღარ აკონტროლებენ სიტუაციას. ჩვენთან ზედებიც აკონტროლებენ მოვლენებს და ქვედებიც მშვენივრად არიან.**

ასე რომ, რევოლუციური სცენარი საქართველოში არ გამოვა!

და კიდევ ერთი: საქართველო 30 წელია, აგენტურული ქსელით იმართება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ღვაწლმოსილი დივერსანტი **სანდრა რულოვსი** იყო. რამდენჯერ მითქვამს, მათ შორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე — მთავარი მოქმედი პირი არის სანდრა და არა სააკაშვილი, სცენარიც სანდრას დაწერილი მოქმედებს-მეთქი. **დღეს სანდრა რულოვსი თამაშიდან გაყვანილია. მოკლედ შეჭრილი თმების ფოტოს გამოქვეყნებით თავისივე აგენტურას გააგებინა, რომ თამაშიდან გადის.** ვინც დეტექტიური ჟანრის ფილმებს უყურებს და პოლიტიკურ შპიონაჟზე წიგნებს კითხულობს, ადვილად მიხვდება ამ მინიშნებებს. **სანდრა რულოვსის გასვლით სხვა წვრილფეხებიც გავლენ საქართველოდან და მთლიანად კავკასიის რეგიონიდან.** მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ — სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ხალხმა ფეხი ფეხზე არ უნდა გადაიდოს, მაინც არაფერი მოხდებაო — არჩევნებზეც უნდა მივიდეთ და მილიონიანი მარშიც უნდა მოვაწყოთ, რომ ამ ბრძოლაში **გარანტირებული გამარჯვება** მოვიპოვოთ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„საქართველო 30 წელია, აგენტურული ქსელით იმართება, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ღვაწლმოსილი დივერსანტი სანდრა რულოვსი იყო!“**

**ჟურნალისტის პო(ს)ტზიცია**

# მო გელა ნდებით!

**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად**



# ქოჩორაშვილმა ფაფარი აუშვა!

მივმართავ **ვინმე როინ ქოჩორაშვილს,** რომელმაც ჭუტაანთ უბორნიაში ბევრი უკადრებელი იკადრა: **ბაკურციხელო ჯეელო, ცოტა ხანს მოდექ აქეთ, რააა!**

ერთი მაგ **25-ანზე** ხელი დაიდე და თქვი, **ბიძინა ივანიშვილის** ნაჩუქარი ფულები, შენ შვილს რომ მისცა ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, კარგად შეირგე?

არა, მე არ ვიძახი, ნაკრებს არ ეკუთვნოდა-მეთქი, მაგრამ, საერთოდ, ეგეთი წესია — **როცა ადამიანს ვერ იტან, როცა მის გაძევებაზე ოცნებობ, როცა მისი იდეური მტერი ხარ და ამტკიცებ, რომ ის უნდა დაემხოს, მისგან ლამის ერთ მილიონს რანაირადღა იღებ?**

გამოდი რა კაცურად და თქვი, რომ არ ეთანხმები, რომ ის ღუპავს ქვეყანას და უარს ამბობ მის მილიონზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში რა გამოდის? ცოტა ხნის წინ კურკლი გიხმებოდა, კახეთშიც კი არავინ გიცნობდა და **ბიძინა ივანიშვილის** ფულებით გაზულუქებულ-გაყოყოჩებული **ისევ ბიძინა ივანიშვილს შეუტრიალდი** შენი დეფექტიანი ენით და მის დამხობას წინასწარმეტყველებ.



მაგას **„ვოჟდუხა“** სულ თავისთან მიგატანინებს ცრუ დაპირებით, რომ პარლამენტში დაგსვამს. იცოდე, ვერ დაგსვამს, ადრე ვინც დასვა, ყველა „ქართული ოცნების“ ეგიდით იყო. **მაგან თანაპარტიელებს ადგილობრივი არჩევნების დროს სახლები და მანქანები გააყიდინა, ფული მიატანინა და მერე გადაყარა, აღარ დაუბრუნა.** შენც ეგრე გიზამს და მალე გნახავ, ბაკურციხის ბირჟაზე ჯიბის ბილიარდს რომ ითამაშებ!

☺

როცა **კახა კალაძემ** თქვა — **ქოჩორაშვილები ნაცები არიანო, ბევრმა იუკადრისა — ეგ როგორა თქვა, ნაცები კი არა, „გახჩოელები“ არიანო, გეგონება, ერთი სირი არ არი!**

დაბოლოს... უნდა გაგაფრთხილო: იცოდე, რა ფულიც ბიძინა ივანიშვილმა შენს ოჯახს აჩუქა,

## სალომე ზურაბიშვილმა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონს ხელი არ მოაწერა



# იქნებ ფეხი მაინც მოაწერინოთ!

მაიცადეთ და... **რატომ უნდა მოაწეროს?** ოჯახური ღირებულებები გააჩნია თუ არასრულწლოვანთა ბედი აღელვებს?!

**რა ოჯახი, რი ოჯახი და სინდისნამუსი?**

მაგისი ორიენტირი თავიდანვე იყო არყი „რუმკა“, პირში პაპიროზი, ჯამჭურჭლის მტვრევა და ნათელმირონობაზე ჭუჭყიანი ფეხებით დგომა! თქვენ კი მიადექით და ეუბნებით — ხელი მააწერეო.

**იქნებ ფეხი მოგეწერინებინათ!**

**კვირგვინოსნები**

**გიორგი ჩაქვეთაძე**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*



**„ლელო“** ყველაფერია, გარდა იმისა, რაც შეიძლება, პოლიტიკური გაერთიანება იყოს. **თავად არიან გაუმჭვირვალე** და ზუსტად ამიტომ ითხოვდნენ, რომ **გამჭვირვალობის კანონი** არ მიგვეღო.

„იმედინიუსი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



**შერიგების გარდა სხვა ალტერნატივა საქართველოს არა აქვს** და თუ რომელიმე ოპოზიციონერს აქვს გეგმა, **როგორ იბრუნებს ძალადობრივად ტერიტორიებს,** შეუძლიათ, გამობრძანდნენ და ამაზე ხმამაღლა ისაუბრონ.

„იმედინიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*



**100 ტყუილი** გვაქვს დათვლილი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ **12 წლის განმავლობაში** ჩვენს მოქალაქეებს მიჰყიდა — **ეს უნდა დამთავრდეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ზვიად კუპრავა**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



დღეს ვდგავართ იქ, **სადაც ვიდექით 12 წლის წინ** — გამოსავალი ერთია: **არც ბიძინა და არც მიშა.**

„ინტერპრესნიუსი“



### ფაქტია, სანქციები ეფექტურია, „ქართულმა ოცნებამ“ უკან დახევა დაიწყო, ემზადება ხელისუფლების გადაბარებისთვის

# ყურებიანი პენსილვანია

ნეტავ, ამას ყოველი არჩევნების დროს ატყუებენ, რომ „ოცნება“ ხელისუფლებას აბარებს თუ ეგეთ სისულელეებს თვითონ იგონებს და აღმაშენებლის სტრატეგიად ნათლავს?!

ამბობენ, **ხალხი ბრძენიაო და, იცით, ყველაზე მეტად ხალხი ბრძენი როდის იყო? როცა ამას ყურებიანი პენსილვანია უწოდეს (თლა ისე ვერ ვიტყვი, რანაირადაც უწოდეს).**

აბა, კაცო... „ოცნებას“ მეტი საქმე არა აქვს, შენნაირებს ძალაუფლება გადააბაროს... ისე, სხვა რამე რომ შემოგთავაზოთ?

აი, მაგალითად, **შეგვიძლია, სამი ბატი ჩაგაბაროთ, ოღონდ ხელწერილის საფუძველზე, თან პირობა უნდა დადო, დილით რომ გარეკავ, საღამოს ისევ სამ ცალს მორეკავ. შეგვიძლია, შაქრო პაპას დაზღვეული სახედარიც ჩაგაბაროთ ცოტა ხნით.**

☺

არა? ვერ შეძლებ?

რავი, მაშინ **25-სანტიმეტრიანს ჩაგაბარებთ** და ითამაშე, იქნებ ოქტომბრის **26-ში რამეში გამოგადგეს!**

# უფმ-ინდაური




### ივანიშვილი ყოველთვის ძალაუფლების მსურველი იყო და მისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს

მარტო მე მეჩვენება, თუ თქვენც ატყობთ, რომ **ესენი საკუთარი ხელით ითხრიან პოლიტსამარეს, რათა 26-ში შიგ ჩაწვნენ და მიწაც თავადვე წაიყარონ?**

არა, სისულელეების თქმა **გამიგია,** აცა-ბაცა ლაპარაკიც **გამიგია,** არაადეკვატურობაც **გამიგია,** რეალობიდან მოწყვეტაც **გამიგია,** ტყემლის ტოტზე შემოჯდომა და იქიდან ბლი კურკების სროლაც **გამიგია,** ცხვრის კურკლის ჭამაც **გამიგია,** ბატის სკლინტის ალოკვაც **გამიგია,** მაგრამ აეს რა სპორტია, ვერ ვხვდები და, ალბათ, ვერც ვერასდროს მივხვდები.

ქალო, **ბიძინა ივანიშვილს** შეიძლება ათასი რაღაცა დააბრალო, მაგრამ **მისთვის წმინდა არაფერი არსებობსო,** მაგის თქმა როგორ შეიძლება?

არა, აგერ, „ვივამედში“ გიწევთ წმინდანი!

☺

**რაც შეეხება ძალაუფლების მსურველობას, ეგ ცოტა სხვანაირად არი — ქარაქუცა ჭუჭულიკებს ხელისუფლებაში რომ არ გიშვებთ, ეგ იმას არ ნიშნავს, თითქოს ძალაუფლება სწყურია. რა ქნას? ინდაურებს ძალაუფლება რანაირად გადააბაროს?!**

კაცმა სამება ააშენა, უამრავ ეკლესია-მონასტერს რესტავრაცია ჩაუტარა, 3 მილიარდზე მეტი ამ ქვეყანას მოახმარა, წესიერი ოჯახი ჰყავს, მიშასავით ყველა ორღობეში ბავშვებს არ აკეთებს და ამბობ — მაგისთვის წმინდა არაფერი არსებობსო.

**შე უწმინდურო, მიაფსი წმინდან მიშას — შენს ბელადს!**

# შილას მოლოდინში




გამოვლენ, **ჩამოსხდებიან პანაშვიდური გამომეტყველებით** და რაღაცას ლაპარაკობენ — მთავრობამაო, მთავრობასაო, იქიდანაო, აქედანაო, **ამათ უკან დაიხიესო, ჩვენ გავიმარჯვეთო!**

რა მთავრობამა, **რა გაიმარჯვე, სად გაიმარჯვე,** ვინ ხართ, ვის დაჰკარგვიხართ, **ან** ვენახი არ გაქვთ დასაკრეფი, **ან** ბოსტანი არ გაქვთ მოსარწყავი, **ან** „ტრუსიკები“ არ გაქვთ გასარეცხი, **ან** ჯამჭურჭელი არა გაქვთ გასალაღლაღებელი, **ან** კაკალი არ გაქვთ დასაბერტყი?

ამდენი ხანია, საზოგადოებაში ტრიალებთ, მაგრამ **ხალხს თავი ვერაფრით დაამახსოვრეთ,** ერთი ხე არსად დაგირგავთ, ერთი ადამიანისთვის ხელი არ გაგიწოდებიათ, მეზობლისთვის ერთი პური არ მიგიწვდიათ, **რა გინდათ, ვის ეტოლებით, ვის ერქინებით, ვის დამხობასა და გაშვებას ლამობთ?**

არ გამოვა მაი ამბავი, თქვენ ბუნების კანონს ეწინააღმდეგებით! არა, ერთი უყურეთ, რანაირად სხედან — **გეგონება, ხაშლამა და შილა დაუგვიანესო!**

# ამდენ კუალიციას რა გახვეტავს?

სუ მეგონა, ერთი **კუალიცია** იქნებოდა და იოლად, იოლიებში ოფლის გადენის გარეშე გავიტანდით გლდანის ნაგავსაყრელზე. ყველამ **კუალიცია** რამფერ მოინდომა? ჩაჯვის **კუალიციაო,** მამუკის **კუალიციაო,** ჭიჭეს თუ ჭუჭუს **კუალიციაო,** ნაცბოზების **კუალიციაო,** იმის **კუალიციაო,** ამის **კუალიციაო** (ყველა **კუალიციას** რამფერ დაიმახსოვრებ?), მერე კიდო, სუ **კუალიციები** რო გავიმარჯვებთ არჩევნებში, მთავრობაც **კუალიციური** უნდა გვყამდეს, ძალაუფლება **კუალიციურად** უნდა გადავინაწილოთ, ეს იქნება ნამდვილი **კუალიციური** პლურალიზმი, ეხლა აქ ტირანიააო.

☺

როგორც ითქვა, ქართული ჟჟჟუუუურრრნალისტიკაც **კუალიციური** იქნება — ერთი რო შაჰყოფს მიკროფონსა, მეორე გამოჰყოფს, ხან შავნოდარასი იქნება **შაყოფილი,** ხან კიდე — გალსტუკიანის **გამოყოფილი.**

ასე რომ, **ყოფილი** სააკაშვილები ტყუილად გაირჯებიან!




### დღეს ვდგავართ იქ, სადაც ვიდექით 12 წლის წინ – გამოსავალი ერთია: არც ბიძინა და არც მიშა

# შენზე ამდენი არც უნდა დამეწერა!

მე ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ვბრაზობ, რომ ერთ დროს ესეც კაცი მეგონა!

მეთქი, **ტიპმა სამტრედიაში რკინიგზა გადაკეტა, საბჭოთა კავშირი დაანგრია, რუსეთს სანქციები დაუწესა... ბოლო-ბოლო, ზვიად გამსახურდიას იცნობდა, ხელი ჩამოურთმევნია, დამოუკიდებლობის აქტზე იგივე ხელით ხელი მოუწერნია, ზვიად გამსახურდიას სამტრედიის პრეფექტადაც დაუნიშნავს...** ბოლო-ბოლო, ბიძინა ივანიშვილის სახელით ორჯერ პარლამენტში მომჯდარა...

**შეიძლება,** რაღაცა გეწყინოს, **შეიძლება,** სიაში ჩაუსმელობის გამო გაბრაზდე, **შეიძლება,** ჭორებს აჰყვე და გუნება-განწყობილება აგემღვრას, **შეიძლება,** ფინთი სიზმარი ნახო და სული აგიძაღლდეს, ეს ყველაფერი ადამიანური სისუსტეებია, მაგრამ **კაცს, რომელმაც 8 წელიწადი გათრია და, ფაქტობრივად, ქვემო ქართლი ჩაგაბარა, ჯერ რა ნამუსით ათანაბრებ მიშასთან და მეორეც — მის მოშორებას რანაირად ცდილობ და ვისთან ერთად ცდილობ, მოღალატეებთან ერთად?!**

☺

ვზივარ და ვფიქრობ... **ამ ქვეყანაში მართლა ყველაფერი მოსულა? აღარც სინდისი არსებობს, აღარც ნამუსი, აღარც კაცობა და აღარც ადამიანობა?** ოღონდაც სკამი დაითრიო და ეშმაკთანაც გააბამ ურთიერთობას? 8 წელიწადი ეგდე „ქართულ ოცნებაში“, ამ დროის განმავლობაში ერთი გადაბრუნებული სიტყვა არ დაგცდენია, ერთი პრეტენზია არ გამოგითქვამს, იბაირამე და ახლა გახდა ბიძინა შესაცვლელი და ახლა გახდა „ქართული ოცნება“ გასაშვები? **მერე, ვისთან ერთად აპირებ შემობრუნებას, თაღლითებთან ერთად?**

არ გამოვა მაი ამბავი, რამსები გაქ არეული, ზვიად! არ მეგონა, თუ ასე მალე დაამთავრებდი. **ისე კი, შენზე ამდენი არც უნდა დამეწერა!**

## კვირგვინოსნები

**სოფო ჯაფარიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილი** მესამე წელია, რუსეთს „ქართული ოცნების“ ხელით ჰყავს ოთხ კედელში გამოკეტილი, მაგრამ **სააკაშვილი დღეს არის ისეთი ძლიერი, როგორიც არასოდეს.**

„პირველი არხი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მიხარია, რომ ოპოზიცია ძალას იკრებს — **ამ ძალაშია ჩვენი გამარჯვების რეცეპტი.** ვერავინ წამოაგეს იმაზე, რომ ერთმანეთს ურტყან, **ყველას სამიზნე ოლიგარქზე აქვს გასწორებული.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**მიხეილ სააკაშვილის თავისუფლების შემთხვევაში** ბევრად უფრო მარტივად იქნებოდა **ივანიშვილისა და სახელმწიფო მტრების ჩამოშორება** ხელისუფლების სადავეებიდან.

„პირველი არხი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



არჩევნებში ჩვენი გამარჯვების შემდეგ **ყველა გურულს ევროპული პასპორტი და პენსია ექნება.**

„პირველი არხი“

**მამუკა გამყრელიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ გენერალური მდივანი*



26 ოქტომბერი იქნება **ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან რთული და მძიმე** არჩევანის დღე.

„ახალი თაობა“

**გია ჯაფარიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ჩვენ გვექნება გამარჯვების სია, **ჩვენ არ ვემზადებით მეორე ადგილისთვის,** ვემზადებით გამარჯვებისთვის.

„პირველი არხი“

# ბარემ, ყურებზეც გაიარეთ!

*სოციალურ ქსელ „ტიკ ტოკში“ გავრცელდა ვიდეო, რომელშიც მამუკა ხაზარაძის საარჩევნო კოალიციის წევრი ალეკო ელისაშვილი თავდაყირა დგას და ხელებით დადის.*

ვიდეოში 9-ნომრიანი საარჩევნო ბანერის წინ მდგარ **ელისაშვილს,** რომელსაც 9-ნომრიანი საარჩევნო მაისური აცვია, ეუბნებიან — ***„ალეკო, გვითხარი ერთი შენი გამოუსადეგარი ნიჭი“,*** რაზეც იგი პასუხობს — ***„კი არ გეტყვით, გაჩვენებთ“,*** მერე კი ორივე ხელზე დგება და თავდაყირა მოძრაობს.

ცხადია, ეს გახლავთ ე.წ. საიმიჯო ვიდეო, რომელმაც **ელისაშვილი** ამომრჩეველს აპოლიტიკური კუთხით უნდა დაანახოს და მის მიმართ პოზიტიური განწყობა შეუქმნას, აქაოდა — როგორი მხიარული, ლაღი, მოქნილი და ელასტიური ბიჭი ყოფილაო!

სინამდვილეში, **თავდაყირა მდგარი და ხელებზე მოსიარულე ელისაშვილის** ხილვა სულ სხვა ასოციაციებს აღძრავს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის უპრინციპობასა და პოლიტიკურ უთავმოყვარეობას.

უფრო მეტიც, **მამუკა ხაზარაძის** საარჩევნო შტაბში **ალეკო ელისაშვილის თავდაყირა დგომა** იმის სიმბოლური გამოხატულებაა, რომ მთელ კოლექტიურ ნაცოპოზიციაში **თავდაყირა დგას** ყველა ის ფასეულობა, რომლის გარეშეც ადამიანი ადამიანად არ ვარგა და პოლიტიკოსი — პოლიტიკოსად!

აბა, შევხედოთ: დღეს **მამუკა ხაზარაძის** საარჩევნო შტაბში, **მამუკა ხაზარაძის** საარჩევნო ბანერის ფონზე, **თავდაყირა დგას სწორედ ის ალეკო ელისაშვილი,** რომელიც გუშინ იმავე **მამუკა ხაზარაძეს** პირდაპირ ეთერში, მთელი ქვეყნის გასაგონად **ყაჩაღს** ეძახდა — როცა ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ და ძვლებში ამტვრევდნენ, შენ და შენი ბანკი ადამიანებს ბინებიდან ყრიდით, ხოლო სააკაშვილის რეჟიმის მიერ დატუსაღებულ და ფეხებით ჩამოკიდებულ ბიზნესმენებს ღამით კრედიტებს უფორმებდითო!

თავის მხრივ, **მამუკა ხაზარაძე,** რომლის საარჩევნო შტაბშიც **ალეკო ელისაშვილი დღეს თავდაყირა დგას,** იმავე ელისაშვილს ტყუილების გუდას უწოდებდა და თითის ქნევით ეუბნებოდა — შენნაირ ადამიანს ხელსაც არ ჩამოვართმევ, ოპოზიციის სიახლოვეს გავლილი არ დაგინახოო!

მიუხედავად ამისა, **ხაზარაძემ და ელისაშვილმა** ერთმანეთს არათუ ხელი ჩამოართვეს, არამედ ერთურთს პოლიტიკური კუდებით გადაენასკვნენ და საზოგადოებას უმტკიცებენ — სამშობლოს სიყვარულმა პირადი წყენები გვერდზე გადაგვადებინაო!

ცხადია, **ხაზარაძესა და ელისაშვილს** სრული უფლება აქვთ, ერთმანეთს პირადი წყენები აპატიონ, მაგრამ ეს სულაც არ აბათილებს იმ სიტყვებს, რასაც ისინი ერთმანეთს პირდაპირ ეთერში ეძახდნენ — **ყაჩაღი, ხალხის მყვლეფავი, ბინებიდან ადამიანების გამომყრელი, ნაცრეჟიმის მიერ დაპატიმრებული ბიზნესმენების გამტყავებელი, ტყუილების გუდა, ოპოზიციის სიახლოვეს არგასაკარებელი და ა.შ.**

თუმცა, **ხაზარაძეს** ელისაშვილის ბოღმა კვლავაც გულში რომ უდევს და, სინამდვილეში, მისთვის არაფერი უპატიებია, ამას თუნდაც „ლელოს“ ბაზაზე შექმნილი კოალიციის საარჩევნო სია მოწმობს, რომელშიც **ელისაშვილი მე-20 ნომრად წერია.** სამაგიეროდ, **ანა დოლიძე და ლევან ცუცქირიძე,** რომლებიც ხაზარაძეს ელისაშვილთან ერთად მიუერთდნენ, საარჩევნო სიაში მე-2 და მე-5 ნომრები არიან. შესაბამისად, **თუ სასწაული მოხდება და ხაზარაძის ურეიტინგო კოალიცია 5-პროცენტიან საარჩევნო ბარიერზე გადაბობღებას მოახერხებს, დოლიძე და ცუცქირიძე პარლამენტში მოხვდებიან, სიის მე-20 ნომერი ელისაშვილი კი დეპუტატის მანდატის გარეშე დარჩება.**

**ხაზარაძისაგან** ასეთი დამცირებისა და პოლიტიკური ჭიტლაყის ამორტყმის მიუხედავად, **ელისაშვილი** მის საარჩევნო შტაბში **მაინც თავდაყირა დგას და ხელებზე დადის,** რაც შესაძლოა, იმას უკავშირდებოდეს, რომ საარჩევნო სუბიექტებს 2024 წლის 8 ოქტომბრამდე შეუძლიათ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენილ სიებში კორექტივები შეიტანონ.

ჰოდა, შეიძლება, **ელისაშვილს** იმის იმედი აქვს, რომ, თუ თავდაყირა დადგება და ხელებზე გაივლის, **ხაზარაძე** წყალობის თვალით შეხედავს და საარჩევნო სიაში რამდენიმე ადგილით წინ წასწევს!

გარდა ამისა, **ელისაშვილის თავდაყირა დადგომა და ხელებზე სიარული** შესაძლოა, უცხოელი პატრონებისათვის განკუთვნილი გზავნილი იყოს — კოლექტიური ნაცები მზად ვართ, თქვენს ნებისმიერ დირექტივაზე **თავდაყირა დავდგეთ და ხელებზე კი არა, ყურებზეც გავიაროთ,** ოღონდ ხელისუფლების დამხობაში დაგვეხმარეთ და მთავრობაში დაგვსვითო!

სხვანაირად თუ ვიტყვით, **ალეკო ელისაშვილის თავდაყირა დგომა** იმ განცხადების ვიზუალური გამოძახილი და ილუსტრირებული გაგრძელებაა, რომელიც ყოფილი სახალხო დამცველის **ნინო ლომჯარიას** მოადგილემ **გიორგი ბურჯანაძემ** გასულ წელს გააკეთა — **ევროკავშირმა ერთი კვირის განმავლობაში ცალ ფეხზე დგომაც რომ მოგვთხოვოს, უნდა დავდგეთო!**






## ელისაშვილი ხაზარაძეს თავდაყირა დაუდგა!





გიორგი ბურჯანაძე: რომ გვითხრან, ერთი კვირა ცალ ფეხზე უნდა იდგეთო, უნდა ვიდგეთ და გავაკეთოთ ყველაფერი

**ალეკო ელისაშვილის თავდაყირა დგომა იმ განცხადების ვიზუალური გამოძახილი და ილუსტრირებული გაგრძელებაა, რომელიც ყოფილი სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას მოადგილემ გიორგი ბურჯანაძემ გასულ წელს გააკეთა – ევროკავშირმა ერთი კვირის განმავლობაში ცალ ფეხზე დგომაც რომ მოგვთხოვოს, უნდა დავდგეთო!**

მოკლედ, **თავდაყირა დამდგარი, ხელებზე მოსიარულე და ცალ ფეხზე მოხტუნავე კოლექტიური ნაცლიბერალები** მზად არიან, ხელისუფლებაში მოსასვლელად **ქვეყანა თავდაყირა დააყენონ,** მაგრამ ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობაც მზად არის, **თავდაყირა დააყენოს კოლექტიური ნაცლიბერალებისა და მათი უცხოელი პატრონების აწ უკვე გაცხადებული და დაუფარავი გეგმა,** რომელიც 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ე.წ. მაიდნის მოწყობასა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას ითვალისწინებს!

სანამ ქართველი ხალხი მოწოდების სიმაღლეზე დგას, **თავდაყირა დამდგარი ელისაშვილი და მისნაირი პოლიტიკური არარაობანი,** სულ რომ თავიანთ გენიტალიებზე მაღლა ახტნენ და ჰაერში გაიკვანძონ, საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლას ვერ ეღირსებიან!

**თავდაყირა დამდგარი, ხელებზე მოსიარულე და ცალ ფეხზე მოხტუნავე კოლექტიური ელისაშვილების გზა მხოლოდ პოლიტიკური მოუსავლეთისაკენ მიდის!**

*ჯაბა ხუბუა*

გენერალისიმუსი

№48 (284) ★ 2024 წლის 7 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*კრემლიდან საქართველოს მიმართ პოზიტიური რეპლიკები მოხშირდა. ოსებთან ურთიერთობების აღდგენის ბიძინა ივანიშვილისეულ განაცხადს უმალ თვით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემხვედრი ჟესტით უპასუხა და ქართველებს აფხაზებთან და ოსებთან შერიგებაში დახმარება აღუთქვა. — „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გასაღები კრემლმა თბილისს გადასცა!“ — მიაჩნია*



*პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანს **მამუკა ფიფიას,** რომელიც პირადად მონაწილეობს რუსეთის ვერტიკალის უმაღლეს წარმომადგენლებთან გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში:*

# მამუკა ფიფია: ქართველობა „შინ ევროპაში“ კი არა, ღირსებით შინ – სახლებში, მშობლიურ კერებზე შეაბიჯებს!




**„ევროპაში ღირსებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შევალთ, თუ ევროპა ზნეობის სტანდარტებს დააკმაყოფილებს — აკრძალავს ლგბტ პროპაგანდას, კონსტიტუციურად დააკანონებს, რომ ქორწინება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირია; შეწყვეტს მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო ხალხების დევნა-შევიწროებას!“**

— რუსეთის მხრიდან ადრეც ისმოდა პოზიტიური გზავნილები, თუმცა, საქართველოში ყურადღებას არ აქცევდნენ. მინისტრ **სერგეი ლავროვის** ახალი განაცხადება კი, რომლითაც ის ბიძინა ივანიშვილს გამოეპასუხა, სრულად შეესაბამება თანამედროვე რუსეთის პოლიტელიტის ერთიან პოზიციას. ნურავის ეგონება, თითქოს ბატონმა ბიძინამ წინასწარ დაწერილი „სცენარით“ იმოქმედა. პირიქით — კრემლისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ეს გაბედული განცხადება, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაუყოვნებლივ დაისჯება ყველა, ვინც ომი დაიწყო და ქართულ-ოსური ძმური ურთიერთობები მოშალა! უთუოდ უნდა აღვნიშნო — ბატონი ბიძინა არ შეეპუა მნიშვნელოვან განსაცდელებს, რაც ამ განცხადების შემდეგ მის პირად უსაფრთხოებას დაემუქრა! მოსკოვში ერთხანს დაბნეულობით მხრებს იჩეჩდნენ, ვიდრე თქვენი მონა-მორჩილი **სერგეი ლავროვისა და დიმიტრი კოზაკის** *(პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაციის უფროსის **ანტონ ვაინოს** მოადგილე, რომელსაც ამიერკავკასიის ქვეყნებთან დაკავშირებული საკითხები აბარია)* გუნდებს, ასევე რუსეთის დუმის დსთ-ის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ლეონიდ კალაშნიკოვს** კონსულტაციების ფორმატში არ ვესაუბრე და ვთხოვე, სასწრაფოდ დაეფიქსირებინათ საპასუხო პოზიცია. ამას თავდაპირველად **ლეონიდ კალაშნიკოვის** ინტერვიუ მოჰყვა და ბიძინა ივანიშვილს „გაბედული პოლიტიკოსი“ უწოდა; შემდეგ რუსეთის ცენტრალურ მედიაში **სერგეი ლავროვის** ცნობილმა კომენტარმაც არ დააყოვნა.

**— რუსეთის პირველხარისხოვან პოლიტიკოსებს რჩევებს რა სტატუსით აძლევთ? როგორ შეძელით მათი ყურადღების ცენტრში მოხვედრა?**

— მათთან შესახვედრად რაიმე განსაკუთრებული საშვი არ მჭირდება. ჯერ ერთი, იმ ქართული პარტიის საერთაშორისო მდივანი ვარ, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ ელიტას პირისპირ ესაუბრება. ოღონდ, ჩემი პიროვნული კონტაქტებიც დიდ როლს თამაშობს. სხვადასხვა დროს რუსეთის დუმის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეების **იოსებ კობზონისა და სტანისლავ გოვორუხინის** თანაშემწედ ვმუშაობდი, მაგრამ ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, მეგობრები და პარტნიორებიც ვიყავით. **კობზონის** გვერდით ყოფნისას, პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** ჩათვლით რუსეთის მთელი პოლიტიკური ელიტა პირადად გავიცანი — **კობზონს** ხომ ყველა სფეროში ჰყავდა გავლენიანი მეგობრები. **ვლადიმერ პუტინის** საარჩევნო შტაბშიც მომიწია მუშაობა, რომელსაც **სტანისლავ გოვორუხინი** ხელმძღვანელობდა. ამასობაში უამრავი ადამიანი მეც დამიმეგობრდა, რომელთა ნაწილი დროთა განმავლობაში თანამედროვე რუსეთის ვერტიკალის მაღალჩინოსნებად მოგვევლინა. ისინი მარტო მეგობრები კი არა, პირადად ჩემი და, შესაბამისად, ჩემი თანამემამულეების გულშემატკივრებიც გახდნენ.

**— პრეზიდენტ პუტინთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— 2003 წლის ნოემბერში, როდესაც **შევარდნაძემ** კომენდანტის საათი გამოაცხადა, **ვლადიმერ პუტინი** ჩვენი ოჯახის რესტორანში **იგორ ივანოვთან** ერთად ვახშმობდა და სწორედ იმ სუფრასთან შეიტყო მომხდარის შესახებ, სადაც მეც ვიმყოფებოდი. პირადად შევესწარი, როგორ დაავალა ბატონ **იგორ ივანოვს** — ჩემი თვითმფრინავით სასწრაფოდ თბილისში გაფრინდი და მხარეები გააშველე, თორემ სისხლი დაიღვრებაო! სხვათაშორის, **იგორ ივანოვმა** სულ რამდენიმე დღის წინ ჩემთან პირისპირ საუბრისას კონკრეტულად გაიხსენა **შევარდნაძისა და სააკაშვილის** გუნდებთან შეხვედრის დეტალები, მოჰყვა, როგორ მოარიგა ერთმანეთთან მხარეები ნახევარი წლის შემდეგ ახალი არჩევნების ჩასატარებლად. მერე ხელი ხელს დაარტყეს და **ივანოვი** აჭარაში გაფრინდა, სადაც ტრაპთან **ასლან აბაშიძე** შეეგება და აუწყა, რომ ვიდრე **ივანოვის** თვითმფრინავი ჰაერში იმყოფებოდა, **შევარდნაძე** იძულებული გახადეს, გადამდგარიყო, ხოლო ძალაუფლება რევოლუციონერებმა აიღეს...

**— ანუ სააკაშვილმა რუსეთის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა?**

— ეს იყო **სააკაშვილისგან** ურცხვი ტყუილი, მისგან რუსეთის პირველი გადაგდება, რაც შემდეგში კიდევ რამდენჯერმე განმეორდა, ვიდრე მათი ნდობა ბოლომდე არ დაკარგა. სააკაშვილს სჩვეოდა უღირსი საქციელი და საკუთარი სიტყვის გატეხა, რამაც საქართველო კატასტროფამდე მიიყვანა. თუმცა, ახლა საქართველოში ხელისუფლებაში არიან სხვა ყაიდის ადამიანები, რომლებიც მზად არიან, მოუსმინონ მეზობლებს, გაითვალისწინონ მათი ინტერესებიც და 3 ათეული წლის განმავლობაში განვრცობილი კონფლიქტის გადასაჭრელად ნაბიჯები სწორი მიმართულებით გადადგან!

**— მიგაჩნიათ რომ, საქართველოს უმთავრესი პრობლემის — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მოსკოვში ძევს? რამდენად რეალურია საქართველოს გამთლიანების პერსპექტივა?**

— გვეუბნებოდნენ, რომ საქართველოს გამთლიანების გასაღები მოსკოვშია, მაგრამ გეოპოლიტიკური მდგომარეობა დღეისთვის იმგვარად შემობრუნდა, რომ ეს გასაღები რუსებმა ჩვენ გადმოგვცეს და ამჟამად მხოლოდ ქართველების ადეკვატურ მოქმედებებზეა დამოკიდებული ამ სანუკვარი მიზნის მიღწევა! ყველაფერი ბუნებრივად ისე ვითარდება რომ საბოლოო მიზანი მალე აღსრულდება კიდეც, **მთავარია, ქართველებმა რაიმე უხეში შეცდომის დაშვების გამო თავად არ შევაჩეროთ ეს პროცესი;** მთავარია, 26 ოქტომბრის არჩევნებზე სწორი არჩევანი გავაკეთოთ, შეუმცდარი პასუხი გავცეთ გამოწვევას — **გვინდა თუ არა საქართველოს გაერთიანება?**

**გვინდა თუ არა საქართველოში სტაბილური მშვიდობის დამყარება? ოჯახურ ღირებულებებს, ზნეობას, დედის და მამის ტრადიციულ აღქმას ვანიჭებთ უპირატესობას თუ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას?** აქცენტს ამაზე იმიტომ ვაკეთებ, რომ

## ოსიც და აფხაზიც ინტერესით ელოდება ჩვენს არჩევანს და გამორიცხულია, ქართველებთან თანაარსებობის სურვილი შერჩეთ, თუ ჩვენ ტრადიციულ ღირებულებებს განვუდგებით და ფსონს ლგბტ დღის წესრიგზე დავდებთ!

გამომცდელად შემოგვყურებენ კავკასიის მთიელი ერებიც, ასევე აზერბაიჯანელები და თურქებიც, რადგან ჩვენი არასწორი არჩევანი მათთვის საფრთხის მომტანი, შესაბამისად კი, საქართველოს მიმართ აგრესიის საფუძველი გახდება; ხოლო ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთ გარანტ ქვეყანას — რუსეთს — თავადვე მოვუსპობთ გარეშე მტრისგან ჩვენი დაცვის ყოველგვარ მისწრაფებასა და მოტივაციას! მეტიც, **არასწორი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში საქართველო აშშ-ის პოლიგონად იქცევა, შესაბამისად, რუსეთისთვისაც მკვეთრ საფრთხედ ჩამოყალიბდება, რასაც მისი მხრიდან ადეკვატურ მოქმედებათა მთელი ციკლი მოჰყვება.** ამასაც თავი დავანებოთ, **სამეზობლო არასოდეს გვაპატიებს სატანისტური ძალებისა და ლგბტ ჯგუფების სათარეშო, სამარცხვინო არენად ჩამოყალიბებას.** ამიტომ არჩევანი ნათელია და, თუ მას უყოყმანოდ გავაკეთებთ, საქართველო არამხოლოდ გამთლიანდება, მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები ჩვენი უსაფრთხოების გარანტებადაც კი მოგვევლინებიან!

**— და ღირსებით ევროპაშიც შევალთ?**

— ევროპაში ღირსებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შევალთ, თუ ევროპა ზნეობის სტანდარტებს დააკმაყოფილებს — აკრძალავს ლგბტ პროპაგანდას, კონსტიტუციურად დააკანონებს, რომ ქორწინება მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირია; შეწყვეტს მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო ხალხების დევნა-შევიწროებას! გვეძლევა უნიკალური შანსი, ბოლოს და ბოლოს, ოპტიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა, დავრჩეთ ქართველებად, სუვერენულ ქვეყნად და არავის ვუკმიოთ გუნდრუკი. დროა, მივხვდეთ, რომ **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით ჟენევის ფორმატი ადგილის ამაოდ ტკეპნაა,** რომლის ფარგლებშიც ნამდვილი მოლაპარაკება არასოდეს ყოფილა და მხოლოდ მოლაპარაკების იმიტაცია ხდებოდა. შვეიცარიაში რუსეთის მტრები სხედან, რომლებმაც რუსეთის ფულები მოიპარეს. **ბიძინა ივანიშვილიც** პირველმა შვეიცარიამ დაასანქცირა! უფრო მეტიც, შვეიცარია უკრაინის ომში მხარედ ჩამოყალიბდა, შესაბამისად, თავის მტრებთან რუსი არ დაჯდება და გამორიცხულია, საერთო ენა გამონახოს.

აფხაზებთან და ოსებთან მხოლოდ პირდაპირ, უშუალოდ საუბარს ექნება აზრი. ჩვენი პარტიის ინიციატივა გახლდათ და რამდენიმე თვის წინ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუშიც აღვნიშნე, რომ მოლაპარაკებებისთვის აზრის მიცემის მიზნით, ჟენევის ფორმა-

## პოლიტიკოსის თვალსაზრისით ★

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*



იგორ ივანოვი და მამუკა ფიფია

# მამუკა ფიფია:

# არ შევუშალოთ ბიძინა ივანიშვილს ხელი საქართველოს გაერთიანებაში!

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*



**„ვფიქრობ, ეს არის ბრძნული გეგმის ნაწილი...“**

ტი მინსკის ფორმატით უნდა შეიცვალოს. თუმცა, ამჟამად რუსეთის პოლიტიკურ კულუარებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მინსკისა თუ ნებისმიერი სხვა ფორმატი ზედმეტია და მოლაპარაკებები უშუალოდ თბილისსა და სოხუმში უნდა გაიმართოს. რაც მთავარია, გამოიკვეთა, რომ რუსები საქართველოსთან მიმართებაში შემხვედრ ნაბიჯებზე იმდენად წამოვლენ, რამდენადაც საქართველოს ამისი სურვილი ექნება!

**— ასე რატომ მიგაჩნიათ?**

— საქართველომ დასავლეთის დაჟინების მიუხედავად, რუსეთს ფრონტი არ გაუხსნა. საპასუხოდ, რუსეთმა შეამსუბუქა სავიზო რეჟიმი და აღადგინა პირდაპირი ფრენები. ამჯერად ოსებთან და აფხაზებთან შერიგების ბიძინა ივანიშვილისეულ ინიციატივას უმალ გამოეხმაურა რუსეთი ამ საქმეში დახმარების დაპირებით! ანუ საქართველოს მხრიდან კეთილ ჟესტს რუსეთიდან მუდამ ადეკვატური პასუხი მოსდევს!

**— მაინც, როგორ დაგვეხმარებიან რუსები? აფხაზებსა და ოსებს ჩვენთან პოზიციების შეჯერებას დააძალებენ?**

— აფხაზები და ოსები ისედაც ფიქრობენ თავიანთ მომავალზე. მათ მშვიდობა სურთ და, თავის მხრივ, თბილისისგან ძალის გამოყენებაზე უარის დაპირებას დააყენებენ დღის წესრიგში. კანონზომიერი და ლოგიკური იქნება, თუ ამ პირობას ჩვენგან მიიღებენ და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად მზადყოფნას დაინახავენ. **თუ აფხაზებსა და ოსებს დაძმებსა და თანამოქალაქეებს გულწრფელად ვუწოდებთ, ქართველები აღარ უნდა ვფიქრობდეთ მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე!**

**— ჰო, მაგრამ, ასეთი მიდგომა ძალაუნებურად ხომ არ მიგვიყვანს მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებამდე, რაზეც ოპოზიცია გაჰყვირის?**

— არავითარ შემთხვევაში. თუ მათ ვეუბნებით, რომ საკითხის მშვიდობიანი ფორმით გადაჭრა გვსურს, ისინი აუცილებლად გვიპასუხებენ, რომ ეს პოზიცია დოკუმენტის სახით განვამტკიცოთ. ეს არანაირ კავშირში არ არის ჩვენგან მათი დე ფაქტო სტატუსის აღიარებასთან. **არ უნდა ვიუცხოოთ, როცა აფხაზები და ოსები თავიანთი ოჯახებისა და შთამომავლობისთვის მშვიდობიანი გარემოს შესანარჩუნებლად თადარიგს იჭერენ.** თანაც, თავის მხრივ, ეს იქნება მოლაპარაკების სხვა, გაცილებით მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლის საფუძველი. მაქვს გონივრული ვარაუდი, რომ, როგორც კი აფხაზებთან და ოსებთან ქართველების მოლაპარაკება დაიწყება, მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებას ჩვენი ამჟამინდელი „სტრატეგიული მოკავშირეები“ — ევროკავშირი და აშშ შეეცდებიან, რათა შერიგების პროცესი ჩაშალონ. მეორე მხრივ, გამოიკვეთება მძლავრი საფრთხე თურქეთიდან!

**— დააკონკრეტეთ ეს საფრთხე.**

— მოგეხსენებათ, თურქეთში მილიონამდე ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს, რომელთაც აფხაზეთზე გავლენის მოპოვების საკუთარი ამბიციები გააჩნიათ და აფხაზეთში მცხოვრებთ აფხაზებად არც აღიარებენ, რადგან სისხლით ქართველებად მიიჩნევენ. 27 სექტემბერს სტამბოლში სწორედ მათი ხმაურიანი აქცია გაიმართა. **თურქეთს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ყარსის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, უფლება აქვს, ბათუმზე პრეტენზია გამოაცხადოს, თუმცა, დამატებით აფხაზეთზე, ფოთზე და, ფაქტობრივად, მთელ ქართულ აკვატორიაზე უჭირავს თვალი,** რათა რუსებს ფსოუს გაღმიდან უთხრას „სალემ ალეიქუმ!“ აღარაფერს ვამბობ გურიასა და მესხეთზე — მთელ რიგ სახელმძღვანელოებში ეს კუთხეები თურქეთის მიწებად არის გამოცხადებული! თუ გავითვალისწინებთ აჭარასა და აფხაზეთში ისლამის და პანთურქიზმის გავლენას; თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ირგვლივ განლაგებულია ქვეყნები, სადაც მუსლიმური სარწმუნოების მიმდევართა რიცხვი ჯამში 200 მილიონს (!) აღემატება, მივხვდებით, რამხელა საფრთხის წინაშე დგას სამშობლო და მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომლის დაცვის ერთადერთი გარანტი რუსეთია! ისლამური საფრთხის შემთხვევაში, არც ევროკავშირი და არც აშშ ჩვენ გამოთავს არ შეიწუხებენ. ღმერთმა ქნას, უფრო მეტი არ დავკარგოთ, ვიდრე უკვე მიტაცებული და დასაბრუნებელია.

**— ამ საზარელი პერსპექტივის ჩასახშობად რა უნდა ვიღონოთ?**

— სასწრაფოდ აღსადგენია დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან! მეტიც — ჩვენი სამხედრო დოქტრინა რუსეთის დოქტრინის თანხვედრი უნდა გავხადოთ, რადგან სხვა საყრდენი, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია, თანაც, საქართველოში ეთნიკური ბალანსი ლამის ყოველდღიურად ქართველების საზიანოდ იცვლება. სწორედ ამ ფონზე რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ერთადერთ გარანტად ძველებურად რუსეთი რჩება! თეორიულად რომ დავუშვათ, რუსეთის მხრიდან რეგიონში საკუთარ ინტერესებზე უარის თქმა, წონასწორობის ბალანსი უმალ მოიშლება და, ერთი მხრივ, თურქეთის, ხოლო, მეორე მხრივ, ირანის შეიარაღებული ძალები შემოიჭრებიან ჩვენს ქვეყანაში დარჩენილი ტერიტორიების გადასანაწილებლად. ვფიქრობ, ეს დიდი ხნის წინათაც მოხდებოდა, საქართველოში დღემდე ინერციით რომ არ მოქმედებდეს **გეორგიევსკის ტრაქტატი,** რომელიც ათასი ჯურის მომხდურთაგან გვიცავს! სწორედ ამიტომ მიმდინარე წლის 4 აგვისტოს, გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან 241-ე წლისთავზე **ერეკლე მეორის** მშობლიურ ქალაქ თელავიდან მივმართე რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ **ვლადიმერ პუტინს** და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ **ირაკლი კობახიძეს** წინადადებით — **დაიდოს რუსებთან თანამშრომლობის ახალი დოკუმენტი — სუვერენული ურთიერთპატივისცემის, ურთიერთინტერესების გათვალისწინებით, რისი თვითმხილველი პირადად თქვენც ბრძანდებოდით, ბატონო ზაზა.** ამ საფრთხეებისგან თავის დასაცავად ჩვენ უნდა ვიზრუნოთ რუსეთთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალების, თუნდაც აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის აღდგენაზე, რომელიც კოლექტიურმა დასავლეთმა 90-იან წლებში რუსეთთან საქართველოს კავშირების შეზღუდვის მიზნით დაკეტა! როკის გვირაბსაც უნდა დაუბრუნდეს არამხოლოდ ამიერკავკასიასთან, არამედ ირან-თურქეთთან რუსეთის დამაკავშირებელი მაგისტრალის მნიშვნელობა. დასავლეთმა კავშირების დახშობის მიზნით გააჩაღა კონფლიქტი ყარაბაღში და ყველა ერს მტრის ხატად რუსეთი დაუსახა! დიახ, ესენი დემონები არიან, რომლებიც თავს წმინდანად გვაჩვენებენ, მაგრამ დადგა დრო, ხალხმა პირჯვარი გადასახოს, ნაკურთხი წყალი აპკუროს და რეგიონიდან კისრისტეხით გააძევოს!

**— საზოგადოების ნაწილი ბოდიშის მოსახდელად ბიძინა ივანიშვილის მოწოდებას ამრეზით შეხვდა... ეს შერიგების პროცესს ხომ არ შეაფერხებს?**

— მოდით, არ შევუშალოთ **ბიძინა ივანიშვილს** ხელი საქართველოს გაერთიანებაში! ჩვენი ეროვნული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგჯერ საუკეთესო შეთავაზებასაც კრიტიკულად ვუდგებით. შეიძლება, **ბოდიშის** განცხადება წინასაარჩევნოდ არც იყო მომგებიანი, თუმცა, ზედმიწევნით გათვლილია ახლო მომავალში მოსალოდნელ, საქართველოსთვის სასარგებლო პროცესებზე. **ვფიქრობ, ეს არის იმ ბრძნული გეგმის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ქართველობა „შინ ევროპაში“ კი არა, ღირსებით შინ — სახლებში, მშობლიურ კერებზე შეაბიჯებს!**

**„შეიძლება, ბოდიშის განცხადება წინასაარჩევნოდ არც იყო მომგებიანი, თუმცა, ზედმიწევნით გათვლილია ახლო მომავალში მოსალოდნელ, საქართველოსთვის სასარგებლო პროცესებზე!“**

*ესაუბრა*

**ზაზა დავითაია**

# პოლიტიკოსის თვალსაზრისით ★



# მიხეილ ქვესელავა

# ახ

*იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“*

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43–47*

## გაპარსული ნადირები

პროცესზე მთელი დღის განმავლობაში უჩვენებდნენ გერმანელების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებათა შესახებ. ეკრანი ისე მოხერხებულად იყო გაკეთებული, რომ დარბაზის ყველა კუთხიდან კარგად ჩანდა, სინათლეს რომ ჩააქრობდნენ, მხოლოდ ბრალდებულთა სახეები რჩებოდა განათებული. ასეთ დროს ყოველი მათგანის წინ ენთებოდა პატარა ნათურა, რომ სპეციალურ პირებს საშუალება ჰქონოდათ, ფილმის დემონსტრაციის დროს თვალყური ედევნებინათ მათი რეაქციისთვის. ეს ძალაუნებურად ჩემს ყურადღებასაც იქცევდა, რადგან ის ფილმი უკვე რამდენჯერმე მქონდა ნანახი; ჯერ კიდევ ქალაქ კასელში ყოფნისას შემთხვევით დავესწარი ამ ფილმის მონტაჟს. ოთხმოცი ათასი მეტრი ფირიდან, რაც ორმოცდაათამდე სრულმეტრაჟიან კინოსურათს უდრის, გადარჩეულ იქნა ექვსი ათასი მეტრი.

ვიდრე ფილმის დემონსტრაცია დაიწყებოდა, ინგლისელმა ბრალმდებელმა განაცხადა:

— ჩემს მიერ წარმოდგენილი მასალები შემაძრწუნებელი იქნება და თქვენ იტყვით, რომ მე დაგიფრთხეთ ძილი...

თუმცა, ძილის დაფრთხობა რა არის ან გოიასა და დიურერის კოშმარული ხილვანი, როცა აქ თვით ცხოვრების უსაშინელესი სინამდვილეა აღბეჭდილი!.

...ჯერ მაიდანეკი აჩვენეს, უზარმაზარი ბანაკი. გაძვალტყავებული ადამიანები, გაზკამერები, კრემატორიუმი, სიკვდილით დასჯის პროცედურა, გაშიშვლებული ქალები და კაცები, სადღაც კუთხეში მიყრილი ტანისამოსი, ისევ გროვა ფეხსაცმელებისა, თმების საწყობები, ძვალსამტვრევი მანქანის მუშაობა, დახოცილთა გვამები...

მაიდანეკს ბუხენვალდი მოჰყვა, ბუხენვალდს — დახაუ, მერე — მაუტჰაუზენი. ყველგან მასობრივი დახვრეტები, კრემატორიუმები, ორმოებში ჩაყრილი შიშველი გვამები, დახოცილი ბავშვები. ვიღაცას ხეზე კიდებენ, ვიღაცას ძაღლებს აგლეჯინებენ...

პაპანაქება სიცხეში თავგადაპარსული ტუსაღი გამოჰყავთ ბანაკის ეზოში. ესესელები სახით მზისაკენ ბოძზე აკრავენ მას. ექიმები უყურებენ, ვიდრე მზე არ დაჰკრავს და მოკლავს, თან რა-



ოსვენციმის კომენდანტი რუდოლფ ჰოსი

ლაცებს იწერენ უბის წიგნაკში.

კოშმარული სურათები ერთმანეთს ცვლის. მთელი დარბაზი დაძაბულია. ზოგჯერ აღშფოთების წამოძახილიც ისმის. ვიღაც ხმამაღლა ყვირის:

— ღმერთო, ეს რა საშინელებაა!..

ლოურენსი ხის ჩაქუჩს ურტყამს მაგიდაზე და ხალხს აწყნარებს. ჩოჩქოლი მაინც გრძელდება. თავები თითქოს მექანიკურად მოძრაობენ, ხან ეკრანს უყურებენ, ხან — ბრალდებულებს. ბნელი დარბაზი პროჟექტორის ვიწრო ზოლითაა გადასერილი. შემოსასვლელ კარებზე ბჟუტავს წითელი სინათლე და ოდნავ ანათებს თავდახრილი თემიდას სახეს. მე ისევ განსასჯელთა სკამებისაკენ ვიყურები. გერინგი ეკრანს მისჩერებია და ღელავს, ჰესი ისევ წიგნს კითხულობს, რიბენტროპი გულხელდაკრეფილი ზის და ბი, ისინი ისევ იმ საშინელი სანახაობის შთაბეჭდილებით იყვნენ გაოგნებულნი:

დენიცი ბოლთას სცემდა და მეასეჯერ იმეორებდა ერთსა და იმავეს:

— ეს რა საშინელებაა! ღმერთო! ეს რა საშინელებაა!..

ფრიჩეს თავი მკლავებში ჩაერგო და ტიროდა. ჯილბერტი რომ შევიდა მასთან, ცრემლი კი მოიწმინდა, მაგრამ ისევ ისე გულამომჯდარმა უთხრა:

— არავითარ ზეციერ და მიწიერ ძალას არ შეუძლია, მორეცხოს ეს სირცხვილი გერმანელ ხალხს... არც მომავალ თაობებს... არც საუკუნეებს...

მერე ისევ ისტერიული ტირილი აუვარდა და ცოტათი რომ დამშვიდდა, ბოდიში მოუხადა ჯილბერტს, ნერვებმა მიღალატაო.

— თავის ტკივილის წამალი ხომ არ გნებავთ? — ჰკითხა ექიმ-

— მე არ მინდოდა, გერმანიის სირცხვილისათვის მეყურებინა, — მიუგო მან.

კაიტელი სულ განზე გადგა:

— ეს საშინელებაა, ექიმო!.. ასეთ რამეებს როცა ვუყურებ, მე მრცხვენია, რომ გერმანელი ვარ!

ის კი არა თქვა, გერმანელებს უნდა რცხვენოდეთ, მეც რომ გერმანელი ვარო. მე მრცხვენიაო! გერინგს ხომ სულ მგლისფერი დაედო, დაიბნა კიდეც: ვერც ამ საშინელ ბრალდებათა სიმართლე უარყო და ვერც საკუთარი დანაშაული აღიარა. ხედავდა კი, იმ ათასი ფუთი ბრალდების მთელი სიმძიმე პირველ რიგში მას რომ აწვებოდა, მაგრამ ისტორიის წინაშე მაინც წელმოუხრელი დგომა უნდოდა. სხვებსაც ამას ეუბნეობდა: სულერთია, სიკვდილით დასჯა არ აგვცდება და ღირსეულად მაინც გვეჭიროს ყველაფერი იცოდა და არც არაფერს მალავდა, არც თავისას, არც სხვისას..

ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს იყო ერთი ყველაზე საშინელი დღე მთელი იმ პროცესის განმავლობაში.

— დიდი ინკვიზიტორი! — გავიფიქრე გუნებაში და ქურდულად შევხედე იმ საოცრებას. შეშინებული სახე ჰქონდა, ამღვრეული თვალები და ისეთი გამყინავი გამოხედვა, რომ ჟრუანტელმა დამიარა ტანში...

ნელა, უხალისოდ ავიდა იგი ტრიბუნაზე და ჩასისხლიანებული თვალები მიმოავლო იქაურობას...

ეს იყო რუდოლფ ჰოსი, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი კომენდანტი, რომელმაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სამი მილიონი ადამიანის სიცოცხლე გაატანა კვამლსა და ფერფლს...



# ერგასის დღე

შავ სათვალეს ეფარება, კაიტელი გაქვავებულია, როზენბერგს თავი ხელებში ჩაურგავს და ქურდულად იყურება, შახტი ზურგს აქცევს ეკრანს, პაპენიც, ნოირატს თვალებზე ხელები აქვს აფარებული, ფრანკი თავჩაქინდრულია, რედერი და დენიცი უფრო მშვიდად გამოიყურებიან, შირახი ადგილზე ვერ ისვენებს...

კონვეირებს კი მიაქვთ დახოცილთა გვამები კრემატორიუმისაკენ, უზარმაზარი საკვამლე მილი ბოლავს, გაზკამერასთან გრძელი რიგები დგას. აქ არიან დიდები, პატარები, ძუძუმწოვარა ბავშვებიც. დამშეულები, დატანჯულები. ეკრანიდან გვიყურებენ მათი შეშინებული და უიმედო თვალები.

ღმერთო, რამდენი რამ შეიძლება თურმე ამოიკითხოს კაცმა სასოწარკვეთილთა ასეთ უნუგეშო შემოხედვაში! ან რა ნებისყოფა გაუძლებს ამ საყვედურითა და ცრემლით სავსე თვალების ცქერას. მთელ დარბაზს შიშის ჟრუანტელი უვლის... ვიღაც ხმამაღლა მოთქვამს, ვიღაც კვნესის... ისინი კი ნელ-ნელა მიდიან თავიანთი დასასრულის შესახვედრად: თოვლით დაფარულ გაყინულ მიწაზე მიაბიჯებენ ფეხშიშველი ბავშვები, რომელთაც დედის კალთისათვის ჩაუვლიათ ხელი, მათ მიჰყვებიან თავჩაქინდრული და სასოწარკვეთილი მამაკაცები...

ისინი მიდიან ნელ-ნელა, რიგები თანდათან მოკლდება, გაზკამერა კი ივსება ხალხით. მერე აპარატი სპეციალურ ხვრელს უახლოვდება და...

ამის აღწერა უკვე არავითარ კალამს არ ძალუძს! ეკრანზე ჩანს, თუ როგორ იგუდებიან სასიკვდილოდ განწირულები გაზკამერაში... ეს მართლაც კოშმარია, იმაზე ასჯერ უარესი, დანტეს „ჯოჯოხეთში“ რომაა აღწერილი.

თვითონ დანტეც ამბობს: ვერავითარი კალამი ვერ აღწერსო განუკითხავად დაღვრილ სისხლს, ვერც გონების ნიჭი მისწვდებაო ჯოჯოხეთში წამებულთა გოდებას...

...ფილმის დემონსტრაცია რომ დამთავრდა, არცერთ ბრალდებულს არ შეუხედავს დარბაზისათვის. არცერთ მათგანს არ აუწევია თავი, არც არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის...

საღამოთი, როცა ექიმმა ჯილბერტმა ჩამოიარა მათი კამერემა. ფრიჩეს ისევ მოუარა ისტერიამ:

— რად მინდა, განა წამალი ამოაგდეს თავიდან იმ ამბებს?! — იყვირა მან.

ნუთუ ესეც ფარისევლობა იყო?!

როგორც ჩანს, თორემ, აბა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, სხვა რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან, როცა ვიცით, პროცესის შემდეგ იმავე ფრიჩემ რომ მემუარების წიგნი გამოსცა, სადაც თვით ჰიმლერის დაცვაც კი იკისრა, იმ ჰიმლერისა, რომლის შავმა საქმეებმა ამდენი ცრემლი აღვრევინა ციხეში!..

ნიანგის ცრემლიო, იტყვიან ამაზე...

●

— რაც იქ აჩვენეს, იმ დანაშაულის უმცირეს ნაწილშიც რომ მედოს წილი, თავს მე თვითონ ჩამოვიხრჩობდი, — თქვა შტრაიხერმა.

შირახიც თურმე ახლა „მიხვდა“, რომ ჰიტლერი ატყუებდა და „დანაშაულებრივი მიზნებისათვის იყენებდა მის ერთგულებას“. შახტი ისევ იბუტებოდა, ასეთი საქმეების ჩამდენთა გვერდით როგორ დამსვეს საბრალდებულო სკამზეო. პაპენმაც ამიტომ შეაქცია ზურგი ეკრანს.

— რატომ არ უყურეთ ფილმს? — ჰკითხა მას ჯილბერტმა.

სო თავი. ასე ეგონა, ღირსებას სიცრუით დაიცავდა, და მთელი პროცესის განმავლობაში გამომწვევი პოზა ეჭირა... სულ იმას ცდილობდა, წარდგენილი ბრალდებები უარეყო და ზოგჯერ შეტევაზეც გადასულიყო... მაგრამ ფაქტები ჯიუტიაო, ამბობენ... ამ „სიჯიუტეს“ კი ბოლომდე ვერც გერინგის არტისტულმა პოზამ გაუძლო...

## ინკვიზიტორის აღსარება

მაინც რა საათივით იყო აწყობილი ის პროცესი! ყოველთვის ყველაფერი ჰქონდათ ხელთ, რასაც საჭიროება მოითხოვდა. გარდა მთავარი სამხედრო დამნაშავეებისა, ნიურნბერგის ციხეში ჰყავდათ მესამე იმპერიის ცოცხლად გადარჩენილი სხვა ხელმძღვანელები და გენერალიტეტი. აქ იყვნენ ყოფილი მინისტრები, რაიხსლაიტერები და გაულაიტერები, ფელდმარშლები, გენერლები და ესესის უმაღლესი ოფიცრები. საქმე მოითხოვდა და თუ არა, დარბაზში შემოიყვანდნენ საჭირო მოწმეს...

ახლაც ასე მოხდა. ბრალდებულები რომ ამბობდნენ, მასობრივი ეგზეკუციის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდითო... დარბაზში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც

...უნდა გენახათ, ბრალდებულებს რა სახე ჰქონდათ, როცა თავიანთ ოფიციალურ ჯალათს უყურებდნენ! ვინ-ვინ და, ჰოსმა ხომ მაინც იცოდა, როგორ ხდებოდა ყოველივე ეს. ისიც, თუ ვინ რა მონაწილეობას იღებდა ამაში! იგი გამოცდილი ჯალათი იყო, ორჯერ ნასამართლევი, ერთხელ სიკვდილმისჯილიც, მაგრამ რაღაც მანქანებით გადარჩენილი; ნაცისტური პარტიის წევრი 1922 წლიდან.

— 1934 წლიდან მე სულ საკონცენტრაციო ბანაკებთან მქონდა საქმე, — დაიწყო მან. — 1938 წლამდე ვმსახურობდი დახაუში, მერე 1940 წლამდე ზაქსენჰაუზენის ბანაკის უფროსის ადიუტანტი ვიყავი. 1940 წელს დამნიშნეს ოსვენციმის ბანაკის უფროსად, სადაც 1943 წლის პირველ დეკემბრამდე ვიმუშავე. ამ ხნის განმავლობაში იქ დაახლოებით ორმილიონნახევარი კაცი იქნა ლიკვიდირებული. ნახევარი მილიონი დაიღუპა შიმშილითა და ავადმყოფობით. ამრიგად, ოსვენციმში ჩემი სამსახურის დროს დახოცილთა რიცხვმა სამ მილიონს მიაღწია.

ეს რომ თქვა, უცებ მარცხნივ მიბრუნდა და ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი:

— ამათი მეშვეობით ჩვენ სისხლსა და ხორცში გვქონდა გამჯდარი აზრი, რომ მხოლოდ სისასტიკით შეიძლება დაკისრებული მოვალეობის შესრულება. ჩვენთან საკონცენტრაციო ბანაკში ხშირად მოდიოდნენ ასეთი მაღალი თანამდებობის პირები...

ბრალდებულები შეშფოთდნენ. ზოგმა თავი ჩაქინდრა, ზოგმა გვერდზე მიიხედა ან სწრაფად აიფარა შავი სათვალე... ფრანკი სულ ჩაძვრა სადღაც...

ჰოსი კი განაგრძობდა:

— ჰიმლერი ხშირად გზავნიდა ოსვენციმში მთავრობის დიდ მოხელეებს, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ფუნქციონერებს, ესესის ოფიცრებს, რათა პირადად ენახეთ, როგორ სპობდნენ ებრაელებს გაზკამერებში. ზოგიერთები, ადრე რომ აღტაცებულნი იყვნენ ტუსაღების მოსპობის მეთოდებით, ჩუმად იდგნენ, როცა საკუთარი თვალით ხედავდნენ „ებრაელთა საკითხის საბოლოო მოგვარებას“. მეკითხებოდნენ კიდეც, ჩვენ როგორ ვუძლებდით ამ საშინელების ყურებას ან როგორ ვიტანდით ყოველივე ამას. მე მათ ვეუბნებოდი იმას, რასაც თვითონ გვასწავლიდნენ: ასეთ დროს უნდა ჩავიხშოთ ყოველგვარი ადამიანური გრძნობები და რკინისებური თანმიმდევრობით შევასრულოთ ფიურერის ბრძანება. მეც ასე ვიხშობდი ადამიანურ განცდებს და მეგონა, რომ სიბრალულის გრძნობის გამომჟღავნება ღალატი იქნებოდა ფიურერისადმი...

...ჰოსი ისე ჰყვებოდა საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებაზე, თითქოს „გემოსაც ატანსო“ ნათქვამს. ეტყობოდა, ამაყობდა კიდეც თავისი „ესესური სიმტკიცით“. ასეთივე შთაბეჭდილება დამრჩა, როცა მისი მემუარები წავიკითხე.

არ გაგიკვირდეთ!.. სწორედ რომ მემუარები!.. დაწერილი ციხეში და გამოცემული ცალკე წიგნად. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მჭერია ხელთ ამაზე ამაზრზენი წიგნი. რომ ვკითხულობდი, ხელები მიცახცახებდა, როგორც მორწმუნე ქრისტიანებს მაგიური წიგნების კითხვის დროს. ღამითაც კოშმარები მაწუხებდა... რამდენჯერმე იძულებულიც გავხდი, შემეწყვიტა კითხვა, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ კვლავ განვაგრძობდი... ისევე შეძრწუნებული, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც.

— სხვა რა გზა მქონდა, — განაგრძობს ჰოსი, — უნდა გავყოლოდი მასობრივი მკვლელობისა და განადგურების გზას, ისე, რომ ვყოფილიყავი ცივი, გულგრილი და არავითარი განცდები არ გამომემჟღავნებინა... როცა ძალიან შემაძრწუნებელ ამბებს ვუყურებდი, იმ დღეს შინ არ მივდიოდი, მრცხვენოდა ცოლ-შვილისათვის შეხედვა... ერთხანს უთავბოლოდ ვაჭენებდი ცხენს, მერე საჯინიბოში შევიპარებოდი და იქ ვიძინებდი. ბავშვობიდანვე მთელი ჩემი სიყვარული მიმართული იყო ცხენებისადმი და არა ადამიანებისადმი. ცხოველები მიმაჩნდა ადამიანებზე უფრო გონივრულ არსებებად. მამაჩემს კი უნდოდა, მღვდელი გამოვსულიყავი. სულელი!.. აბა, როგორ! მე ხომ მძულდა ადამიანები! ხოლო ეს სიძულვილი ამათ ჩამინერგეს თავში, — ისევ ბრალდებულებისაკენ გაიშვირა ხელი ჰოსმა. — მე ვკითხულობდი გებელსის წერილებს „Das Reich“-ში, შტრაიხერის სტატიებს „Der Stürmer“-ში, როზენბერგის წიგნებს. ყველა იმას ამტკიცებდა, ებრაელები გერმანელის მტრებიაო და მეც ასეთი დასკვნა გამოვიტანე.

მერე საერთოდ შემძულდა ადამიანები. ამიტომაც ვერიდებოდი ხალხს, ნაცნობ-მეგობრებს, ოჯახსაც კი. როცა შინ ვიყავი და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებანი მომაგონდებოდა... გავრბოდი სახლიდან.



## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

# რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

## მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

**იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“**

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე*

მაგრამ ბანაკში გვამების გაზიდვას ან გაზკამერების მუშაობას რომ ვუყურებდი, ისევ ცოლ-შვილზე ფიქრი არ მშორდებოდა. ხომ შეიძლება, იმათაც ასე მოუვიდეთ, ებრაელებმა რომ გაიმარჯვონ-მეთქი, ვფიქრობდი და უფრო სასტიკად ვექცეოდი მათ. მაგრამ ქალებს რომ თავიანთ ბავშვებიანად გაზკამერაში ვერეკებოდი, მაინც ჩემი ცოლი და შვილები მელანდებოდა. ამიტომ თავს ბედნიერად არ ვგრძნობდი. უკმაყოფილო ვიყავი ჩემი ხვედრით. სხვები კი, ალბათ, ფიქრობდნენ, კომენდანტს რა კარგად აქვს თავისი ცხოვრება მოწყობილიო.

ჩემი ცოლ-შვილი მართლაც კარგად ცხოვრობდა. მათი ყოველი სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა. ბავშვები თავისუფალნი იყვნენ და უზრუნველყოფილნი. ცოლს სამოთხისებური ყვავილნარი ჰქონდა ბაღში გაშენებული. პატიმარი მსახურები ცდილობდნენ, რაც შეეძლოთ, ესიამოვნებინათ მათთვის, რომ მოწყალება მიეღოთ. ცოლი ზოგჯერ საჩუქრებსაც აძლევდა პატიმარ მსახურებს. ბავშვები პაპიროსს მთხოვდნენ მათთვის. ყველას გვიყვარდა ბუნება, განსაკუთრებით ცხოველები. ცოლი მეუბნებოდა კიდეც, უფრო ოჯახზე და ცხენებზე იფიქრე, ვიდრე სამსახურის საქმეზეო.

იმან რა იცოდა, ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებდა!..

მერე არც სამსახურში ვფიქრობდი ბევრს. ესენი მიბრძანებდნენ და მე ვასრულებდი. იმის ანგარიშში კი არ შევდიოდი, საჭირო იყო ეს თუ არა. ან ამაზე ფიქრის თავი სად მქონდა! თუ რაიხსფიურერმა ასე გადაწყვიტა, მე რატომ უნდა მეფიქრა ან მეყოყმანა! „ფიურერი ბრძანებს, ჩვენ ვასრულებთ!“ — ეს იყო ჩემი უმაღლესი კანონი.

როცა დამაპატიმრეს, მეკითხებოდნენ: ვერ ჩააძაღლე ის შენი ჰიმლერი და უარი ვერ თქვი ასეთი საშინელი ბრძანებების შესრულებაზეო! მე მგონი, ეს შეუძლებელი იყო, ამას ვერცერთი ესესელი ვერ იზამდა. მართალია, იყვნენ ისეთები, რომლებიც ილანძღებოდნენ ამგვარი ბრძანებების გამო, მაგრამ მაინც ასრულებდნენ. ფიურერის ბრძანება ყველასათვის წმიდათაწმიდა იყო და ყველანი მზად უნდა ვყოფილიყავით, თუ საჭირო იქნებოდა, თავიც გაგვეწირა, ისევე როგორც იაპონელები წირავდნენ თავს დაუფიქრებლად თავიანთი მეფისათვის, რომელიც ღმერთად მიაჩნდათ.

მერე ჰოსი თავისი „მუშაობის მეთოდებზე“ გადავიდა:

— ჯერ, როცა სამუშაო არც ისე ბევრი იყო, ვხვრეტდით. მერე პატიმრები მომრავლდნენ და ეს სამუშაო გაძნელდა. მაშინ ჩემმა თანაშემწემ მათ დასახოცად იხმარა საწამლავი „ციკლონ B“, რასაც ადრე ტილების მოსასპობად ვიყენებდით. ჯერ დახშულ ფარდულებში ვსპობდით პატიმრებს. მე თვითონ მიყურებია, როგორ ხდებოდა ეს. საწამლავს რომ შევაგდებდით, პატიმრები მაშინვე იხოცებოდნენ, მხოლოდ ერთი-ორჯერ დაყვირებას ასწრებდნენ და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. მე უფრო დამამახსოვრდა, პირველად ცხრაასი რუსი რომ მოვწამლეთ ძველ კრემატორიუმში. წინასწარ ხვრელები ამოვჭრილეთ, მერე შესასვლელთან ტანსაცმელი გავახდევინეთ და ვუთხარით, რომ ტილების დეზინფექციას ვახდენთ. იმათაც ასე ეგონათ და მშვიდად შევიდნენ. კარები რომ მივხურეთ და ჩავკეტეთ ყველანი, ზემოდან საწამლავი ჩავუყარეთ. ერთხანს ყვირილი ისმოდა, მერე გუგუნი... ბოლოს კი ყველაფერი მიწყნარდა.

პირველად მაშინ ვნახე მასობრივად მოწამლულთა გვამები. ჯერ შემაძრწუნა ამ სანახაობამ, მაგრამ მერე დავმშვიდდი, რადგან ვიფიქრე, რომ მომავალში ასეთი ხერხი მუშაობას გაგვიადვილებდა. მე უფრო დახვრეტების ყურება მიმძიმდა, მეტადრე, როცა ქალებსა და ბავშვებს ვხვრეტდით. თვითონაც ბევრჯერ მიმიღია ამაში მონაწილეობა და ვიცი, თუ რა საშინელია ამის ყურება. ჩემი დამსჯელი რაზმის ერთმა წევრმა ვერ აიტანა და თავი მოიკლა, რამდენიმე გაგიჟდა. ეს უმთავრესად ბავშვების დახვრეტის დროს ხდებოდა. ზოგი ალკოჰოლით ცდილობდა სიბრალულის გრძნობის ჩახშობას.

მაგრამ ნებისყოფის ისეთ სიმტკიცეს იჩენდნენ, რომ კამერაში შესვლამდე თავიანთ შვილებს ეხუმრებოდნენ, აცინებდნენ და ისე მიჰყავდათ. ერთმა ქალმა რომ ჩამიარა, თავის ოთხ შვილზე მიმითითა და მითხრა: „როგორ შეგიძლიათ ასეთი მშვენიერი ბავშვების დახოცვა, ნუთუ გული არა გაქვთ?!“ კაცმა კი დაიყვირა: „ეს მასობრივი მკვლელობანი ძვირად დაუჯდება გერმანიას!“

ო, რა ზიზღი გამოიხატებოდა მის თვალებში! მიუხედავად ამისა, იგი გაბედულად, წელში გამართულად შევიდა გაზკამერაში.

მახსოვს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თავისი ორი შვილი მიჰყავდა. სხვა ბავშვების ტირილი რომ გაიგონა, თავისას ხელი უშვა, მათთან მივიდა. გაეთამაშა, გაამხიარულა და ყველანი სიცილ-კისკისით შეუშვა კამერაში, მერე თვითონაც მიჰყვა მათ. კარებს რომ ვხურავდით, ის მოგვიბრუნდა და მშვიდად გვითხრა:

— მე იმთავითვე ვიცოდი, რომ მოსაწამლავად მიგყავდით, მაგრამ... იმედია, მალე დამთავრდება ეს... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მე მაშინვე მივუხურე კარები!..

ერთხელ ისიც ვნახე, დედამ რომ თავისი ორი შვილი უკანვე გამოაგდო და მოგვაძახა:

— ესენი მაინც შეიბრალეთ!

იყვნენ ისეთებიც, კივილს რომ ატეხდნენ და თმებს იგლეჯდნენ, მაგრამ მათ ვტაცებდით ხელს, ბანაკის უკან გავიყვანდით და ვხვრეტდით.

ბევრი ასეთი შემაძრწუნებელი სანახაობა იყო. ყველაფერი ეს ახლაც თვალწინ მიდგას. მაგრამ არც სხვა სამუშაო იყო ადვილი, მაგალითად, დახარისხება. ცოლს ქმარს ვაშორებდით, მშობლებს — შვილებს. ეს ადვილი კი არ არის! ზოგჯერ ძალის გამოყენებაც გვიხდებოდა. ამ ებრაელებმა მაინც რა იციან! მათი ოჯახის წევრები ისე სუროებივით არიან გადასკვნილნი, რომ ადვილად ვერ დააშორებ ერთმანეთს! ისეთებიც მინახავს, სულაც რომ დაკარგული აქვთ კოლეგიალობის გრძნობა. ერთმა ქალმა თავი გამოჰყო გაზკამერის კარებიდან, ვიღაცაზე გვანიშნა და დაიძახა, ისიც ებრაელია და მოკალითო. ალბათ, ის ენანებოდა, მის შემდეგ რომ სხვა მისთანა რჩებოდა ცოცხალი...

მე ისიც მიკვირს, ზოგიერთ პატიმარს დამხმარედ რომ ვიყენებდით. კარგად იცოდნენ, ჯერ რომ სხვებს დახოცავდნენ, მერე თავადაც ის დღე მოელოდათ, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ასრულებდნენ ამას. გაოცებული ვუყურებდი, რა დაუღალავად ეზიდებოდნენ ისინი მკვდრებს, გვეხმარებოდნენ ოქროს კბილების ამოგლეჯაში, თმის გადაპარსვაში... ცეცხლსაც ისინი აჩაღებდნენ კრემატორიუმებში, საწამლავს ყრიდნენ კამერებში და ყოველივე ამას ისე მონდომებით აკეთებდნენ, თითქოს თავიანთ ჩვეულებრივი სამუშაოს ასრულებენო. იმათ შეეძლოთ, დიდი ხნით ადრე დახოცილთა გახრწნილი გვამების გვერდით დამსხდარიყვნენ და საჭმელი ეჭამათ ან თამბაქო მოეწიათ. ერთმა მათგანმა ფეხით ამოათრია ორმოდან მკვდარი და ცალკე დადო. რას შვრები-მეთქი, რომ ვკითხე, ჩემი ცოლიაო, მითხრა. მე ერთხანს ვუყურებდი მას. იმან კი, ვითომ არაფერი, ისე წაათრია ცოლის გვამი კრემატორიუმში, მერე სხვებთან ერთად დაჯდა და განაგრძო ჭამა...

თავში ახლაც ის ფიქრი მიტრიალებს: ნუთუ ასე შეეძლო მას თავისი გრძნობების დაფარვა! რა არის ეს? ნებისყოფის სიძლიერე თუ სისუსტე?! სულ ის მიკვირდა, რატომ თავიანთი ნებით არ მოკვდებოდნენ! ეს მე სიკვდილ-სიცოცხლის ისეთი გამოცანის წინაშე მაყენებდა, რომლის ამოხსნა არ შემეძლო...

...ამის მოსმენა მართლაც აუტანელი იყო... ან ჰოსი რას მიხვდებოდა ამ „აღშფოთებული მორჩილების“ აზრს! ტუსაღებს ისინი ჯერ სულ დაუკარგავდნენ ადამიანურ სახეს, დაცლიდნენ შინაარსისაგან, ფიქრებისაგან, ემოციებისაგან და მერე იმსახურებდნენ... ვინც იმ ჯოჯოხეთიდან გამოვიდა, შეძრწუნებული ჰყვებოდა „პატარა მარის“ ამბავს.

ერთი ოჯახიდან თურმე ცხრა მოიყვანეს ერთად: დედა, მარი და მისი შვიდი ძმა. დედა და ძმები მაშინვე გაზკამერაში შეყარეს, ის კი დატოვეს და „სადეზინფექციო“ პატარა ბავშვებისათვის ტანისამოსის გახდა დაავალეს. მერე ფერფლს აჩხრეკინებდნენ, იქნებ კიდევ დარჩა ოქროს კბილებიო.

ჩამოძენძილი, გაყვითლებული, თითქმის შეშლილი დაბორიალობდა „პატარა მარი“ სასიკვდილოდ განწირულთა შორის და „ემსახურებოდა“ ესესელებს...

ნების ამგვარ აპათიას ისინი სამსახურსა და ერთგულებას უწოდებდნენ!..

ჰოსი კი განაგრძობდა:





1942 წლიდან ძალიან დიდი პარტიები მოიყვანეს ბანაკში. ჩვენები მათ თავაზიანად ხვდებოდნენ, ეკითხებოდნენ კიდეც, სად მუშაობდით, რა პროფესიისა ხართო, უნდა სპეციალობის მიხედვით გამუშაოთ, მანამ კი დეზინფექციას გაგატარებთო... და ისინიც მშვიდად შედიოდნენ გაზკამერაში... თუ ვინმე მიხვდებოდა და შიგნიდან დაიძახებდა, უნდა მოგვწამლონო, დანარჩენებს ძალით შევრეკავდით კამერაში და კარებს მივუკეტავდით...

მერე გაჩნდნენ ისეთები, ვინც წინასწარ აფრთხილებდა, მაგრამ მათ ვიჭერდით და ვხვრეტდით. ზედმეტი დავიდარაბისაგან რომ დაგვეხსნა თავი, ვცდილობდით, რაც შეიძლება მალე გაეხადათ ტანისამოსი და შესულიყვნენ კამერაში, მაგრამ ზოგჯერ ხმა მაინც ირხეოდა. დედები მალავდნენ ბავშვებს, „დეზინფექცია მათზე ცუდად იმოქმედებსო“. ბავშვებიც წივილს იწყებდნენ, მაგრამ მშობლები ამშვიდებდნენ, ხელში სათამაშოებს აძლევდნენ და ისინიც თამაშ-თამაშით მიჰყვებოდნენ მათ გაზკამერაში.

მე მინახავს დედები, რომელთაც იცოდნენ, რაც მოელოდათ,

— ის, რასაც მე აქ ვყვები, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმისი, რაც ვნახე და განვიცადე. მაშინ ეს არ შედიოდა ჩემს გონებაში. არც ვფიქრობდი: არის ეს საჭირო თუ არა? ზოგჯერ კი მებადებოდა კითხვა: ნუთუ აუცილებელია ასი ათასობით ქალისა და ბავშვის დახოცვა? მაგრამ მეგონა, რომ ამას მოითხოვს ჩემი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები...

ასეთი აზრი ჩამინერგეს ამათ! — თქვა ჰოსმა, ისევ ბრალდებულებს გადახედა და დაუმატა: — ასეთ მგლებში რომ მოხვდები კაცი, შენც ყმუილს დაიწყებ, აბა, რა!..

განსასჯელთა სკამზე ჩოჩქოლი ატყდა. ლოურენსმა ხის ჩაქუჩი რამდენჯერმე დაარტყა მაგიდას და წესრიგი მოითხოვა. ადამიანის ფერი არავის ედო სახეზე. ბევრს ცრემლი ჩამოდიოდა. ჰოსი კი განაგრძობდა:

— მე რა უნდა მექნა, ესენი მიბრძანებდნენ, დახოცეო და მეც ვამბობდი: javohl (კეთილი)! და ვხოცავდი. ასეთი იყო ჩემი მოვალეობა.

დამცველმა კაუფმანმა ჰკითხა ჰოსს:

— თქვენ თვითონ ხომ გაქვთ ოჯახი, გყავთ ბავშვები, მიპასუხეთ: გრძნობდით თუ არა რამე სიბრალულს ამდენი მსხვერპლის მიმართ?

— დიახ! — უპასუხა ჰოსმა.

— მაშინ რატომ სჩადიოდით ამას?

— ჩემი სახელმძღვანელო დებულება იყო რაიხსფიურერ ჰიმლერის ბრძანება და მის მიერვე მოცემული დასაბუთება, — „განმარტა“ მან...

...საღამოთი ჯილბერტმა განაგრძო ეს დიალოგი. როცა ჰოსის საკანში შევიდა, „პაციენტმა“ თვითონ შეაგება კითხვა:

— თქვენ, ალბათ, გინდათ, გაიგოთ, ვარ თუ არა მე ნორმალური ადამიანი, არა?

— დიახ, სწორედ ეს მინდა! — უპასუხა ჯილბერტმა.

— სრულიად ნორმალური გახლავართ, — დააკმაყოფილა ჯილბერტის ცნობისმოყვარეობა ჰოსმა: — მიუხედავად იმისა, რომ ამდენ ხალხს ვხოცავდი, ისეთივე ნორმალურ ოჯახურ ცხოვრებას ვეწეოდი, როგორც სხვები. ოღონდ ის არის, რომ საკუთარი თავით უკმაყოფილო ვიყავი და განმარტოებულად ცხოვრება მიყვარდა. თავს მხოლოდ მაშინ ვგრძნობდი კარგად, როცა ცხენებთან ვიმალებოდი საჯინიბოში.

— ვის ემალებოდით? — ჩაეკითხა ისევ ჯილბერტი.

— რა ვიცი, ალბათ, ჩემს ცხოვრებასა და ფიქრებს, — მიუგო ჰოსმა.

— როცა ამდენ ხალხს ხოცავდით, არასოდეს გიფიქრიათ, რამე დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი თუ არა?

— არა, ჩვენ, ესესელებს, ამაზე ფიქრი არ გვევალებოდა.

— არც იმაზე გიფიქრია, რომ ამდენი მკვლელობის გამო ჩამოგახრჩობდნენ? — ჰკითხა მან.

— არა, ამაზედაც არ მიფიქრია. — მიუგო ჰოსმა.

— აბა, პირველად როდის გაგიჩნდა აზრი, რომ დაგიჭერდნენ და ტრიბუნალს გადაგცემდნენ? — არ მოეშვა ჯილბერტი.

— კატასტროფის შემდეგ, როცა ჰიტლერი მოკვდა, — თქვა ჰოსმა და ხელი ჩაიქნია...

...ასეც მოხდა. ომის შემდეგ იგი ერთხანს იმალებოდა, გვარი გამოიცვალა, წვერი მოუშვა... მაგრამ ასე წვერმოშვებული ხალხი რაღაც საეჭვოდ მომრავლდა დამარცხებულ გერმანიაში. მათ იჭერდნენ და ამჟღავნებდნენ როგორც ყოფილ ნაცისტებს.

ჰოსსაც ასე მოუვიდა. მართალია, ჯიბეში საწამლავი ედო, მაგრამ შემთხვევით რომ გაუტყდა, ახალი არც უძებნია... ორიოდე დღის შემდეგ იგი დაიჭირეს, გაპარსეს და ის იყო ნიურნბერგში ჩამოიყვანეს მოწმედ.

მერე პოლონელებს გადასცეს და გაასამართლეს... ჩამოხრჩობამდე კი ციხეში მემუარი-აღსარება დაწერა, რაზედაც უკვე გელაპარაკეთ...

მე ყველაზე უფრო ამ საშინელი წიგნის ბოლო სიტყვებმა შემაძრწუნა:

— შეუძლიათ თუ არა ადამიანებს, ჩემში გულდამშვიდებით დაინახონ მხოლოდ სისხლისმსმელი მხეცი, შემზარავი სადისტი, მილიონების მკვლელი! სხვაგვარად, ალბათ, ვერც წარმოიდგენენ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტს, მაგრამ გაიგებენ კი ისინი ოდესმე, რომ მეც მქონდა გული და... არცთუ ისე ცუდი კაცი ვიყავი?!..

ახლაც იმაზე ვფიქრობ:

— ნუთუ ამ ურჩხულშიც იბრძოდა ადამიანის ნატამალი, რომ თავისი თეთრი კბილები ეჩვენებინა ქვეყნისთვის?!.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

**გენერალისიმუსი**
2024 წლის 7 ოქტომბერი. №48 (284)

**სარედაქციო კოლეგია**
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# გია ყრუაშვილი:

## როგორც ძველი მემანქანე, გარწმუნებთ —

# ჩაიარა ნაცების მატარებელმა!

***სამოქალაქო აქტივისტი გია ყრუაშვილი აცხადებს, რომ ამერიკა საქართველოში სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს, მაგრამ დღევანდელ მთავრობას, დიდი ალბათობით, ვერ გადატეხენ:***

— პირველ რიგში, მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომ ქვეყანას ჩემი თავი გააცნო! მადლიერი ვარ, რომ ისეთი ეროვნული და გავლენიანი გაზეთი, როგორიც „ასავალ-დასავალია“, საშუალებას მაძლევს, მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ჩემი აზრი გამოვთქვა! ქვეყანამ იცის, რომ ცხონებული ზვიად გამსახურდიას დროიდან მოყოლებული, სულ აქტიურ პოლიტიკაში ვარ და არც დღეს ვისვენებ... უკვე სამოცი წლის ვარ და საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მივედი — **საქართველო აგენტებმა დაღუპეს!** გახსოვთ, ზვიადი კრემლის აგენტებს რომ ამხელდა და ხალხი იღრიჭებოდა — გამსახურდიას ყველგან აგენტები ელანდებაო? არადა, ყველაფერში მართალი იყო ცხონებული!!! ნაძირალა **ირინა სარიშვილი,** რომელიც 1993 წლის 18 ოქტომბერს სწორედ აგენტებით გადაჭედილ ფილარმონიაში ეძახდა ზვიად გამსახურდიას საფრთხობელას და მის მკვლელობას ითხოვდა, **გია ჭანტურიას** შეუგდეს, როგორც აგენტი და კაცი მოაკვლევინეს! **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც ზვიადის საფლავზეც კი არ არის ნამყოფი და **სოსო ჯაჭვლიანის** გასვენებაში არ მისულა, **კესარიას** გასვენებაში მივიდა, რადგან ისიც აგენტია... ბოდიში საზოგადოებას, მაგრამ გუბაზი **ვანო მერაბიშვილმა** გააბ...ზა **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** და მისივე აგენტია. **გუბაზ სანიკიძემ** „ეროვნული ფორუმის“ კარვები თავისუფლების მოედნიდან სწორედ **ვანო მერაბიშვილის** დავალებით აშალა და ამაში ფული აიღო! სხვათაშორის, ქართველმა ვაჟკაცმა **სოსო ჯომიდავამ,** რომელიც სულ ბოლო გამოვიდა ალმოდებული სოხუმიდან, **გუბაზ სანიკიძე** აჭარაში სახალხოდ სცემა, როგორც არაკაცი და ნაძირალა... ჩემი კუთხის, ხარაგაულელი კაცია **ლადო ბოჭაძე** და გლდანში, სადაც კენჭს იყრის, გვერდით ვუდგავარ. **ვაკვირდები და ვხედავ, რომ ვანო მერაბიშვილის აგენტები და სანდრო გირგვლიანის მკვლელები დღეს არჩევნებს გვიტარებენ...** ახლა მშვიდად ვაკვირდები ყველაფერს, მაგრამ 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სიმართლეს ვიტყვი!

**— ამერიკის საელჩომ საქართველოში მყოფ თავის მოქალაქეებს ე.წ. მესიჯები დაუგზავნა — 26 ოქტომბერს ხალხსა და პოლიციას შორის შესაძლოა, შეტაკებები მყისიერად დაიწყოს და გაფრთხილდით, არეულობის ეპიცენტრებს მოერიდეთო! ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ

## ამერიკელებს საქართველოში უბედურება და სისხლიანი დაპირისპირება აქვთ დაგეგმილი!

სხვა საკითხია, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, წავლენ თუ არა ამაზე, თორემ **ბიძინა ივანიშვილის** დამხობა და თავიანთი აგენტების — ნაცების მოთრევა რომ უნდათ, ამას არც მალავენ! **საერთო ჯამში, ყველაფერი მაინც „ქართული ოცნების“ ბრალია, რადგან გველს თავი დროზე არ გაუჭეჭყეს.** წინა არჩევნებზე რომ გავიძახოდი — მთელი რკინიგზა ნაცებითაა სავსე-მეთქი! — მოვიდა **მამუკა ბახტაძე** და დამამშვიდა — მთავარია, ახლა ნუ ავრევთ სიტუაციას და არჩევნების შემდეგ ყველაფერი დალაგდებაო! ბახტაძემ მართლაც დაალაგა სიტუაცია და შეეკრა ნაცებს! აი, ახლაც გაიძახიან — ნაცები უნდა გავასამართლოთო! **უკვე გვიანია მათი გასამართლება, რადგან, როგორც იურისტები მეუბნებიან და, მგონი, თქვენც დაწერეთ ამის შესახებ, მთავარი დანაშაული, რისთვისაც ნაცები პასუხისგებაში არიან მისაცემი — „სამშობლოს ღალატი“ — გაუქმებულია!** სხვა მხრივ, ყველა დანარჩენი უბედურება, რაც მათ ჩაიდინეს, უკვე ხანდაზმულია... თუმცა, მათი პარტიის, როგორც დამნაშავე ორგანიზაციის, აკრძალვა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც!

**— მაინც რა მოხდება, ხელისუფლებას გატეხენ?**

— **ბიძინა ივანიშვილს** ერთადერთი შეკითხვით მინდა, მივმართო — **ბატონო ბიძინა, არავის არაფერს ვერჩი, მაგრამ ამ ბიჭებს, რომლებსაც სახელმწიფო ჩააბარეთ, ენდობით და თქვენს ბიზნესს სამართავად ჩააბარებთ?** 150 ვაჟკაცი სჭირდება ამ ქვეყანას და საქართველო გადარჩება... მოდით, მაინც განვიხილოთ ასეთი სცენარი: მართალია, ასე არ მოხდება, მაგრამ დავუშვათ, ბიძინა ივანიშვილს ამერიკელებმა მისცეს ყოველნაირი გარანტიები და სანაცვლოდ ხელისუფლებისგან დისტანცირება მოსთხოვეს! ხომ ფაქტია, ამ შემთხვევაში ეს ხელისუფლება ერთი კვირაც ვერ გაძლებს! რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ისევ და ისევ ცხონებულ ზვიად გამსახურდიას გავიხსენებ, რომელიც არჩევნების წინ ყველას და მათ შორის, **აკაკი ბაქრაძეს** ეხვეწებოდა — თქვენ იყავით სიაში პირველი, მე საერთოდ ბოლო ვიქნები, ოღონდაც ამ ჩვენს უბედურ ქვეყანას ეშველოს რამეო! **არ დაუდგნენ ზვიადსა და საქართველოს გვერდით, რადგან შევარდნაძის აგენტები იყვნენ და იქიდან ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ზვიადი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დამხობილიყო!**



ყველას ბოდიშს ვუხდი, ზვიად გამსახურდიას ვერავის შევადარებ, მაგრამ მაშინდელი და ახლანდელი სიტუაცია ძალიან ჰგავს ერთმანეთს! ამ ხელისუფლების დამხობაც ნებისმიერი ბინძური საშუალებით უნდათ, მაგრამ მაშინდელ და ახლანდელ სიტუაციას შორის განსხვავებაც დიდია — ზვიადის დროს სახელმწიფო ინსტიტუტები სუსტი იყო მაშინ, როცა დღეს ქვეყანას პოლიცია და უსაფრთხოების სამსახური იცავს. **მოკლედ, ქვეყნის არევა და სისხლისღვრის გამოწვევა უნდათ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ხელისუფლების გადატეხას ვერ შეძლებენ!** ე.წ. ოპოზიცია რისთვისაც ემზადება, ყველა კარგად ხედავს. ფაქტობრივად, საარჩევნო კამპანიას არც ატარებენ და ელოდებიან 26 ოქტომბრის ღამეს, თუ რა ბრძანებას მიიღებენ შეერთებული შტატებიდან. შესაძლოა, ჩვენ ახლა იმან გადაგვარჩინოს, რომ ამერიკაშიც იმართება უმნიშვნელოვანესი საპრეზიდენტო არჩევნები და თუ საქმე საქმეზე მიდგა, შესაძლოა, ამერიკელებმა ჩვენთვის ვერ მოიცალონ!

**— ეკა გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობას“, როგორც მხარეს, არჩევნების დაკვირვების უფლება ჯერ ჩამოართვეს და მერე ისევ დაუბრუნეს! ეს რას ნიშნავს?**

— ეს იმას ნიშნავს, რომ უბინძურესი არსება **ეკა გიგაური,** რომელიც ამერიკის სპეცსამსახურების აგენტია, როგორც კი არჩევნები დასრულდება, გამოაქვეყნებს ფალსიფიცირებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ თითქოს არჩევნები გაყალბდა და ჩადგება ქვეყნის გადამტრიალებელთა რიგებში!

## ხელისუფლებამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა ეკა გიგაურს გაუქმებული აკრედიტაცია აღუდგინა! ამით მან ქვეყნის გადატრიალების მოსურნეებს იმედი გაუჩინა, რომ, თუ ხელისუფლებას ვერ დაამხობენ და დამარცხდებიან, ამერიკის შიშით, ციხეში არავის გაუშვებენ!

**— ანუ ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდება?**

— როგორც ძველი მემანქანე, გარწმუნებთ, რომ ნაცების მატარებელმა ჩაიარა!





## „გუბაზი ვანო მერაბიშვილმა გააბ...ზა (ცენზურა ჩვენია. რედ.) და მისივე აგენტია!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩარქვიანი**
*პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი*



**ერთ მხარეს არის რუსეთი,** ჯოჯოხეთი და ამ ბინძურ ორბიტაზე საქართველოს დაბრუნების მცდელობა მიმდინარეობს. **მეორე მხარეს არის ოპოზიცია,** არც აქ არიან ანგელოზები, **ბლომად არიან ცულლუტები, მევახშეები,** მაგრამ მაინც დასავლეთის მომხრე ხალხია.

„ახალი თაობა“

**მურმან დუმბაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



26 ოქტომბრის 8 საათზე **ბიძინა ივანიშვილის მმართველობა დასრულდება.** თუ არ გაჯიუტდება, მაშინ შეიძლება, სავალალო შედეგებით არ დაასრულოს პოლიტიკაში ყოფნა, მაგრამ, **თუ კადაფივით 16 წელი მოინდომებს, იყოს ბელადი,** მაშინ ქართველი ხალხი ამას არ აიტანს და ძალიან გაბრაზდება.

„ახალი თაობა“

**გიორგი ბარამიძე**
*„ერთიანობა —ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



საზოგადოების უმრავლესობა ხვდება, თუ ვინ და რა არის **ივანიშვილი** და მისი ბანდა. დარწმუნებული ვარ, **26 ოქტომბერს** ის მიიღებს მტკიცე პასუხს ხალხისგან და **ეს იქნება დიდი პანღური მოღალატეთა რეჟიმის მიმართ.**

„ინტერპრესნიუსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ივანიშვილის** დავალებით ერთ-ერთი ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირი აშშ-ში გავიდა **ტრამპის სიძეზე — კუშნერზე.** ამათი ნარატივი ხომ ეს არის, რომ **ბაიდენს არ ვუყვარვართ, მაგრამ ტრამპი ჩვენია... კუშნერმა** გაისტუმრა „იმ ადგილზე“.

„ახალი თაობა“

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-41

# ლაზარე ჯორბენაძე: გიორგი სანაიას მკვლელობა მაშინ ხელისუფლებასაც აწყობდა და სააკაშვილის ხროვასაც!



***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე იმ ბინძური და პროვოკაციული გეგმების შესახებ გვესაუბრება, რომელსაც ლგბტ აგენტურა და მათი უცხოელი მფარველები საქართველოში ამ დღეებში გეგმავდნენ:***

— საქართველოში სოდომისტებმა 2000-იანი წლების დასაწყისში წამოყვეს თავი და ბოლო შვიდი-რვა წელიწადია, უკვე ქვეყნის სათავეში მოსვლას ცდილობენ. მანამდე ისინი ჩრდილში იყვნენ... ყველაფერი დაიწყო 1995-1996 წლებში. საქმე ის გახლავთ, რომ 1997 წელს ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ განაცხადა: **200 ნიჭიერი და წარმატებული ქართველი ახალგაზრდა ევროპასა და ამერიკაში გავგზავნეთ. მართალია, ამდენი ფული არ გვქონდა, მაგრამ უცხოელები დაგვეხმარნენ, რათა ევროპული კულტურითა და ფასეულობებით შეიარაღებული ჩვენი ახალგაზრდები ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს დაუბრუნდნენ და ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩაიბარონო!** ანუ უცხოელებმა დააფინანსეს 200 ქართველი ახალგაზრდის ევროპასა და ამერიკაში ცხოვრება, სადაც მოხდა მათი „დავერბოვკება“ და მერე საქართველოში აგენტებად მოვლინება. რომ დააკვირდეთ, **ეს სწორედ ის 200-მდე ახალგაზრდაა,** რომელიც, როგორც აგენტი და უცხო ქვეყნის სამსახურში მდგომი პიროვნება, დღევანდელი ე.წ. ოპოზიციის ავანგარდში დგას და ქვეყნის დასაქცევად ემზადება. **სწორედ ამ ორასმა კაცმა** შემოიტანა საქართველოში ლგბტ დღის წესრიგი, თუმცა, შევარდნაძის გარშემო სოდომისტები ყოველთვის მრავლად იყვნენ. დღევანდელ მსოფლიოს, ევროსაბჭოს, ევროკავშირს, ამერიკის სენატსა და კონგრესს სწორედ ლგბტ პროპაგანდისტები და აქტივისტები, ძირითადად, სოდომისტები, უფრო კონკრეტულად კი პედ...ტები **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** მართავენ!

**— ამ ტერმინის გამოყენების გამო ადამიანებს ცხოვრებას უნგრევენ!**

— თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორი ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული — იურიდიული და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის! **„პედ...ტია“ (ცენზურა ჩვენია. რედ.)** იურიდიულ-სამედიცინო ტერმინია და **„არასწორი სექსუალური მიდრეკილებებისა და ცხოვრების მქონე ადამიანს“** აღნიშნავს. დღეს საქართველოს პოლიტიკოსები კი არა, სინამდვილეში სწორედ **პედ...ტები (ცენზურა ჩვენია. რედ.)** ებრძვიან, რათა, რაც ევროპასა და ამერიკაში მოახერხეს, ჩვენთანაც შეძლონ — ქვეყანაში თავიანთი დღის წესრიგის დამკვიდრება! ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ შევარდნაძის მიერ ევროპასა და ამერიკაში **პედ...ტობის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** სასწავლებლად გაგზავნილი ხალხი საქართველოში დაბრუნდა და ბოლო შვიდი წელიწადია, ღიად ცდილობს საქართველოში **პედ...ტური (ცენზურა ჩვენია. რედ.)** დღის წესრიგის დამკვიდრებას! 2013-2014 წელს მათ პირველად სცადეს საქართველოში **გეი-პარადის** მოწყობა, როცა ქუჩაში უსირცხვილოდ გამოვიდნენ. გულწრფელად ვწუხვარ **ბესარიონ აბრამიძის,** ანუ იმავე კესარიას მკვლელობის გამო, რაც უსაშინლესი ცოდვაა და ამის გამართლება ყოვლად დაუშვებელია. სხვათაშორის, ნებისმიერი დანაშაული და, პირველ რიგში, მკვლელობა ჯერ არის ცოდვა. წმინდა ნინოს მეოხებით, ჩვენ მე-4 საუკუნიდან მოყოლებული, გამოცხადებულად მართლმადიდებელი ერი ვართ და ეს ფაქტი კონსტიტუციაში გვაქვს ჩასაწერი. ბესარიონ აბრამიძე, ანუ კესარია შეპყრობილი იყო სოდომიით, აქედან გამომდინარე, ყველა ის ადამიანი და ტელევიზია, რომელიც მის სოდომურ ცოდვას საჯაროდ აპიარებდა და იწონებდა, ამ საშინელი ცოდვის მონაწილეა.





> „გიორგი სანაიას მკვლელობას „გრიფით საიდუმლო“ ადევს! გრიცკო სინამდვილეში მკვლელია თუ არა, ამის შესახებ ზუსტად იციან კახა თარგამაძემ და მისმა მოადგილემ, რომელიც დღევანდელი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრია, ხოლო მაშინ კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო!“



გრიგოლ ხურცილავა (გრიცკო)

## საქართველოში გავლენიანი ამერიკელი და ევროპელი სოდომისტების – ლგბტ აქტივისტებისა და პროპაგანდისტების მიერ კესარიას მონაწილეობით დაგეგმილი იყო უბინძურესი პროვოკაცია, რაც უფლის ნებით ჩაიშალა!

**— რას გულისხმობთ?**

— საქართველოს პარლამენტმა გააკეთა უდიდესი საქმე, როცა, დაგვიანების მიუხედავად, **„ოჯახური ღირებულებების დაცვისა და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“** კანონი მიიღო. არადა, „ანტიდისკრიმინაციული კანონისა“ და ე.წ. „იუვენალური მართლმსაჯულების“ მიღებაც ამ ხელისუფლების კისერზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ხელით მართლმადიდებლობას ებრძოდე, ხოლო მეორეთი — იცავდე. თუმცა, ამ ბოლო დროს მიღებული კანონით მაინც დიდი საქმეა გაკეთებული. ამერიკელ და ევროპელ **პედ...ტებს (ცენზურა ჩვენია. რედ.),** ასევე გავლენიან ლგბტ აქტივისტებს, იმისათვის, რომ „ოჯახური ღირებულებების დაცვისა და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის შესახებ“ კანონი გაებახებინათ, მასხრად აეგდოთ და საქართველოს ხელისუფლებისთვის ყველაფერი თავზე დაემხოთ, **მიტინგზე დაგეგმილი ჰქონდათ ბესარიონ აბრამიძის, ანუ კესარიას გათხოვების საჯაროდ გამოცხადება!** ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო ევროპელ და ამერიკელ **პედ...ტებთან (ცენზურა ჩვენია. რედ.)** და მიზნად ისახავდა საქართველოში პრეცედენტის შექმნას, რათა ერთ-

# „სანაიამ ერთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა!“

## კვირგვინოსნები

**თორნიკე შარაშენიძე**, *ექსპერტი*



გამუდმებით ზღაპრები გვესმის, რომ, **თუ კარგად მოვიქცევით,** ნატოში მიგვიღებენ, მაგრამ **ეს მხოლოდ კარგ მოქცევაზე არ არის დამოკიდებული.** როცა საჭირო იყო, **ნატოში მიუღიათ არადემოკრატიული ქვეყნები,** მაგალითად, **თურქეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, ალბანეთი...** ხელისუფლებაში ვინც არ უნდა მოვიდეს, **რუსეთის მიმართ უფრო აგრესიულად თუ უფრო ლოიალურად განწყობილი,** ჩვენ ამ სიტუაციაში ვიქნებით.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**, *პოლიტიკის ანალიტიკოსი*



**„ოცნებას“ თუ ვერ გადააგდებენ,** საკმარისია, ცოტა ხანს გაჯიუტდე, მოითმინო და **ამერიკა უკან დაიხევს.**

თუ ეს ხელისუფლება გადავაგდეთ, **ამერიკა დაკმაყოფილდება,** მაგრამ ჩვენ დაგვრჩება **აოხრებული ქვეყანა.**

„კვირის პალიტრა“

**ლადო პაპავა**, *აკადემიკოსი*



ოპოზიციას სურს, კიდევ ერთხელ თქვას, რომ **არჩევნები გაყალბებულია.** დიდი ხანია, **ამბობენ კიდეც, გაყალბდებაო.** ამით სურთ თავიანთი სუსტი პოზიციების გადაფარვა. **რაც შეეხება ნაცმოძრაობის გასამართლებას,** ყოველთვის მომხრე ვიყავი **„ნიურნბერგის პროცესის“,** თუნდაც მხოლოდ პოლიტიკურ კონტექსტში.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ ხმალაძე**, *კონსტიტუციონალისტი*



თუ „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალებმა **ჯამში ხმების 50 პროცენტზე მეტი** მიიღეს, ოპოზიცია ვერ შექმნის უმრავლესობას ერთ-ერთის გარეშე, მაგრამ, **თუ ჯამში 50 პროცენტზე ნაკლები მიიღეს,** მაშინ შესაძლებელია.

„კვირის პალიტრა“

# „ამერიკის სენატსა და კონგრესს სწორედ ლგბტ პროპაგანდისტები და აქტივისტები, ძირითადად, სოდომისტები მართავენ!“

ნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება მოეთხოვათ!

**— ეს თქვენ საიდან იცით?**

— ამის შესახებ ვიცი იურიდიული წრეებისგან, მაგრამ პიროვნებათა ვინაობას ვერ დავასახელებ! ერთი სიტყვით, **მამათმავალ ბექა ჯაიანზე** ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა კესარია ცოლად მოეყვანა! აი, სწორედ ეს წერია **კესარიას** მკვლელობის საქმეში, კერძოდ, ჩვენებებში... დიახ, ეს **ორჯერ გათხოვილი პე-დ...სტი (ცენზურა ჩვენია. რედ.)**, გერმანიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე **მიხაილ როთი** საქართველოში **კესარიას** მკვლელობის დღეებში იმიტომ ჩამოვიდა, რომ რუსთაველის პროსპექტზე გამართულ მიტინგზე კესარია უნდა გამოეყვანა, მისი გათხოვების შესახებ საქვეყნოდ გამოეცხადებინა და საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ანტილგბტ კანონი საქვეყნოდ გაებანძებინა! სწორედ ამიტომ იყო, რომ **ბესარიონ აბრამიძემ** თავისი მამათმავალი პარტნიორის — **ბექა ჯაიანის** დედასა და დას სენაკში დაურეკა და უთხრა — არ მაინტერესებს, თქვენ რას იტყვით, ბექას ცოლად მივყვებიო! ეს ყველაფერი ევროპელ და ამერიკელ სოდომისტებთან შეთანხმებული იყო... ამაზე სენაკში, ჯაიანების ოჯახში, წივილკივილი ატყდა... **კესარიამ** სიტყვას საქმეც მოაყოლა და სოციალურ ქსელებში მამათმავალ **ბექა ჯაიანთან** ერთად გადაღებული ფოტოსურათები გამოფინა. **ჯაიანი,** რომელიც ამ გარყვნილ ურთიერთობას მალავდა, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, კესარიას მიეჭრა და დანით მოკლა! მოკლედ, რომ არა **სოდომისტ ბესარიონ აბრამიძის** მკვლელობა, **მიხაილ როთი** კესარიას მიტინგზე გამოყვანასა და მთელი ხალხისა და ტელევიზიების თვალწინ იმის გამოცხადებას გეგმავდა, რომ **ბესარიონ აბრამიძე**, ანუ იგივე **კესარია** გათხოვდა! **მიხაილ როთს** ეს რომ მოეხერხებინა, დამერწმუნეთ, საქართველოში აღმოჩნდებოდა ისეთი ე.წ. მღვდელიც, რომელიც მათ ჯვარს დაწერდა, რაც გახდებოდა იმის საფუძველი, რომ საქართველოში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება უკვე ოფიციალურად და ცოტა უფრო სხვა დონეზე მოეთხოვათ! აი, ასეთ ბინძურ პროვოკაციას გადაგვარჩინა მამაზეციერმა!

ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლების დამხობის კამპანიას ორჯერ გათხოვილი გერმანელი პარლამენტარი **მიხაილ როთი** უდგას სათავეში, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, **როგორც „გავრილოვის ღამეს“, ისე 2023 წლის 7-8 მარტის მოვლენების დროს, ქვეყნის გადატრიალებას ლგბტ სოდომისტები გეგმავდნენ!** მიხაილ როთი როცა პირველად მიტინგზე გამოვიდა, საქართველოს ეკლესიას შეურაცხყოფა მიაყენა და გვითხრა — ევროპაში ეკლესია ვერ შეგიყვანთო! თან დაამატა — მე მამაკაცი მყავს პარტნიორიო! ანუ **როთმა** ქართველებს ევროპაში შესასვლელად წამალი გამოგვიწერა — ჩემსავით **გაპ...სტდით (ცენზურა ჩვენია. რედ.)** და ევროპაში მიგიღებენო! სხვათაშორის, **მიხაილ როთმა** მეორე დიდი სისულელე და სიტუტუცეც თქვა — ეკლესიაში თქვენზე უფრო ხშირად დავდივარ და წირვა-ლოცვას ვესწრებიო! ამით მან დაადასტურა, რომ ევროპის ეკლესიებში დაშვებულია სოდომისტების შესვლა და ზიარება. ეს უკვე ჯოჯოხეთია...

**— მოდით, ახლა გიორგი სანაიას მკვლელობაზე ვისაუბროთ! საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ 2001 წლის 26 ივლისს ჟურნალისტი გიორგი სანაია სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მოკლეს, რათა საზოგადოების მღელვარება გამოეწვიათ და შევარდნაძის ხელისუფლებას დროზე ადრე დაპატრონებოდნენ!**

— **გიორგი სანაიას** მკვლელობის საქმეში ერთმანეთს რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა — საზოგადოებაში გავრცელებული აზრი მისი არასწორი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და სკანდალური ჩანაწერები, რომელიც ხელში ჩაუვარდა!

**— გიორგი სანაია ნამდვილად პოლიციელმა გრიგოლ ხურცილავამ, ანუ იმავე გრიცკომ მოკლა?**

— **გიორგი სანაიას** მკვლელობას „გრიფით საიდუმლო“ ადევს! გრიცკო სინამდვილეში მკვლელია თუ არა, ამის შესახებ ზუსტად იციან **კახა თარგამაძემ** და მისმა მოადგილემ, რომელიც დღევანდელი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრია, ხოლო მაშინ კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსი იყო! ამის შესახებ ასევე ინფორმაცია ექნებათ მაშინდელი ნარკომანიისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსს, რომელიც დღესაც ხელისუფლებაშია და ძალიან საშიში კაცია, რადგან ყველაფერზეა წამსვლელი. **გიორგი სანაიას მკვლელობა** მაშინ ხელისუფლებასაც აწყობდა და სააკაშვილის ხროვასაც, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში იყო, მაგრამ შევარდნაძის ჩაჩოჩებას აპირებდა. **ჯაბა იოსელიანი** ოფიციალურად აცხადებდა, რომ სახელმწიფო იარაღს ნარკოტიკების ტრანზიტით შემოსული ფულით ყიდულობდა, ანუ შევარდნაძე-სააკაშვილის ხროვა ოფიციალურად მონაწილეობდა ნარკოტრანზიტში და ძალიან დიდი ფული მიდიოდა მაღალჩინოსნების ჯიბეში. აი, მაგალითად, **პეტრე ცისკარიშვილი,** რომელიც სწორედ ნარკოტიკების გამო გაიტაცეს, იყო ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ნარკოტრანზიტში მონაწილეობდა. **პეტრე ცისკარიშვილმა** იმ ხალხის გადაგდება მოინდომა, რომელიც ნარკოტიკებს უგზავნიდა. ამის გამო ხელი სტაცეს და ორმოში ჩააგდეს.

ნარკომოვაჭრე **პეტრე ცისკარიშვილის** გასათავისუფლებლად სახელმწიფო ბიუჯეტმა მაშინ ძალიან დიდი თანხა — 300 ათასი დოლარი გადაიხადა! **ცისკარიშვილის** გასათავისუფლებლად სპეცოპერაცია არ ჩატარებულა, **ელენე თევდორაძისა** და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მონაწილეობით მოლაპარაკება გაიმართა და ბიუჯეტის ფული გადაიხადეს! **გიორგი სანაიას** ხელში ჩაუვარდა სკანდალური ვიდეოჩანაწერები, სადაც ფიგურირებდნენ ნარკოტრანზიტში ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და ნარკობარიგები... მისი სიკვდილი ხელს აძლევდა სააკაშვილის ხროვასაც, რადგან სანაიას პოლიტიკური აქტივობები სწორედ ნარკოტიკების ვაჭრობით შემოსული ფულითაც ფინანსდებოდა! **გიორგი სანაიას** რომ ეს ჩანაწერები ჰქონდა და ტელევიზიით უნდა გაეშვა, ეს ვიღაცამ იცოდა. სწორედ ამ ჩანაწერების წამოღების მიზნით შევიდნენ მის ბინაში და სანაია მოკლეს... დანარჩენი ყველაფერი სპექტაკლი იყო, თუმცა, ხმები გიორგი სანაიას არასწორი სექსუალური ცხოვრების შესახებ მკვლელობის შემკვეთებს ძალიან დაეხმარათ! **გიორგი სანაიამ** ერთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა!

**— მაინც რა შეცდომაზეა ლაპარაკი?**

— **გიორგი სანაიამ** ელენე თევდორაძესა და კიდევ ერთ ცნობილ ჟურნალისტს უთხრა, თუ რა სკანდალური ჩანაწერები ჰქონდა!

**— მაინც რა იყო იმ ჩანაწერებში?**

— იმ ჩანაწერებში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და ნარკობარიგები ერთმანეთში იმის შესახებ საუბრობენ, თუ ვინ მოაცილებდა საზღვარგარეთიდან ნარკოტიკებს და ვინ ხვდებოდა საქართველოში! კონკრეტულ სახელებსა და გვარებს ასახელებდნენ...

**— თქვენ ეს ჩანაწერი ნანახი გაქვთ?**

— მაგას ვერ გეტყვით! მაგრამ ეს ჩანაწერი ნანახი ჰქონდა **ელენე თევდორაძეს,** რომელსაც მასალა თავად **სანაიამ** გააცნო. ორიდან ერთ-ერთმა — **ელენე თევდორაძემ** ან იმ ჟურნალისტმა, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა — **გიორგი სანაიას** ასეთი და ასეთი ჩანაწერები აქვსო! ჩანაწერი ცუდი ხარისხისაა, მაგრამ ხმა კარგად ისმის და გამოსახულებაც კარგია. სხვათაშორის,

## ერთი ცნობილი და ძალიან საშიში კაცი, რომლის გარეშეც შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს საქართველოში გრამი ნარკოტიკი არ შემოდიოდა, დღესაც მაგრად და კარგად არის! იმედი მაქვს, ჩვენს საზოგადოებას ეყოფა გონიერება და მიხვდება, რაც ვთქვი!

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***



მიხეილ სააკაშვილი და პეტრე ცისკარიშვილი

> **„ნარკომოვაჭრე პეტრე ცისკარიშვილის გასათავისუფლებლად სახელმწიფო ბიუჯეტმა მაშინ ძალიან დიდი თანხა — 300 ათასი დოლარი გადაიხადა!“**

## კვირგვინოსნები



**ლია ელიავა**
*ეკონომიკის ექსპერტი*

ყველა ფენაში არიან ადამიანები, რომლებიც **ვერ იტანენ სხვის სიმდიდრეს.** რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ **საქართველოში მდიდრდებიან არა კანონიერი გზით, არამედ კანონის გვერდის ავლით.** საქართველოში ძალიან ბევრი მილიარდერია, რომლებსაც ფული გატანილი აქვთ ქვეყნიდან.

„თბილისელები“



**იოსებ ჭუმბურიძე**
*კულტურის სამინისტროს კონსულტანტი, პროფესორი*

ერთხელ დავწერე — **ისეთი ოპოზიცია გვყავს, რომ სხვა თუ არაფერი, მხოლოდ მათი არსებობა გაამარჯვებინებს „ქართულ ოცნებას“-მეთქი** და ახლა, როცა მათ **საპარლამენტო სიებს** გადავხედე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში.

„საერთო გაზეთი“



**ვატო სურგულაძე**
*ექსპერტი*

**წულუკიანი** სამინისტროდან რომ წავიდა, **ქოცებმაც და არაქოცებმაც** პურმარილი გამართეს, **კიდევ კარგი მოგვშორდაო!**

„ახალი თაობა“



**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*

ოპოზიცია **ვერ ქმნის გამარჯვების განწყობას.** მას არ ჰყავს ლიდერები, ვისაც საზოგადოება ენდობა.

„კვირის პალიტრა“



**მამუკა არეშიძე**
*სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი*

შეიძლება, **მართლაც მოხდეს ცვლილებები აფხაზეთის საკითხში საქართველოს სასარგებლოდ,** მაგრამ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არ მოვტყუვდეთ.

„კვირის პალიტრა“

# ლაზარე-საქართველო და როსა

***აპოკალიფსის აპოსტასიურ და ბოლო ჟამს საქართველოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ვესაუბრებით ყოფილ რელიგიურ დისიდენტს, ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების“ რედაქტორ-გამომცემელს, ქართველ საეკლესიო მწერალს, საქართველოს ეროვნული აკადემიისა და კავკასიის ცივილიზაციის აკადემიის ნამდვილ წევრს მირონ მერაბ სულაქველიძეს.***



მირონ მერაბ სულაქველიძე

**— თქვენი დისიდენტური თვითგამოცემის ერთ-ერთ ნომერში საბჭოთა კავშირს აპოკალიფსურ წითელ ურჩხულად მოიხსენიებდით, ხოლო ლენინის მავზოლეუმს თავისი არქიტექტურული თავისებურებებით მოლოქისა თუ სატანის საკურთხეველს ადარებდით. თქვენი აზრით, რა პარალელის გავლება შეიძლება ყოფილ საბჭოთა კავშირსა და დღევანდელ დასავლეთს შორის, რომლის პოლიტიკაც უმრავლესობის მიმართ აგრესიული უმცირესობის დიქტატზეა აგებული და ამას უტიფრად უწოდებს „ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაციიდან“ გამომდინარე დემოკრატიასა თუ თავისუფლებას და არის თუ არა ყოველივე ეს მართლაც ბუნების საწინააღმდეგო ქრისტიანული ცივილიზაციის დასამარცხებელი და ქვეყნის სამტრო პოლიტიკური კურსი?**

— ძე შეცდომილ ჩვენს უძღებ შვილ მამულიშვილთ, რომელნიც დღევანდელი დასავლეთის პროპაგანდას თანაუგრძნობენ, გული რომ არ ვატკინო და საბოლოოდ არ დავკარგოთ ისინი, როგორც ეკლესიის მსახური, ვეცდები, ბიბლიასა და წმინდა მამათა გამონათქვამების საფუძველზე შევახსენო ის მთავარი საკითხები, რაშიც ჩართული არიან გლობალური პოლიტიკის წარმმართველი მაგნატები და სურთ, ჩვენც შეგვწირონ თავიანთ სამსხვერპლოს.

ღმერთის მოწინააღმდეგეობა თუ სატანიზმი უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს, მაგრამ საგაზეთო ვერსიაში ურჯულოების საიდუმლოს ყველა დეტალს ვერ განვიხილავთ. რაც შეეხება აპოკალიფსურ წითელ ურჩხულსა და ლენინის მავზოლეუმს, მოკლედ მოგახსენებთ: ე.წ. განდობილი საბჭოთა არქიტექტორ **შჩუსევის პროექტი,** სპეციალისტთა აზრით, ისეთ შტრიხებს იმეორებს, რაც ადამიანთა მსხვერპლშეწირვის ქურუმებს ახასიათებდა წარმართულ სამყაროში და, აგრეთვე, ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ტრადიციას, ფორმით კი ისინი თავიანთ პირამიდებს ჩამოჰგავდა.

რაც შეეხება წითელი დიქტატურის დიდ სამსხვერპლოს, ამაზეც ოდენ მოკლედ მოგახსენებთ.

საქმე იმაში გახლავთ, რომ

## ლენინ-ტროცკისტული ლოჟის შექმნა დასავლეთის

## ბანკირთა მასონური გეგმის ნაწილი გახლდათ, ხოლო დასავლეთის დემოკრატია და საბჭოთა დიქტატურა – მედლის ორი მხარე.

მეფის რუსეთის ოქროსა და ვერცხლის მონეტები დიდ კონკურენციას უწევდა დასავლურ საბანკო სისტემასა და ეკონომიკას. ამიტომაც „საჭირო“ გახდა მეფის რუსეთის სიმდიდრეთა დაუფლება, იმპერიის გაძარცვა და წარმოების უკონკურენციო სისტემით ჩამორჩენა-ჩამოშლა... ამის წინაპირობა კი პირველ მსოფლიო ომში ჩარევით ქვეყნის დასუსტება და უკმაყოფილო „სახალხო“ ჯარის დაფინანსება-შეიარაღება იყო. საბოლოო ჯამში აგენტურით თავს მოხვეულ ამ ტენდენციას ქართველმა იოსებმა შეუნელა ცეცხლი... **ამას ვამბობ მე — ყოფილი თავგადაკლული რეიგანისტი და ამერიკანიზმის დიდი მეხოტბე, რომელსაც ისტორიისა თუ რელიგიის აურაცხელ მასალათა გაცნობის შედეგად შემეცვალა ფსიქოლოგიური პროპაგანდით ჩაღვრილი აზრი.**

რაც შეეხება აპოკალიფსურ „წითელი ურჩხული დიდის“ — ეკუმენიოსის განმარტებით, „სისხლისმსმელობისა და რისხვის გამო“ არის იგი ღმერთის მიერ ასე სახელდებული“. იოანე მოციქულის წინასწარმეტყველებაში მითითებულია აგრეთვე მდებარეობა მისი და ცენტრი „საყდარი ეშმაკისა“, „სადა იგი, ეშმაკი მკვიდრ არს“ **(2, 13).** ბიბლიის უკანასკნელი წიგნი უფლისმიერი გამოცხადებისა, ორმოცგვერდიანია, მაგრამ მე მხოლოდ ისეთ მიმანიშნებელ მუხლებს შევეხები, სადაც ფიგურირებს „ქალაქი დიდი, რომელსა ეწოდების სოდომი და ეგვიპტე და მასთან მეძავნი“ — „საიდუმლო, ბაბილონი დიდი, დედა მეძავთა და საძაგელებათა ქვეყანისათა“, „საიდუმლო დედაკაცისა... არს ქალაქი იგი დიდი, რომელსაც აქვს მეფობა ქვეყანასა ზედა“ **(17, 5, 7, 18)** — „ქალაქი იგი დიდი ბაბილონი“, რომელთანაც „დალაგებულად“ საქმიანობდნენ „ვაჭარნი ქვეყნისანი“. **ამ ქალაქის დამხობის შედეგად კი დიდ საგონებელში შთავარდნენ და მწარედ გლოვობდნენ ისინი.** აქვე ჩანს აგრეთვე უთვალავი მხედრობა, ჯაჭვოსანი ეტლნი თუ ორი ათასი წლის წინანდელი თვალით აღქმადი თანამედროვე საომარი საშუალებანი და უზარმაზარი მსხვერპლნი... აქვე ორგზის ფიგურირებს „დამშრალი მდინარე ევფრატი“ **(9, 14, 76, 12),** „რათა განმზადებულ იქმნეს მეფეთა გზა, რომელნიც მოდიან მზის აღმოსავალით“ **(16, 12).** საგულისხმოა, რომ ეს დიდი მდინარე უკვე თითქმის დამშრალია და ყოველგვარი სამხედრო ძალისთვის იოლად გადმოსალახია.

აპოკალიფსური **„მეძავი იგი დიდი, რომელმან განხრწნა ქვეყანა სიძვითა თვისითა“** უფლისგან განსაკუთრებულ სასჯელს ელის **(19, 2 და ა.შ.),** მაგრამ მანამდე ისმის **„სხვა ხმა ზეცით... გამოვედით მისგან ერო ჩემო, რათა არა ეზიარნეთ ცოდვათა მისთა და წყლულებათა მისთაგან არა მიიღოთ“ (18, 4).** ხოლო, ვინც ყურად არ იღო ხმა ღმრთისა და მაცხოვრისა, **„ტიროდნენ და გოდებდნენ მის ზედა მეფენი ქვეყნისანი, რომელთა მის თანა ისიძვეს“ (9)...**

**— ხომ არ არის კიდევ რაიმე მინიშნება იმისა, თუ კონკრეტულად სად არის გამოცხადებისეული სიძვის ცენტრი?**

— არსებობს ასეთი ორიენტირიც ბიბლიის უკანასკნელ წინასწარმეტყველებაში: შვიდთაგან ერთი ანგელოზი წინასწარმეტყველ მოციქულს მიმართავს: — „მოვედ, და გიჩვენო შენ სასჯელი იგი მეძავისა მის დიდისა, რომელი — იგი ზის წყალთა ზედა მრავალთა“ **(17, 1).** „წყალთა ზედა მრავალთა“ — აქ, ოკეანეთა შორის მდებარე ცნობილი ტერიტორია უნდა ვიგულისხმოთ. განმარტებების მიხედვით კი, „წყალნი“ — ხალხთა სიმრავლესაც ნიშნავს... ჩვენი დღევანდელი დროის დიალოგის გასამყარებლად წმინდა მამათა კომენტარებს აღარ ჩავრთავ, ვგონებ, ყოველივე ისედაც ნათელია. დანარჩენი თქვენმა მკითხველმა განსაჯოს.



ლაზარეს აღდგინება
მე-17 საუკუნის ხატი

**— ბიბლიური დიდი ბაბილონის მთავართ მაინც რად უნდა აწყობდეთ ტოტალური უსჯულოების მფარველობა — სოდომიის პროპაგანდისტული ექსპორტი. ისინი ხომ ამით თავიანთი ქვეყნების უამრავ მომხრესა თუ მოკავშირეს კარგავენ და მსოფლიოში არსებულ მორალურ ძალებსაც იმხედრებენ?..**

— ასეთი ანტილოგიკური კურსის მთავარი მიზეზი შემდეგში გახლავთ: ბიბლია გვიმხელს, რომ კაცობრიობის სრული მიწურულის წინ ფარისევლური მშვიდობისმყოფელობისა თუ რელიგიურ-ზნეობრიობის მხარდასაჭერად და „სულიერი“ აღორძინებისთვის **ცრუ კაცი, ცრუ ქრისტე თუ ცრუ გადამრჩენელი დიქტატორი** უნდა გამოჩნდეს დედამიწაზე, რომელიც ჩვენთვის **ანტიქრისტეს** სახელითაა ცნობილი, ზოგისთვის კი — **მესია...** ხოლო, სანამ ის და მისი უშუალო წინამორბედი პერსონალურად გამომჟღავნდებიან მსოფლიო სარბიელზე, მათ „მობრძანებას“ მრავალნი წინამორბედნი შეუწყობენ ხელს გააფთრებულად. საქმე იმაშია, რომ **ანტე** მომხიბვლელად უნდა წარმოჩინდეს, როგორც სიწმინდეთდამცველი, მართალი წმინდანი და ომის შემდგომი დიდი მშვიდობისმყოფელი. მაგრამ მის გზაგანმამზადებელთ ავიწყ-

**„დღევანდელი დასავლეთის გეი-პროპაგანდისტული კურსის გაზიარება მათი ცოდვის თანაზიარობა გამოდის, რის გამოც უფლის წინაშე პასუხისგებას ვერ ასცდებიან! დროზე ახელოდეთ მათ თვალი!“**

# აპოკალიფსური სატანის საყდარი


**აპოკალიფსი**
**მე-16 საუკუნის ხატი**

დებათ, რომ თავიანთი რჩეულის მძიმე დიქტატურა მხოლოდ სამწელიწადნახევარს გაგრძელდება... **ჩვენი მთავარი მიზანია, ბოლო ომის ცეცხლმა ჩვენს ქვეყანას მაინც აუაროს გვერდი და რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოგვადგეს მსოფლიო მოვლენათა შედეგებისგან.**

**მადლობა ღმერთს, რომ მოსალოდნელი დრამის თავიდან ასაცილებლად ჩვენთან უკვე სათანადო თადარიგია მიღწეული. ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში ერისა თუ ბერის უდიდესი უმრავლესობა სიმფონიურ სულიერ კავშირშია და თითქმის ერთხმად აღმდგარი აპოკალიფსური ურჩხულის წინ!**

მიუხედავად იმისა, რომ თორმეტ მოციქულშიც აღმოჩნდა იუდა, **თუ უფალთან ახლოს ვიქნებით, ვერავინ გვძლევს და ორი ათასი წლის წინ უფლის მიმდევართა მსგავსად, შეიძლება ჩვენც მაგალითი მივცეთ სხვებს და ამ ურთულეს პირობებში ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის კვალდაკვალ კორექტივი შევიტანოთ გლობალური გეგმის შესრულების „ხარისხში“...**

**— ეს უსათუოდ აპოკალიფსური მოვლენა იქნება! ბიბლიური გამოცხადების რომელიმე მუხლი ხომ არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ უფრო გულწრფელად და მხნედ დავიცვათ სულისა და ქვეყნის მკვიდრთა გადარჩენისთვის ჩვენი კურთხეული არჩევანი?**

— თითქმის ისევე, როგორც კბილებამდე შეიარაღებული გოლიათის წინაშე წარმდგარ უსაჭურვლო ჭაბუკ დავითს, ჩვენც ზურგს გვიმაგრებს ღმერთი. მართალია, ჩვენ მცირე ერი ვართ და ჩვენი ეკლესიაც არაა დიდი, მაგრამ **ოთხმოცდაათიანი წლების საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებებით, ჩვენი ეკლესია უფრო მკვეთრად წარმოჩინდა ეკლესიის მატიანის ფურცლებზე და მართლმადიდებლობის მებაირახტრედ არის ცნობილი.** ეს მოვლენა კი გამოცხადებაშიც უნიკალურად აღნიშნულია და სიცოცხლის წიგნში სამატიანო-აპოკალიფსურ გვირგვინმოსილ გმირთა ღვაწლი წინასწარ იქნა ასახული. ვინაიდან ჩვენი ეკლესიისა და აწ საერო წინამძღოლნი გადარჩენის ბეწვის ხიდზე სიწმინდით და სიბრძნით მიგვიძღვიან, ჩემს ლოცვაში მათ, **ვითარცა ქრისტეს მხედართ,** ღმრთის რაინდებსა და აპოსტასიური ჟამის გმირებს ისე მოვიხსენიებ...

ისტორიულ მოვლენათა წინმსწრებ გამოცხადებაში კი მუხლობრივად ასეთ დასტურ სტრიქონებსაც ვკითხულობთ: ფილადელფიის აპოკალიფსურ ეკლესიას უფალი ასე მიმართავს: *„ვიცი საქმენი შენნი... რამეთუ მცირე ძალი გაქვს და დაიმარხე სიტყვაჲ ჩემი და არა უარ-ჰყავ სახელი ჩემი... რამეთუ დაიმარხე შენ სიტყვაჲ მოთმინებისა ჩემისაჲ, და მეც დაგიცვა შენ ჟამისა მისგან განსაცდელისა, რომელსა ეგულვების მოსვლად ყოველსა ზედა სოფელსა გამოცდად მკვიდრთა მათ ქვეყანისათა... იპყარ, რომელი გაქუს, რაჲთა არავინ მიგიღოს გვირგვინი შენი, რომელმან სძლოს, ვყო იგი სვეტად ტაძარსა შინა“* **(3, 7-12)...**

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **ასტერიუს არგირიუსი, მათე ვლასტარისი** და სხვა მკვლევარები ფილადელფიის აპოკალიფსურ ეკლესიად საქართველოს ეკლესიას მიიჩნევდნენ. მათი სიტყვა კი ავსებს **იოანე-ზოსიმეს** მიერ ძველ წინასწარმეტყველებათა საფუძველზე დაწერილ პალიმფსესტს **„ქებაჲ და დიდებაჲ ენისაჲ“,** სადაც მაცხოვრის მიერ ოთხი დღის მკვდარი ლაზარე საქართველოსთანაა გაიგივებული, ქართულ ენაში კი — ერი იგულისხმება, რომელსაც მსოფლიო მისია აკისრია. **საქართველოს ეკლესიის ღირსეული მამამთავრის კიდევ ერთი დამსახურება ისიც არის, რომ აღსაყდრებისთანავე, მან ბუკლეტად გამოსცა ეს წინასწარმეტყველური ტექსტი, მის საფუძველზე მე-11 საუკუნეში შექმნილი ლაზარე — საქართველოს ხატითურთ და მრევლს დაგვირიგა.**

**— ღმერთმა გაგვაძლიეროს და ყველას მიგვიჩინოს ადგილი ზეციური საქართველოს ეკლესიის მოზეიმე მკვიდრთა შორის. შემდეგი ჩემი კითხვა კი პერსონალური ხასიათისაცაა. როგორც ეკლესიის წევრი და სულიერი განათლების მსახური — კაბის გარედან თქვენ არა ფსკვნილ-ჯვარს ატარებთ, არამედ სერაფიმე საროველის ხეზე ამოტვიფრულ მოზრდილ ხატს. რა შინაარსია ჩადებული ამ უნიკალურ ჩვევაში და მინიშნება ხომ არ არის რუსეთ-საქართველოს სულიერ კავშირზე?**

— რუსეთის მნათობად აღიარებულ ამ საკვირველთმოქმედ მამას წინასწარხედვის მადლი გააჩნდა და ძლიერ უყვარდა საქართველო. **ხმამაღლა იგი იმასაც აცხადებდა, რომ**

**რუსეთისა და საქართველოს ეკლესიები დები არიან. მათ შორის კი უფროსი ივერიისაა, საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მასთან ღირსეული ურთიერთობა აუცილებელია და ვინც ამ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს, ღმრთისგან მკაცრად განისჯება.**

კაცობრიობის ისტორიის მიწყურულს კი უფლის ტრაპეზზე **„პური რუსეთიდან შეიწირება, ღვინო კი საქართველოდანო“...** ამ ღირსი მამის წინამხედველურ სიტყვათა ჭრილში შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე დიდი გერმანელი ქართველოლოგის **ჰერმან ვედეკინდის** სიტყვები: *„გერმანიას უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს გერმანია, რადგან აქ უფრო აქვს გადგმული ფეხი იესო ქრისტეს სწავლებას... დიახ, დიახ! ქართველებს მთელი მსოფლიო იმედით შესცქერის“*... გერმანელი მეცნიერის სულიერ დასკვნას ეხმიანება აგრეთვე **„ფეხით მოსიარულის“** სახელით ცნობილი ხალხის საყვარელი მოძღვრის **გიორგი ბასილაძის** მიერ ჯერ კიდევ ათწლეულის წინ წარმოთქმული მესიანისტური სიტყვები: *„სწორედ ქართველები იქადაგებენ ბოლო ჟამს მთელ მსოფლიოში მართალ რწმენას. საქართველოდან წმინდანები ამხელენ ანტიქრისტეს. ქართველები დაეხმარებიან სხვა ერებს. მთელი მსოფლიოს კეთილი სისტემა ელოდება ქართველთა გამოსვლას. ეს იცის ბოროტმა სისტემამაც, ამიტომ არ გვანებებენ თავს, როგორც სულიერად, ასევე პოლიტიკურადაც, მაგრამ ფუჭია მათი შრომა, ვერ მოგვერევიან... ის, რაც ღვთისგან დაიგეგმა და წინასწარმეტყველებით გვეუწყა, ყოველივე აღსრულდება, ოღონდ დიდი შრომაა საჭირო. ეს შრომა ქართველებისგან უდიდეს ძალისხმევას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. არც სხვათა მიბაძვით და არც სხვების იმედად არაფერი გამოვა.*

***ძნელია ქართველობა, მაგრამ აუცილებელი, რადგან ქართველობა ღმერთში ცხოვრებაა, ღმრთის სათნო წესი“.***

როგორც ვხედავთ, აპოსტასიური ჟამის დღევანდელ პირობებში ქართველობის, მამულის და ქრისტეს მცნებების დაცვა რთულია და თანაც აუცილებელი, მაგრამ გვახსოვდეს, რომ

**ღმრთის რჩეულთა გამარჯვების აპოკალიფსური გვირგვინიც განსაკუთრებულად ბრწყინვალეა, – დიახ, დიახ, ქართველობა ძნელია, მაგრამ მშვიდობისთვის სარგო და ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით ჩასაწერი.**

უდიდესი მრევლის მოძღვარი ეს ქართველთ ქომაგი 2013 წლის 25 აპრილს უეცრად „მოიწამლა“... მაგრამ დღევანდელ დღეს მისი სულის სათქმელს ქრისტესა და ერისთვის — მე გადმოგცემთ. ეს უმთავრესია და უღრმესად გთხოვთ, ყველას გააგებინოთ...

როდესაც საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას მოეწერა ხელი, ეს სიახლე, ძირითადად, რელიგიათა შორის ურთიერთობებს ეხებოდა. უკიდურეს უმცირესობაში მყოფმა გეი-პროპაგანდისტებმა ეს უმალ ხელთ დაიხვიეს და გაათმაგებული ძალით იწყეს ქვეყნის **უდიდესი უმრავლესობის მიმართ აგრესიული ძალადობა,** თითქოსდა აქამდე მათ ვინმე ავიწროებდა.

გარედან უხვად დაფინანსებულმა არასამთავრობოებმა მკვეთრად განავითარეს სოდომელ-ლესბოსელთა ანტიდემოკრატიულად მხარდაჭერის გეგმა. **იუდა-გამცემლებისა და ცეცხლოვანი გეჰენიისკენ მიმავალთა მფარველობაში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვნენ ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიები და ევროპიზაციის სოფისტურ სლოგანებს ამოფარებულებმა საამქაოშივე დაინაწილეს მარადიული ხვედრი.** მაგრამ გულისტკივილით მათაც შევახსენებ, რომ

**სიცოცხლე აქ არ მთავრდება – ადამიანის სული მარადიულია და ნუ გავცვლით მას მამონაში, ხანმოკლე კეთილდღეობასა თუ იუდას ვერცხლში...**

ამ თანამოქალაქეებს გულწრფელად ვურჩევ, საარსებოდ სხვა მატერიალური საშუალება გამოძებნონ... ხოლო, მათ, ვინც თანამედროვე ევროპას „ქრისტიანულად“ მიიჩნევს, მინდა, ძმურად შევაგონო — **დღევანდელი დასავლეთის გეი-პროპაგანდისტული კურსის გაზიარება მათი ცოდვის თანაზიარობა გამოდის, რის გამოც უფლის წინაშე პასუხისგებას ვერ ასცდებიან! დროზე ახელოდეთ მათ თვალი!**

ყველას ერთად კი მუდამ უნდა გვახსოვდეს სიცოცხლის წიგნის ბიბლიური აქსიომა, რომ ერის ბედს სულიერი ატმოსფერო განსაზღვრავს და **რაც მეტი მამულიშვილი და მართალი** იქნება ქვეყნად, მით უფრო დაცული იქნება ქალაქი, სოფელი თუ ერი — აპოკალიფსში ნაწინასწარმეტყველევი ცეცხლოვანი სასჯელებისგან. **ღმერთმა დალოცოს საყოველთაო უსჯულოების დინების საწინააღმდეგოდ ერის სვლა. ამინ!**

## «ახლოა ჟამი»

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-41*

***2007 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ჩემი უფროსი მეგობრის, პროფესორ ავთანდილ სონღულაშვილის უაღრესად საინტერესო მონოგრაფია „აფხაზი თუ აფსუა?“, სადაც პოპულარულად, უამრავ ისტორიულ ფაქტზე, წყაროსა და ავტორზე დაყრდნობით პირუთვნელად არის შეფასებული აფსუათა წარმომავლობის, მათი ისტორიის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და რწმენა-წარმოდგენების საკითხები.***




## ნესტორ ლაკობა:

**თუ ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით აფხაზებს, რა თქმა უნდა, აფხაზეთს არავითარი როლის შესრულება არ შეეძლო კაცობრიობის წინაშე, თუ გინდა იმის გამო, რომ ამ ხალხს არ გააჩნია არც თავისი ისტორია, არც დამწერლობა და არც ლიტერატურა!**

ჩვენი მოკრძალებული აზრით, ამ ნაშრომის ყველაზე დიდი ღირსება მაინც ის გახლავთ, რომ მონოგრაფიაში აფსუათა ნამდვილი წარმომავლობა გაშიფრულია სწორედ იმ „ავტორიტეტების“ ნააზრევზე დაყრდნობით, ვინც აფსუათა სეპარატიზმს მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან განსაკუთრებული ბიძგი მისცა და საბოლოოდ ის უბედურება გამოიწვია, რამაც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია აფსუებისგან, ფაქტობრივად, გაწმინდა და დაცალა.

დაახლოებით ერთი თვის წინათ აფხაზეთიდან დევნილი ჩემი ახლო მეგობარი სოხუმში იმყოფებოდა... მოიარა ბავშვობის ადგილები, იყო სოხუმშიც და თბილისში ჩამოსულმა გულმოკლულმა მითხრა — **აფხაზეთი ახლა უკვე მართლა დაკარგულია. სოხუმში, ზღვის სანაპიროზე, არცერთი მეგობარი აფხაზი არ შემხვედრია, არც მათი გადაძახილი გამიგონია, ყველგან სომხური ლაპარაკი ისმისო!**

მიგვაჩნია, რომ აფხაზეთში აფსუების ადგილზე სომხების მომრავლება შემთხვევითი არ გახლავთ და ქართველთათვის ამ ბედუკუღმართ პროცესს უფრო ღრმა, ისტორიული საფუძველი აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ ერთხანს **ერეკლე მეფის** კარზე მოღვაწე ცნობილი ავანტიურისტისა და პეტერბურგის საიმპერატორო კარის, კერძოდ, **გრიგოლ პოტიომკინის** აგენტის — **იაკობ რაინეგსის** თანახმად, *„თვით აფხაზთა შეხედულებები თავიანთი წარმომავლობის შესახებ სხვადასხვაა. ერთნი თავის წარმომავლობას არმენიელებიდან თვლიან, მეორენი კი ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები ეგვიპტიდან მოსულან. როგორც მათ სურთ, ისე იყოს, მაგრამ ორივე ხალხი, როგორც დიდი, ისე მცირე აბაზასი ლაპარაკობს ერთი ენის განსხვავებულ დიალექტზე და აქვთ ერთნაირი ჩვევები. სომხურ ენასთან არავითარი მსგავსება არ აქვთ; ის უფრო ჩერქეზული ენის დიალექტს უნდა წარმოადგენდეს!“*

**რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას თუ გავისიგრძეგანებთ და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს აფხაზეთში აფსუები სომხებთან შედარებით ეთნიკურ უმცირესობაში არიან, ვფიქრობთ, შორს არ არის ის დრო, როცა ქართველების სისხლით გამძღარი ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის მეთაურის გალუსტ ტრაპიზონიანისა და მისი მესვეურების მხრიდან სულ მალე გაჟღერდება აფსუათა წარმოშობის ახალი, სომხური ვერსია, რომლის თანახმადაც, იაკობ რაინეგსის ცნობებზე დაყრდნობით აფხაზეთის ავტოქტონ ერად გამოცხადდებიან სომხები, რომელთაგანაც აფხაზები წარმოიშვნენ!**

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ სწორედ აქამდე და კიდევ უფრო უარესობამდე მიდის საქმე, როცა ისტორიას უპატიებლად ეპყრობიან და გუშინდელ მონაჩმახსა და მონაჭორს „ქვათა ღაღადად“ წარმოგვიჩენენ!

თავს ვალდებულად მივიჩნევთ, გაგაცნოთ პროფესორ **ავთანდილ სონღულაშვილის** მიერ თავის მონოგრაფიაში მოტანილი არაერთი საყურადღებო ცნობა, რითიც დასტურდება, რომ აფხაზებად წოდებული გადაშენების პირას მყოფი ხალხი, რომლის ადგილსაც რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში ასე წარმატებით იჭერენ სომხები, სინამდვილეში ცივილიზაციას მოწყვეტილი, უკულტურო ხალხია.

აი, ერთ-ერთი მათგანი: *„1924 წლის 8 მაისს საქართველოს კპ(ბ) III ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას* ***ნესტორ ლაკობა*** *ავითარებს თავის აზრს აფხაზეთის ე. წ. დამოუკიდებლობის შესახებ: „თუ ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით აფხაზებს, რა თქმა უნდა, აფხაზეთს არავითარი როლის შესრულება არ შეეძლო კაცობრიობის წინაშე, თუ გინდა იმის გამო, რომ ამ ხალხს არ გააჩნია არც თავისი ისტორია, არც დამწერლობა და არც ლიტერატურა!“*

**ნესტორ ლაკობა,** რომელიც ლენინთან მეგობრობდა, დღემდე რჩება აფსუა სეპარატისტების „პატრიარქად“. ცნობისათვის, **ბერია** ლაკობას ერთადერთი ვაჟის — **რაუფ ლაკობას** ნათლია იყო. გადმოცემის თანახმად, **ლავრენტი ბერიამ** ლაკობა, რომელიც აფხაზეთში აფსუებს ქართველების წინააღმდეგ აგულიანებდა, 1936 წლის დეკემბრის მიწურულს თბილისში მოიპატიჟა და ოჯახში გულუხვი სუფრა გაუშალა. არავინ იცის, კონკრეტულად რომელი კერძი იყო მოწამლული იმ სუფრაზე, მაგრამ ეს სტუმრობა ლაკობასათვის საბედისწერო აღმოჩნდა. ქვეგამხედვარი და საქართველოს ერთიანობის მტერი **ლაკობა,** რომელიც ერთხანს ქემალ ათა-თურქთანაც კი აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ლენინის სიცოცხლეში ქართველების აოხრებისა და მიწასთან გასწორების ხარჯზე, აფსუებს ლამის „ღვთის რჩეული ერის“ სტატუსი შესძინა, კარგად ხვდებოდა, რომ ლავრენტი ბერია ღალატს არ აპატიებდა, ამიტომ მის ოჯახში მყოფს სახეზე მკვდრის ფერი ედო და მძიმედ სუნთქავდა...

— მიირთვი რამე, ნესტორ, ნამგზავრი ხარ და მოშიებული იქნები! — ღიმილით უთხრა ლაკობას ლავრენტიმ და თეფშში ახლოს მიუჩოჩა.

ქართველების მოსისხლე აფსუა სეპარატისტი ხვდებოდა, რომ კარგი დღე არ ადგა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, სუფრიდან ისეთი რამ გადაეღო, რომელიც არ მოწამლავდა!

ერთ-ერთ თეფშზე მოხარშული, გაუფცქვნელი კვერცხები ეწყო... ნესტორს თვალები გაუბრწყინდა, იფიქრა, ახლა კი ნამდვილად გადავრჩი — კვერცხში ხომ მაინც ვერ იქნება საწამლავიო და მორიდებით გატეხა, ცხოვრებაში უკანასკნელად.

საწამლავი კვერცხშიც კი შპრიცით ყოფილა შეშხაპუნებული, რათა ნესტორიც იქით გაესტუმრებინათ, საითაც ქართველების მოყვარული **სერგო**




ავთანდილ სონღულაშვილი

აფხაზი თუ აფსუა?

## კვირგვინოსნები



**სერგეი ლავროვი**
*რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი*

საქართველოს ახლანდელი ხელმძღვანელობა **სამართლიანად აფასებს წარსულს.** მათ თქვეს კიდეც, რომ **„ისტორიული შერიგება უნდათ“.** რა სახით და ფორმით შეიძლება, **ეს შერიგება მოხდეს,** ეს თავად ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ: **აფხაზეთმაც და სამხრეთ ოსეთმაც.** ისინი საქართველოს მეზობლები არიან, **იქ გარკვეული კონტაქტები მაინც გარდაუვალია.** თუ ყველა მხრიდან იქნება ინტერესი **ამ ურთიერთობების ნორმალიზებისა, თავდაუსხმელობის შეთანხმების უზრუნველყოფისა,** მხარეების დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ მზად ვიქნებით, დავეხმაროთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*

მე **ლავროვის** სიტყვები გავიგე ასე, რომ **აფხაზები და ოსები არიან თქვენი მეზობლები და „მეზობლებთან“ კარგ ურთიერთობაში დაგეხმარებითო.** ანუ კი ბატონო, მივიღეთ თქვენი ბოდიში, კარგები ხართ, მაგრამ **არ გქონდეთ იმის ილუზია, რომ აფხაზეთისა და ოსეთის აღიარებას ვინმე უარყოფსო.**

„რეზონანსი“



**პეტრე მამრაძე**
*ანალიტიკოსი*

**ლავროვის** ეს განცხადება **ყინულის დაძვრა მგონია და რაღაცა პროცესების დაწყების იმედს მაძლევს.** სიფრთხილეა საჭირო და ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლა, რადგან **რაღაცაზე რუსები უკვე დაფიქრდნენ და ჩვენ ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ.**

„რეზონანსი“



**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*

ნაცხროვამ იცის, რომ **მათი არჩევნებში გამარჯვება** ყველაზე ბოროტი ზღაპრის სიუჟეტშიც ვერ ჯდება.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

**ბალაფში** გაისტუმრეს ვლადიმირ პუტინის მსტოვრებმა 2011 წლის 29 მაისს!

მოკლედ, აფსუების შესახებ „აფხაზების გმირი“ **ნესტორ ლაკობა** 1924 წლის მაისში აცხადებდა — აფხაზებს არც ისტორია, არც კულტურა და არც ლიტერატურა არ გააჩნიათო!

უფრო მეტიც, როგორც პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი** საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით აცხადებს, 1930 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე **ტ. ჭანბა** აღნიშნავდა, რომ აფხაზებს *„არა აქვთ თავიანთი კულტურა და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გზა ეროვნული კულტურის განვითარებისთვის!“*

ეს დაახლოებით ისეთივე სკანდალური, მაგრამ მართალი განცხადებაა, როგორც ცნობილმა ოსმა პროფესორმა **ვასილ აბაევმა** თქვა ოსების შესახებ — ოსურში ცეკვა არ არსებობსო! ბუნებრივად დაისმის კითხვა — მაშ, ვინ შექმნა საქვეყნოდ სახელგანთქმული „ოსური ცეკვა“?



პროფესორი ზურაბ რატიანი




> **„აქ კი მათ დაკარგეს ეს საკუთარი სახელი, რადგან შეერწყნენ კულტურულ ერს – ქართველობას და მიიღეს მისი ერთი კუთხის, აფხაზეთის მკვიდრი ქართველის – აფხაზის სახელწოდება!“**

არ გახლავართ ენათმეცნიერი და აფსუათა ენის სტრუქტურის შესახებ ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ **უკლებლივ ყველა ნამუსიანი ლინგვისტი ირწმუნება, რომ აფსუათა ენაში ბერძნულის გავლენის არავითარი ნიშანწყალი არ იგრძნობა.**

მართლაც, თუ აფსუები აფხაზეთის ავტოქტონი მოსახლეობაა, როგორც ამას ბევრი ჩვენი ვაიმეცნიერიც ამტკიცებს და აფსუები, უხსოვარი დროიდან მოყოლებული, შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, მაშ, როგორ მოხდა, რომ მე-8 საუკუნის 30-იან წლებამდე, ვიდრე აშოტ **დიდი კურაპალატის** ვაჟმა **ბაგრატ პირველმა** აფხაზეთის საკათალიკოსო არ დააარსა და დასავლეთ საქართველოში ბიზანტიელთა პარპაში ეკლესიურადაც არ აღკვეთა, აფსუების ენაში ორი ღერი ბერძნული მაინც არ გავრცელდა?

დავიჯეროთ, აფსუათა ენა ბერძნულზე უფრო მდიდარია და ბერძნულზე მოახდინა ზეგავლენა?

ეს უკვე სიგიჟის მასშტაბებსაც კი სცდება!

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული სიტყვები აფსუათა ენისთვის აბსოლუტურად უცხოა და აფსუურში ბერძნულიდან თუ რამ შესული და დამკვიდრებულია, ისიც მეგრული ენის გავლენით.

მაშ, რა მოხდა?

მოხდა ელემენტარული რამ — ბერძნებს, ანუ ბიზანტიელებს, როცა ისინი დასავლეთ საქართველოსა და, მითუმეტეს, ისტორიული საქართველოს შავიზღვისპირეთს აკონტროლებდნენ და სებასტოპოლისსა და აფსაროსში მეციხოვნეები ჰყავდათ ჩაყენებული, აფსუებთან, რომლებმაც, ჩვენივე ბედოვლათობის წყალობით, „აფხაზები“ დაირქვეს, ურთიერთობა არ ჰქონიათ, რადგან ასეთი ხალხი აფხაზეთში კი არა, ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, დღევანდელი ადიღესა და ჩერქეზეთის მიდამოებში ცხოვრობდა და საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ ჩამოსახლდა, როცა ბიზანტიის იმპერია უკვე დაცემული იყო, ხოლო ბერძნები — საქართველოდან გადახვეწილი და გარეკილი!

უფრო მეტიც, **უცხოელ მოგზაურთა, ისტორიკოსთა თუ გეოგრაფთა კატეგორიული განცხადებით, რომლებმაც აფხაზეთში იმოგზაურეს, აფსუები, როგორც მთიელები, საზღვაო საქმისგან იმდენად შორს იდგნენ, რომ თევზსაც კი არ ჭამდნენ და მტკიცე წარმართები იყვნენ!**

ამის დასტურია პროფესორ **ავთანდილ სონღულაშვილის** ზემოხსენებულ მონოგრაფიაში მოტანილი მეტად საინტერესო და საყურადღებო ერთი ცნობა, რომელიც არა რომელიმე ქართველს, არამედ ეთნიკურ რუსს **ა. მაშინას** ეკუთვნის. 1869 წელს გაზეთ „კავკაზის“ 47-ე ნომერში მან გამოაქვეყნა სტატია — **„აფხაზეთის სოციალური ყოფის ნარკვევები“.** ავტორი, დღევანდელი კრემლის მესვეური ზოგიერთი ვაიმეცნიერისა და უიჟურნალისტისგან განსხვავებით, ზუსტად 155 წლის წინათ აფსუების შესახებ ასეთ რამეს წერდა: *„აფხაზები მიჯაჭვული არიან მიწაზე და მუდმივად ბუდობენ შორეულ მთებში. ისტორიულად ისინი მოცილებული იყვნენ ზღვას. აფხაზური მოსახლეობა ცხოვრობდა ძარცვითა და ომით, არასდროს არ მისდევდა ზღვაოსნობას და მეთევზეობას. ზღვიდან მათ არ შეეძლოთ რაიმე სარგებლობის მიღება. მათთვის ზღვამ გადაინაცვლა ყველაზე უკანა პლანზე და მისდამი განწყობილი იყვნენ, როგორც ჩვენ მთვარისადმი ან რომელიმე პლანეტისადმი... ამიტომ თევზის რეწვისათვის ნავის გამოყენებაც კი წარმოუდგენელი იყო. ეთნოგრაფიული მასალებით აფხაზებს საზღვაო ტრანსპორტი საერთოდ არ ჰქონიათ. ნავებს მხოლოდ სამეკობროდ, თარეშისათვის იყენებდნენ!“*

> **„აფხაზებს არა აქვთ თავიანთი კულტურა და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა გზა ეროვნული კულტურის განვითარებისთვის!“**

როგორც ვხედავთ, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია!

ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, აწ განსვენებულ პროფესორ **ზურაბ რატიანს** პირადად ვიცნობდი. წლების წინათ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან სწორედ მან მოუწოდა ხელისუფლებას, რომ ქართულ სკოლაში დაებრუნებინათ **ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ შერისხული და ცეკას საგანგებო ბრძანებით აკრძალული „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო,** რომელიც 1943 წელს სტალინის მითითებით გამოვიდა. არც ბატონ ზურაბს და არც თქვენს მონამორჩილს ყური არავინ გვათხოვა და ქართველი ბავშვების თაობები, რომლებმაც მშობლიური ქვეყნის ისტორია არ იციან, ერთმანეთს ენაცვლებიან.

1995 წელს პროფესორმა **ზურაბ რატიანმა** გამოსცა მონოგრაფია — **„წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო“,** რომელშიც ვკითხულობთ — *„დღესაც აშკარად ჩანს აფსუათა ჭეშმარიტი ადგილმდებარეობა რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული დაყოფის კრებულში, რომელიც 1974 წელს არის გამოცემული მოსკოვში, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ რუსეთის ფედერაციის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში არის ადიღეჰაბლის რაიონი და მასში შედის რვა სასოფლო საბჭო, რომელთაგან ერთს ჰქვია აფსუას (Апсуанский сельсовет) სასოფლო საბჭო. ამგვარად,* ***„აფსუანსკი“*** *და არა* ***„აფხაზსკი“...*** *ე. ი. იქ მათ საკუთარი სახელით იცნობენ. აქ კი მათ დაკარგეს ეს საკუთარი სახელი, რადგან შეერწყნენ კულტურულ ერს — ქართველობას და მიიღეს მისი ერთი კუთხის, აფხაზეთის მკვიდრი ქართველის — აფხაზის სახელწოდება!“*

ეს ის შემთხვევაა, როცა ჩვენი კომენტარი მოკლე, მაგრამ ვფიქრობთ, მრავლისმთქმელი იქნება!

ერთი დიდი პოეტისა არ იყოს, **ოდესმე მართლაც დიდი ყოფილა საქართველო.** არადა, საქართველოს ისტორიას, მიწას და კულტურას ქურდავენ, ქურდავენ და ვერ გაქურდეს!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ზაალ კასრელიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ომის შემთხვევაში რუსეთი შეეცდება, თავისი რესურსი გამოიყენოს ადგილზე: **ჩრდილო კავკასიაში — პრორუსები, საქართველოში — პრორუსები,** სომხეთში **პრორუსები და პროდასავლელები** დაატაკოს ერთმანეთთან, შემდეგ **აზერბაიჯანს** დააყენებს არჩევნის წინაშე: **ან რუსისკენ, ან თურქისკენ.**

„თბილისელები“

**ანზორ თოთაძე**
*დემოგრაფი*



7 წლის განმავლობაში **20 ათასით შემცირდა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა,** მომდევნო 7 წლის განმავლობაში **კიდევ 20 ათასით შემცირდება** და საშუალო თანაფარდობით დაიბადება **10 ათასი ვაჟი და 10 ათასი გოგონა,** ასეთია დემოგრაფიის პრინციპი. მარტო **10 ათასი ვაჟი** ქართულ ჯარს არ ეყოფა და ვეღარ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან. **ასე თუ გაგრძელდა, ხვალ საქართველო აღარ იქნება.**

„ახალი თაობა“

**ზურაბ ციცქიშვილი**
*ეკონომიკის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი*



არცერთ ღირსეულ, სუვერენულ და უაღრესად წარმატებულ ქვეყანაში **„ენჯეოკრატია“** დღეს უკვე აღარ არის! **მათი გავლენა ნულის ტოლია!** ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულ **ჩინეთში „ენჯეოებს“ არ აჭაჭანებენ!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მერაბ დვალიშვილი**
*UFC-ის ჩემპიონი*



მინდა, **ქველმოქმედება გავაკეთო და საქართველოში გავხსნა პატარ-პატარა დარბაზები.** ეს იქნება **ჯიუ-ჯიცუს და ჭიდაობის დარბაზები,** სადაც ახალგაზრდებს ვარჯიშის საშუალება მიეცემათ. **სახელმწიფო მეც დაილია თოფურიასაც მილიონს გვაძლევს, რისთვისაც მადლობა.** ამ თანხასაც დავამატებ და სრულად გამოვიყენებ ჩემს ქველმოქმედებაში.

„რეზონანსი“



# ელა მჟავია: ზოგჯერ მესიზმრება, რომ ისევ მის რომელიმე დავალებას ვასრულებ და ძილში ცუდად ვხდები!



***საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებული არქივის გახსნამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სადაზვერვო სამმართველოების განსაკუთრებული ინტერესი პარაფსიქოლოგიისადმი. ასე რომ, უჩვეულო უნარის მქონე ადამიანები, ადრე თუ გვიან, სპეცსამსახურთა ყურადღების ცენტრში ხვდებიან. ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი ბიოენერგოკორექტორი ელა მჟავია, მრავალი წლის შემდეგ კვლავ ჩვენი სტუმარია და თავად გვიამბობს, თუ როგორ მოხვდა ჯერ მოსკოვის კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტში, შემდეგ კი გრუ-ს ერთ-ერთ საწვრთნელ ბაზაზე, სადაც წელიწადნახევარი დაჰყო.***

**— ქალბატონო ელა, საუბრის დაწყებამდე ცოტა ხნით წარსულში გადავინაცვლოთ... საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს გასაიდუმლოებული არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მესამე რეიხის მისტიკური განყოფილების ანენერბეს მიერ შემუშავებული მასალები ხელში ჩაუვარდათ გამარჯვებულ ქვეყნებს. ყველაზე დიდი ნაწილი აშშ-ში მოხვდა. გარდა ამისა, ამერიკელებმა 600 გერმანელი მეცნიერი, რომლებიც ჰიტლერის ბრძანებით ფსიქოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობდნენ, შტატებში გადაიყვანეს და მაშინვე ჩართეს ცერეუს საიდუმლო პროექტებში ადამიანის ცნობიერების მანიპულაციის საშუალებების შესასწავლად.**

— ერთ-ერთ ასეთ ზესაიდუმლო პროექტზე სახელწოდებით **„ვარსკვლავური კარიბჭე“** ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ, 1978 წელს დაიწყეს მუშაობა. მათი ჯაშუში ექსტრასენსები ცერეუს შტაბბინიდან გაუსვლელად უკეთებდნენ სკანირებას სსრკ-ის მთელ ტერიტორიას და სამხედრო სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებდნენ.

**— სსრკ-ის თავდაცვის სამინისტროს არქივის მასალებიდან ირკვევა, რომ სწორედ ამ პროექტის საპირწონედ შეიარაღებული ძალების გენშტაბთან გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შეიქმნა განსაკუთრებული სამხედრო ნაწილი №10003, რომელსაც ხუმრობით „ათასი და სამი ღამე“ შეარქვეს ნიშნად იმისა, რომ იქ ზღაპრული ამბები ხდებოდა, ხოლო ამ ნაწილის ხელმძღვანელს, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეი სავინს მერლინი უწოდეს. მასზე ჭორები დადიოდა, მიხეილ გორბაჩოვის მითითებით, უცხოპლანეტელებს ეკონტაქტება და გარდაცვლილ ბელადთა სულების გამოძახებას ცდილობსო.**

— სხვათაშორის, ამდაგვარი გასაიდუმლოებული ქვედანაყოფი ლენინის დროსაც შეიქმნა **ფელიქს ძერჟინსკის** პირადი განკარგულებით. ეს იყო დაშიფვრის სპეციალური განყოფილება, რომლის ხელმძღვანელიც **გლებ ბოკი** იყო.

ცნობისთვის: ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ სწორედ **გლებ ბოკი** გახდა მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოების „ოსტატი და მარგარიტას“ მთავარი გმირის — ვოლანდის პროტოტიპი. ამ უაღრესად საინტერესო ადამიანს ლენინი პირადად იცნობდა და ენდობოდა.

გაგიკვირდებათ და **გლებ ბოკი** თბილისში დაიბადა 1879 წლის 3 ივლისს. მამამისი — **ივანე ბოკი** ხარკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის გიმნაზიაში გაამწესეს ქიმიის მასწავლებლად. ცნობილია, რომ რევოლუციამდელ გიმნაზიებში, ყველგან, ივანე ბოკის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა ქიმია.



მიხეილ ბულგაკოვი

თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ **გლებმა** პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. სწორედ იქ ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და მალევე გახდა პროფესიონალი იატაკქვეშელი. მართალია, მატერიალისტი იყო, მაგრამ ყოველთვის აინტერესებდა პარაფსიქოლოგია და ამ თემაზე დაწერილი უამრავი წიგნი ჰქონდა წაკითხული.

**გლებ ბოკი** რევოლუციამდე რეციდივისტად ითვლებოდა. 15 წლის განმავლობაში 12-ჯერ წარდგა სასამართლოს წინაშე, მათ შორის, მკვლელობისთვისაც, მაგრამ ციხეში არასოდეს მჯდარა — ან ამართლებდნენ, ანდა გირაოს სანაცვლოდ უშვებდნენ. საკმაოდ დიდი თანხები აქვთ გადახდილი მის გასათავისუფლებლად მისტიკოსსა და ჰიპნოზიორს **ბიორგი ბურჯიევს,** იმ დროისთვის ცნობილ მედიუმს **პავლე მაკიევსკის** და ტიბეტელ მკურნალ **პეტრე ბადმაევს.** ერთი სიტყვით, ეზოთერიკოსები და ოკულტისტები თავისიანად თვლიდნენ.

**გლებს** კუჩინოში ჰქონდა აგარაკი, სადაც უცნაური კომუნა შექმნა. მისი წევრები ატარებდნენ საიდუმლო რიტუალებს, ეძლეოდნენ ორგიებს. **ბოკის** მეზობლად ცხოვრობდა პოეტი **ანდრეი ბელი,** რომელიც **მიხეილ ბულგაკოვთან** მეგობრობდა. სწორედ მისი წყალობით იცოდა მწერალმა, რაც გლების აგარაკზე ხდებოდა. **ამბობენ, რომ სცენა, სადაც ვოლანდი სტუმრებს ილებს, ანუ სატანის მეჯლისი, დეტალებში ემთხვევა ბოკისთან გამართულ წვეულებებს.**

მისი განყოფილება ოფიციალურად კრიპტოგრაფიით იყო დაკავებული. ისეთ შიფრებს ქმნიდნენ, რომ ვერცერთი უცხოური სპეცსამსახური ვერ ახერხებდა მათ ამოცნობას. ამ განყოფილებაში მუშაობდნენ მათემატიკოსები, ლინგვისტები, ჯადოქრები, შხამების მცოდნეები, ტელეპათები და ნათელმხილველები. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აბვერის აგენტებმა 50 ათასი რეიხსმარკა დააწესეს ჯილდოდ ნებისმიერი ინფორმაციისთვის, რომელიც შიფრების განყოფილების მიერ შემუშავებულ მასალებს ეხებოდა. მისი ხელმძღვანელი **გლებ ბოკი** კომუნისტებმა 1937 წელს დახვრიტეს.

**— თქვენ როგორ აღმოჩნდით დაზვერვის სამმართველოს ყურადღების ცენტრში?**

— ჩემი უმცროსი ვაჟი **შოთიკო** 4 წლის ასაკში ძლიერი ტრავმის გამო პედიატრიის ინსტიტუტის რეანიმაციაში მოხვდა. ბავშვს რომ ვუახლოვდებოდი მოსაფერებლად, აპარატურა, რომელზეც ის იყო მიერთებული, მკვეთრ სიგნალს იძლეოდა, რაც პროფესორ **რეზო ლაბაძეს** — ჩემი ბიჭის მკურნალ ექიმს — შეუმჩნეველი არ დარჩენია. სწორედ მან წამიყვანა იმ დროისთვის თბილისში **ჯუნა დავითაშვილის** ფენომენის შესასწავლად ჩამოსულ რუს მეცნიერებთან. ისინი დაინტერესდნენ ჩემით, რადგანაც ძალიან დიდი ბიოველი აღმომაჩნდა და, პრაქტიკულად, მოტყუებით წაგვიყვანეს მე და ჩემი შვილი კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტში. მითხრეს, ბავშვს იქ გადაგირჩენენო, მაგრამ მოგვიანებით მკურნალობის გასაგრძელებლად სხვა კლინიკაში გადაგვიყვანეს. მახსოვს, ძალიან დიდხანს მივდიოდით. მანქანიდან რომ გადმოვედით, უკვე ბნელოდა. შეგვიყვანეს დიდ შენობაში, რომელიც კლინიკას ნამდვილად არ ჰგავდა. მე მესამე სართულზე მომათავსეს, პატარა აპარტამენტში, შოთა კი ბავშვთა პალატაში გადაიყვანეს სხვა სართულზე და მხოლოდ დღეში ერთხელ მაჩვენებდნენ, ისიც ეზოში სეირნობისას. რამდენიმე დღე მატყუებდნენ, მაგ-

რამ მივხვდი, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ამბობდნენ... ასე მოტყუებით ამოვყავი თავი გრუ-ს ერთ-ერთ საწვრთნელ ბაზაზე, რომლის მიწისქვეშა სართულზე იყო კინოდარბაზი, სასადილო, ლაბორატორიები და აუდიტორიები, სადაც მეცადინეობა გვიტარდებოდა.

**— თქვენ გარდა სხვებიც იყვნენ?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ერთმანეთის გაცნობის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მე მხოლოდ ფიოდორთან — ჩემს ხელმძღვანელთან მქონდა კონტაქტი, რომელიც მაიძულებდა, დღედაღამ მესწავლა და მემუშავა. მივხვდი, რომ ყველაზე მეტად აინტერესებდა, როგორ გადალახა ჩემმა ტვინმა ჩვეული ზღვარი, გასცდა ჩარჩოს და განვითარების სხვა საფეხურზე გადავიდა.

**— რაში აინტერესებდა?**

— ეს ინფორმაცია სუპერადამიანთა რასის შესაქმნელად სჭირდებოდათ. აკი, მათ სუპერადამიანთა განყოფილებაც ჰქონდათ. პირველად იქ გავიგე პროექტ **„ბედნიერი სახელმწიფოს“** არსებობაც. **ფიოდორი** მეუბნებოდა — ჩვენ ზესახელმწიფოს შესაქმნელად ვმუშაობთო. მისგანვე შევიტყვე პროექტ **„ბედნიერი მილიარდის“** შესახებ. მეუბნებოდა — პლანეტაზე მხოლოდ ეს ხალხი დარჩებაო.

**— არარეალურად მეჩვენება, დანარჩენ 6 მილიარდ ადამიანს რას უზამენ?**

— ვირუსების არსებობა დაგავიწყდათ? არანაკლებ ძლიერია შიშის ვირუსი, რომელიც ღმერთმა იცის, რას გაგვაკეთებინებს. ყველა ერიდებოდა ხმამაღლა ლაპარაკს „მომავლის იარაღის“ განყოფილებაზე.

**— ასეთი რა იარაღია?**

— ნებისმიერ ბიომასას ანადგურებს, მხოლოდ უსულო საგნები რჩება. საშინელებაა!.. ფსიქიკურად დაავადებულთა განყოფილებაც იყო.

**— გიჟებისგან რაღა უნდოდათ?**

— ვინც იქ ჰყავდათ, პარანოიდული შიზოფრენიით არ იყვნენ დაავადებულები, ისინი მართლა ხედავდნენ...

**— პირადად შეხვედრიხართ?**

— დიახ, ჩემთან დიაგნოზის დასასმელად მოჰყავდათ ხოლმე. ზოგჯერ გირჩისებრი ჯირკვალი, რომელსაც მესამე, სულიერ თვალს უწოდებენ, თავისით აქტიურდება ხოლმე და ადამიანი ხედავს ფიზიკური თვალისთვის უხილავ სულიერ სამყაროს, გარდაცვლილებს, პარალელურ განზომილებებს. ხშირად ფსიქიატრებს ისინიც შიზოფრენიით დაავადებულები ჰგონიათ.

**— რას გასწავლიდათ თქვენი კურატორი?**

— ადამიანის მოძებნას ფოტოსურათით, ბიოველის გარღვევას და აღდგენას, ტვინზე ზემოქმედებას, შეცვლილი ცნობიერების მდგომარეობაში შესვლას.

**— ეს რაღას ნიშნავს?**

**— ნეირო-ვარჯიშებით ტვინში მიმდინარე პროცესები ისე აქტიურდება, რომ მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროები ერთდროულად იწყებენ მუშაობას, რაც ტვინის კოსმოსურ ძალაზე გადართვის საშუალებას იძლევა საჭირო ინფორმაციის ან გარკვეული ცოდნის მისაღებად.**

**„არ ვიცი, როგორ გაგრძელდებოდა ჩემი ცხოვრება, უცხოეთის დაზვერვას რომ არ შეეტყო, საბჭოთა რეზიდენტს კატის თვალები აქვსო... გაშიფრული მზვერავი ჩვენებმა სხვაში გაცვალეს და სამშობლოში დააბრუნეს. სწორედ მან წამოგვიყვანა მე და ჩემი შვილი გრუ-ს საწვრთნელი ბაზიდან, სადაც წელიწადნახევარი ვიყავით!“**



შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული ნაწილის №10003 ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსეი სავინი



**„ზოგჯერ გირჩისებრი ჯირკვალი, რომელსაც მესამე, სულიერ თვალს უწოდებენ, თავისით აქტიურდება ხოლმე და ადამიანი ხედავს ფიზიკური თვალისთვის უხილავ სულიერ სამყაროს, გარდაცვლილებს, პარალელურ განზომილებებს!“**



გლებ ბოკი

**ფიოდორი** რამდენიმე დღით ბნელ ოთახში მკეტავდა წყლისა და საკვების გარეშე. 8 დღის უძინარ და მშიერ-მწყურვალ ადამიანს ზებუნებრივი უნარი უვითარდება, მაგრამ გაფრთხილებთ, ამის გაკეთება განსაკუთრებული მომზადებისა და სპეციალისტთა კონტროლის გარეშე არ შეიძლება, რადგანაც თქვენს ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებთ. მასწავლიდნენ ასევე **ფიზიოგნომიკას** — სურათის მიხედვით ნებისმიერი ადამიანის ხასიათის გამოცნობას მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების აღმოსაჩენად, მასზე დისტანციური ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით, განსაკუთრებით ხელმძღვანელ პირებზე.

**ბიოლოგიური ენერგიის გამოყენებით, შესაძლოა, ადამიანის ტვინზე, მის ცნობიერებაზე ისეთი ზეგავლენის მოხდენა, რომ პიროვნებას შენ მიერ შთაგონებული აზრები თავისად მოეჩვენოს.** თურმე, ამიტომ ფხიზლობდა სტალინი ღამით და გამთენიისას იძინებდა. მას სჯეროდა მაგიის. ღამის უარყოფითი ენერგია ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე და იოლ სამიზნედ აქცევს.

**ფიოდორი** ზოგჯერ დღე და ღამე გადაბმულად მამუშავებდა. მშიოდა, მწყუროდა, ცუდად ვიყავი. თვალს ვახელდი და არ მახსოვდა, რამდენ ხანს ვიმყოფებოდი ამ მდგომარეობაში. ვისწავლე აურისა და ტვინის ფერების დანახვა.

**— ტვინის ფერებში რას გულისხმობთ?**

— ადამიანის ტვინი ასხივებს ტალღებს, რომლებსაც სიხშირის მიხედვით სხვადასხვა ფერი აქვთ.

**— მაგიურ ფსიქოტექნიკებზე რას გვეტყვით?**

— როცა **ფიოდორმა** მაგიაზე დაიწყო საუბარი, თავში საშიში აზრები მომივიდა. ბიბლიოთეკაში ჩამიყვანა და მაჩვენა ძველისძველი წიგნები მაგიაზე. ამიხსნა, როგორ ხდება ადამიანზე ზემოქმედება **ინვოლტით** (თოჯინით), როგორ მუშაობს ჩვენი ტვინის მატრიცა. ამბობდა, ძველი მაგიური ცოდნა თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს შევაჯერეთ და ახალი მეთოდები შევიმუშავეთო. ერთხელ ეზოში სეირნობისას შემაქო — შენს ტვინს მართლაც საოცარი შესაძლებლობები აქვსო. ამ დროს კატა მოგვიახლოვდა და უცებ მეუბნება: ძალები მოიკრიბე და კატას უბრძანე, გაჩერდესო. კატა მართლაც გაქვავდა. ხედავ, გამოგივიდაო, ისევ შემაქო და მითხრა, ახლა გაუშვიო და მასწავლა, ეს როგორ უნდა გამეკეთებინა. ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდით სახლში და **ფიოდორს** ვკითხე — კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიყოთ აქ-მეთქი. რას გააკეთებ, როცა წახვალ, ისე კი, ყველაზე ძალიან რა გინდაო? გულში გავიფიქრე — იმდენს ვიზამ, რომ თავი გაგისკდეს-მეთქი. არადა, ამ დროს თავად ვიგრძენი საშინელი თავის ტკივილი. **ფიოდორი** მომიბრუნდა და მეუბნება: **ამის გაკეთებას არ გირჩევ, ჯერ ისეთი ძლიერიც არა ხარო.**

**— რამდენ ხანს დარჩით გრუ-ს საწვრთნელ ბაზაზე და როგორ მოახერხეთ თბილისში დაბრუნება?**

— წელიწადნახევარი ვიყავით გამოკეტილი მე და **შოთიკო** დაწესებულებაში, სადაც ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. **ფიოდორის** ვინაობა დღემდე არ ვიცი. ბავშვსაც მხოლოდ ეზოში სეირნობის დროს ვნახულობდი. ვერ გეტყვით, როგორ გაგრძელდებოდა ჩემი ცხოვრება, **ევგენი** რომ არ გამოჩენილიყო.

**— ვინ არის ევგენი?**

— ჩემი ბიძაშვილი, საბჭოთა მზვერავი, რომელიც ევროპის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში მუშაობდა. მას ბავშვობიდან ერთი უცნაურობა სჭირდა — სიბრაზის ან ნერვიულობის დროს თვალის შავი, მრგვალი გუგები კატასავით უწვრილდებოდა. იმ ქვეყნის დაზვერვამ, სადაც მუშაობდა, როგორღაც შეიტყო, საბჭოთა რეზიდენტს კატის თვალები აქვსო... მოკლედ, გაშიფრეს. ევგენიზე მოხდა თავდასხმა, დაჭრეს, მაგრამ არ დაუჭერიათ — სსრკ-მა ის უცხოელ მზვერავზე გაცვალა. **ევგენი** რომ არ ჩამოსულიყო, იმ ცოდნის გამო, რაც წელიწადნახევრის განმავლობაში მომცეს, ალბათ, არ გამომიშვებდნენ. მან თავისი კავშირები გამოიყენა და თბილისში ჩამოგვიყვანა.

საერთოდ, წლების განმავლობაში ბევრი რამ იშლება ადამიანის მეხსიერებიდან, მაგრამ ფიოდორის სახე დღემდე დეტალებში მახსოვს... ზოგჯერ მესიზმრება, რომ ისევ მის რომელიმე დავალებას ვასრულებ და ძილში ცუდად ვხდები. შეშინებულს მეღვიძება, სანთლებს ვანთებ და ოთახში დიდხანს დავბორიალებ მძიმე მოგონებებისგან დათრგუნვილი.

## ბოლოთქმა

პროექტი **„ათასი და სამი ღამე“** 2003 წელს გაუქმდა **ვლადიმერ პუტინის** ბრძანებით. ამ ნაწილის ბაზაზე შექმნილი ახალი პროექტის ფარგლებში, რომელსაც **„ფენიქსი“** უწოდეს, 80 ათასი სამხედრო ექსტრასენსი მოამზადეს, 80 ათასი ფსიქოლოგიური ომის მებრძოლი, რომელთა ძირითადი საქმიანობა ექსტრასენსორული დაზვერვა და კონტრდაზვერვა იყო. ისინი პრაქტიკაში იყენებდნენ აზიურ, სამხრეთამერიკულ, ევროპულ, აფრიკულ, ციმბირულ და ტიბეტურ ფსიქოტექნიკებს. შეეძლოთ საგნების დანახვა შორ მანძილზე, მოწინააღმდეგის დაჰიპნოზება, სხვათა აზრების წაკითხვა, აურის დანახვა, უცხო ქვეყნების მედიუმებზე ჯაშუშობა მათი გეგმების გასაგებად, მომავლის დანახვა, საკუთარი ჭრილობების შეხორცება, ტრავმების მკურნალობა, ექსტრემალური სიცივისა და ტკივილის ატანა. კვირაობით მუშაობდნენ უძილოები, იმახსოვრებდნენ დიდი მოცულობის ინფორმაციას, შეეძლოთ მრავალნიშნა რიცხვებით ოპერირება, ტერაქტების თავიდან აცილება და ჯაშუშთა გამოვლენა ნათელხილვის წყალობით. ექსპერტთა აზრით, გენერალ-ლეიტენანტ **ალექსეი სავინის** მეთოდებს, რომლებიც ადამიანში არაორდინარული უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

*ესაუბრა* **ნინო გოძიაშვილი**



# „72-პროცენტიან სარეცხ საპონს ალტერნატივა არ გააჩნია!“

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 43, ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲓᲔᲚᲘᲡᲘ“ (ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ). 593 31 70 34; ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲘ: „ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ ᲓᲐ „ᲚᲐᲖᲘᲙᲐ-ᲤᲐᲠᲛᲐ“**

## კახა საბახტარიშვილი:

# კბილების დასაცავად სოდისა და წყალბადის ზეჟანგის კომბინაცია ერთ-ერთი საუკეთესოა!




***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ მავნებლობისა და საფრთხის შესახებ გვაფრთხილებს, რომელიც ქიმიური წესით დამზადებულ თანამედროვე სარეცხ და საწმენდ საშუალებებს უკავშირდება. იმავე პრობლემებს ვაწყდებით კბილის პასტებშიც:***

— ბოლო დროს მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად იმატა იმ ადამიანთა რიცხვმა, რომლებიც ალერგიითა და კანის სნეულებებით არიან დაავადებული. ეს რიცხვი განსაკუთრებით მატულობს ქალებში. ამ ყველაფრის ძირითად მიზეზად სარეცხი თუ საწმენდი საშუალებების გამოყენება სახელდება. ბევრი დიასახლისი მათ ქაფის სიდიდის მიხედვით არჩევს, რადგან ჰგონია, რომ, რაც მეტი ქაფი აქვს სარეცხ საშუალებას, მით უკეთესია. ეს შესაძლოა, მართლაც ასე იყოს, რადგან მეტი ქაფი ცხიმებსა და არასასურველ ლაქებს უფრო კარგად და სწრაფად აშორებს, მაგრამ მთელი პრობლემა იმაშია, რომ **ქაფი, როგორც წესი, ძალიან საშიში ნივთიერებაა,** მას სარეცხ საშუალებებში ე.წ. **ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები** წარმოქმნის...

**— რას წარმოადგენს ზედაპირულად აქტიური ნივთიერება და რატომ არის ის მავნე?**

— ამ ყველაფრის ასახსნელად შემდეგ მაგალითს მოვიყვან: ყველამ კარგად იცის, რომ ცხიმი წყალში ძნელად ან საერთოდ არ იხსნება. ცხიმიან ხელს მხოლოდ წყლით ვერ დაიბანთ და ვერავითარ შედეგს ვერ მიიღებთ, რადგან წყალი ცხიმს ვერ აშორებს! მდუღარე წყალი ცხიმს შლის, მაგრამ ასეთ წყალს ხელის დასაბანად ვერ გამოვიყენებთ, დაგვწვავს! ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცხიმის მოლეკულა მიეწებოს წყლის მოლეკულას და ამით ცხიმი ზედაპირს მოშორდეს. სწორედ ამ როლს ასრულებს სარეცხ საშუალებებში შემავალი **ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები.** ის ერთი ბოლოთი ემაგრება ცხიმს, ხოლო მეორე ბოლოთი — წყალს და ცხიმი ზედაპირს ადვილად შორდება. პრობლემა იმაშია, რომ დიასახლისების უმეტესობა სარეცხ და საწმენდ საშუალებებს რეზინისგან დამზადებული, წყალგაუმტარი დამცავი ხელთათმანების გარეშე იყენებს. ეს ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათოა... საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანის კანს, ყველაფერთან ერთად, დამცავი ფუნქციაც გააჩნია. ჯანმრთელი კანი ყოველთვის ნამიანია და ცხიმის — ლიპიდების თხელი ფენით არის დაფარული. სწორედ ცხიმის თხელი ფენა იცავს ჩვენს ორგანიზმს ბაქტერიების, მიკრობების, სოკოებისა და ათასობით სხვა მავნე აგენტების შემოსევისგან. **თუ სარეცხი ან საწმენდი საშუალება უშუალოდ ეხება ჩვენს კანს, მაშინ მასში შემავალი ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერებები ჩვენი კანის დამცავ ცხიმოვან ფენას ჩამოშლის, რითიც კანი გამოშრება, დაბერდება და, რაც ყველაზე საშიშია, ბაქტერიების, მიკროორგანიზმებისა და საშიში აგენტებისთვის ადვილად შესაღწევი გახდება.** ამიტომ ჩემი რჩევაა, ჭურჭელი აუცილებლად რეზინის ხელთათმანებით გავრეცხოთ!

**— მერედა ამ გზით დაცული ვიქნებით?**

— ამ გზითაც არ ვიქნებით დაცული, რადგან ჭურჭლისა თუ ტანსაცმლის გარეცხვის შემდეგ, თუ ისინი სუფთა წყალში ხანგრძლივად არ არის გავლებული, **ზედაპირულად აქტიური ქიმიური ნივთიერება** ჭურჭელსა და ტანსაცმელზე მაინც რჩება, რის შემდეგ ორგანიზმშიც მოხვდება. ეს საშიში ქიმიური ნივთიერება ილექება ღვიძლში, ტვინში, ცხიმოვან ქსოვილში და ანადგურებს მთელ ორგანიზმს. ქაფის გამომწვევმა **ზედაპირულად აქტიურმა ნივთიერებამ** შესაძლოა, მამაკაცი უშვილო გახადოს! გარეცხილი ტანსაცმელი ისე კარგად უნდა გავავლოთ სუფთა წყალში, რომ სარეცხი საშუალების სუნი არ ასდიოდეს!



# „ჭურჭელი აუცილებლად რეზინის ხელთათმანებით გავრეცხოთ!“

გვახსოვდეს: როცა სარეცხი საშუალების ქაფი კანის ზედაპირს მოხვდება, დამცავი ცხიმოვანი ფენის აღდგენას ორი-სამი დღე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში კანი ბაქტერიებისა და მავნე მიკრობების ზემოქმედებისგან დაუცველია!

ვაფრთხილებ დიასახლისებს: არასოდეს იყიდოთ ისეთი სარეცხი და საწმენდი საშუალება, რომელშიც **ზედაპირულად აქტიური ნივთიერების** შემცველობა 5 პროცენტს აღემატება! რატომღაც მიჩნეულია, რომ სარეცხ და საწმენდ საშუალებებში შემავალი ამ საშიში ნივთიერების კონცენტრაცია 30 პროცენტამდეც დასაშვებია, რაც სრული სიგიჟეა! ასეთმა სითხემ ან ფხვნილმა შესაძლოა, ძლიერი ინტოქსიკაცია გამოიწვიოს!

**— ძველ საქართველოში ჭურჭელს დიასახლისები რით რეცხავდნენ?**

— ძველად ჭურჭლის სახეხ და საწმენდ უნიკალურ საშუალებად მიჩნეული იყო **კომბოსტოს ფოთლები, რომელსაც ხის ნაცარს ურევდნენ.** ჩაიდნის ან ქვაბის გაშავებული შიდა კედლების გასათეთრებლად ჭურჭელში ვაშლის კანს ხარშავდნენ, ხოლო ობის მოსასპობად საუკეთესო საშუალება იყო და არის ძმარი! თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ 72-პროცენტიან სარეცხ საპონს ალტერნატივა არ გააჩნია! მის შემადგენლობაში შედის ცხოველური ცხიმი, თეთრი თიხა, ანუ კაოლინი და **კაუსტიკური სოდა.** ყოველ მათგანს სამკურნალო თვისება და მოქმედება აქვს. განსაკუთრებით გამოვარჩევ კაუსტიკურ სოდას, რომელიც აბსოლუტურად ყველა ბაქტერიას სპობს. სწორედ ამიტომაა, რომ ძაღლის ან კატის ნაკბენის დროსაც კი ჭრილობა 72-პროცენტიანი სარეცხი საპნით უნდა ჩამოვიბანოთ. ამის შემდეგ ჭრილობას უნდა დავასხათ წყალბადის ზეჟანგი, ანუ ე.წ. „პერეკისი“. **ძაღლისა და კატის მიერ მიყენებული ჭრილობის სპირტით ან იოდით დამუშავება დაუშვებელია, რადგან სპირტიც და იოდიც ბაქტერიებს კი არ კლავს, არამედ აფიქსირებს.** წყალბადის ზეჟანგი და სოდა კი ბაქტერიებსა და ვირუსებს კლავს!

გრიპის დროს 72-პროცენტიანი სარეცხი საპნის ქაფში ბამბის ტამპონებს თუ დავასველებთ და ცხვირის ნესტოებში ნახევარი საათით მაინც გავაჩერებთ, გრიპი დამარცხდება. ეს პროცედურა დღეში სამჯერ უნდა გავიმეოროთ და ტამპონები გამოვცვალოთ!

## კვირგვინოსნები

**ბუდუ ზივზივაძე**
*საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ნაკრების წევრი*



საქართველო **დიდ ტურნირებზე** მომავალშიც ითამაშებს.

„ახალი თაობა“

**გია ჯაჯანიძე**
*ტელეწამყვანი*



**ზოგჯერ ისეთი ჩაცმული ვარ,** გვერდიდან რომ ვუყურებ თავს, ვფიქრობ: **„დედა, ეს ადამიანია? ცოტა ვერ არის კარგად“.**

„სარკე“

**მანანა თოდუა**
*მომღერალი*



მესმის, რომ **ძვირადღირებული კრემის** შეძენას ბევრი ქალი ვერ ახერხებს, მაგრამ არის გამოსავალი — **საბავშვო ზეთი.** მე ხშირად ვისვამ სველ ტანზე, შემდეგ პირსახოცით ვიმშრალებ და **სხეული ჩვილის კანივით ნაზი ხდება.**

„სარკე“

**მარიამ შარმანაშვილი**
*სოფი ლორენის ვაჟის კარლო პონტის მეუღლე*



ეს მოხდა რომში, როდესაც სასტუმროს ნომერში ვიყავით მარტო. **კარლო** მუხლზე დადგა და **მთხოვა ხელი.** შემდეგ ისურვა მამაჩემთან დარეკვა, რომ ახლა უკვე **მისთვის ეთხოვა ხელი,** თანაც ქართულ ენაზე. მამაჩემის გული დიდი ხანია, მოიგო. **სოფი ლორენმა დაგვლოცა, პირჯვარი გარდაგვსახა და ბედნიერება გვისურვა.**

„სარკე“

**გია მირზაშვილი**
*მხატვარი*



მინდა, ჩვენ **დამოუკიდებლები ვიყოთ,** რასაც ჰქვია **მართლა დამოუკიდებლები,** მაგრამ შეგვწევს კი ამის უნარი?!

„კვირის პალიტრა“

# „ვაფრთხილებ დიასახლისებს:

## არასოდეს იყიდოთ ისეთი სარეცხი და საწმენდი საშუალება, რომელშიც ზედაპირულად აქტიური ნივთიერების შემცველობა 5 პროცენტს აღემატება!“



ქალბატონებისთვის ვაგინალური სოკოვანი ანთების დროს 72-პროცენტიანი სარეცხი საპნის გამოყენება ნელთბილ წყალთან ერთად იდეალურია. სარეცხი საპნისგან დამზადებული სანთლები გამოიყენება შეკრულობისა და ბუასილის დროსაც. **ჩემი რჩევაა: თავი დავანებოთ ფართოდ რეკლამირებულ, ძვირადღირებულ სურნელოვან საპნებსა და სარეცხ საშუალებებს და 72-პროცენტიანი საპნით გავრეცხოთ და ვიბანაოთ!** დიასახლისებს ვთავაზობ ყველაზე ბუნებრივი, უწყინარი, ანტიალერგიული და, რაც მთავარია, ძალიან ეფექტური სარეცხი და საწმენდი საშუალების მომზადების წესს: *ავიღოთ 200 გრამი 72-პროცენტიანი სარეცხი საპონი, გავხეხოთ სახეხით, დავასხათ ნახევარი ლიტრი ცხელი წყალი, ე.წ. მიქსერში კარგად ავდღვიბოთ, დავუმატოთ 2-3 სუფრის კოვზი მდოგვი, 300 გრამი სოდა, 2-3 სუფრის კოვზი დაფქული ყავა, 3 სუფრის კოვზი გლიცერინი და არომატის მისაცემად დავაწვეთოთ მანდარინის, ფორთოხლის ან მიხაკის 5 წვეთი ეთერზეთი. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უნდა ავთქვიფოთ და მივიღებთ უნიკალურ ბუნებრივ სარეცხ და საწმენდ საშუალებას!*

**— სარეცხ მანქანაში ტანსაცმელი რით უნდა გავრეცხოთ?**

— სარეცხ მანქანაში უნდა გამოვიყენოთ ისეთი საშუალება, რომლის **ზედაპირულად აქტიური ნივთიერება** ბუნებრივ კომპონენტებზე იქნება დამზადებული. ასეთი სარეცხი საშუალებები, როგორც წესი, ძვირია, მაგრამ არსებობს!

**— ძვირადღირებული და სურნელოვანი კბილის პასტები რამდენად უსაფრთხოა?**

— ხელოვნურად დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ფტორიანი კბილის პასტა კარიესისგან გვიცავს. ფტორი მართლაც ძლიერი ანტისეპტიკია და კარიესის გამომწვევ მავნე ბაქტერიებს ანადგურებს, მაგრამ ამავდროულად არც იმ სასარგებლო ბაქტერიებს ინდობს, რომლებიც პირის ღრუს სიჯანსაღეს განაპირობებს. ფტორის ჭარბმა მოხმარებამ შესაძლოა, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს და კბილის ემალზე თეთრი ლაქები გაჩნდეს, რაც კბილს გამაგრების ნაცვლად ასუსტებს. ბავშვების 40-60 პროცენტს სწორედ ფტოროზი აქვს. გარდა ამისა, კარგად გავარკვიოთ, ხომ არ შედის კბილის პასტაში **პროპილენ გლიკოლი,** რომელიც ანტიფრიზის შემადგენელი ნაწილიცაა. იგი დიოქსანად გარდაიქმნება და კიბოს იწვევს! ძალიან ბევრი კბილის პასტა შეიცავს ამერიკასა და ევროკავშირში აკრძალულ **ტრიკლოზანს,** რომელიც ენდოკრინულ სისტემაზე დამანგრევლად მოქმედებს და უშვილობასაც კი იწვევს! ცნობისათვის, **ტრიკლოზანი** მასობრივად ანადგურებს სასარგებლო ბაქტერიებს, მათ შორის, პირის ღრუშიც.

**— მაშ, რა ვქნათ, კბილები რით გავიხეხოთ?**

— ბევრმა არ იცის, რომ სანერწყვე ჯირკვლებში გამომუშავდება ნერწყვი, რომელიც ბუნებრივად შეიცავს **სოდას,** რომელიც ნებისმიერ მავნე ბაქტერიას ანადგურებს. აქედან გამომდინარე, **რატომ უნდა დავინგრიოთ ორგანიზმი მავნე ნივთიერებების შემცველი კბილის პასტებით, როცა ხელთა გვაქვს საჭმელი სოდა?**

ორგანიზმი წყალბადის ზეჟანგსაც გამოიმუშავებს. ამდენად, **კბილების დასაცავად სოდისა და წყალბადის ზეჟანგის კომბინაცია ერთ-ერთი საუკეთესოა!** გთავაზობთ უვნებელი და ბუნებრივი კბილის პასტის დამზადების რეცეპტს: *100 გრამ თბილ წყალს დავუმატოთ ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა და კარგად მოვურიოთ, რათა სოდა წყალში სრულად გაიხსნას. მიღებულ ხსნარს დავამატოთ ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი წყალბადის 3-პროცენტიანი ზეჟანგი, ანუ ე.წ. „პერეკისი“. არომატისათვის შესაძლოა, გამოვიყენოთ მცირე ოდენობით* ***კურკუმა*** *ან სამი წვეთი* ***მიხაკის ზეთი.*** *იმისათვის, რომ მიღებულმა მასამ პასტის მსგავსი კონსისტენცია შეიძინოს, შეგვიძლია, ამ ყველაფერს დავუმატოთ ერთი სუფრის კოვზი* ***თაფლიც.*** *ბევრმა არ იცის, რომ C ვიტამინი ორგანიზმში წყალბადის ზეჟანგადაც გარდაიქმნება. ამიტომ კბილის სახეხ ზემოთ ხსენებულ რეცეპტურაში ერთ მეოთხედ სუფრის კოვზ ლიმონის წვენსაც თუ გამოვიყენებთ, ოჯახურ პირობებში ბუნებრივ საშუალებებზე დამზადებულ იდეალურ კბილის პასტას მივიღებთ!*

**— რატომ არ ხდება ამ ყველაფრის პროპაგანდა და რატომ უმალავენ ხალხს ამ სიმართლეს?**

— თავად განსაჯეთ, მხოლოდ **ამერიკის შეერთებულ შტატებში** ერთი წლის განმავლობაში **53 მილიონი ლიტრი კბილის პასტა მოიხმარება.** ეს ასტრონომიული თანხა და უზარმაზარი ბიზნესია. ცხადია, ამოდენა ბიზნესის ჩაფლავება და მისი იაფფასიანი, ბუნებრივი საშუალებებით ჩანაცვლება არავის სურს. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ხალხს სიმართლეს უმალავენ!

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

## საეკლესიო კალენდარი



**✝ 7 ოქტომბერი. ორშაბათი. დედათა შორის პირველმოწამისა, მოციქულთა სწორისა თეკლასი;** ღირსისა კოპრესი; წმიდისა ვლადისლავ სერბელისა.

**✝ 8 ოქტომბერი. სამშაბათი. არსენი დიდისა, კათალიკოსისა;** ღირსთა ეფროსინესი და მამისა მისისა პაფნუტისა, ალექსანდრიელთა; ღირსმოწამისა პაფნოტი მეგვიპტელისა და მისთანა 546-თა მოწამეთა; მიცვალება ღირსისა სერგისა, რადონეჟელი იღუმენისა, სასწაულმოქმედისა.

**✝ 9 ოქტომბერი. ოთხშაბათი.** მიცვალება წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა; **დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა, რომელიც საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან ჩამოაბრძანეს.** ტიხონისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

**✝ 10 ოქტომბერი. ხუთშაბათი.** მოწამისა კალისტრატესი და მისთანა წამებულთა გიმნასისისა და სხვათა; მოციქულთა: მარკოზისა, არისტარქესი და ზინასი, 70-თაგანთა; მოწამისა ეპიქარიასი; ღირსისა ეგნატე იღუმენისა.



**8 ოქტომბერი - ხსენება მღვდელმთავრისა არსენი დიდისა, კათალიკოსისა**

**✝ 11 ოქტომბერი. პარასკევი. დღესასწაული ქუთაისის ყოვლადწმიდა ღვითმშობლის სასწაულმოქმედი ხატისა.** ღირსისა ხარიტონ აღმსარებელისა; წინასწარმეტყველისა ბარუქისა; მოწამეთა: ალექსანდრესი, ალფესისა, ზოსიმესი, მარკოზ მწყემსისა, ნიკონისა, ნეონისა, ილიოდორესი და სხვათა; კრება ღირსთა მამათა, კიევის ახლო მღვიმეში დავანებულთა.

**✝ 12 ოქტომბერი. შაბათი. ღირსისა ონოფრე გარეჯელისა, სასწაულმოქმედისა;** ღირსისა კვირიაკოზ განშორებულისა; მოწამეთა: დადასი, სპარსთა მეფის შაბურის ძისა, გავედაისი და დისა მისისა კაზდოიასი; ღირსისა თეოფანე მოწყალისა.

**✝ 13 ოქტომბერი. კვირა. მღდელმოწამისა გრიგოლ დიდისა, ეპისკოპოსისა, სომეხთა განმანათლებელისა;** მოწამეთა: რიფსიმესი, გაიანესი და მათთანა წამებულთა წმიდათა ქალწულთა; მიხეილისა, კიევის პირველი მიტროპოლიტისა; მელეტისა, ალექსანდრიელი პატრიარქისა.



**თარაზულად:** 3. ხმელეთის სმერჩის სახელწოდება აშშ-ში; 9. კუდიანი ვარსკვლავი; 10. კეთრი; 11. უნგრელი მოჭადრაკე ქალი; 12. მაგნიტის ორი ბოლოდან ერთ-ერთი; 13. ერთგვარი სახეებიანი ქაღალდი; 14. პალტოს ან კაბის ერთგვარი ფასონი; 15. თმის გადანერგვის კლინიკა; 18. ნესტიანი; 19. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 22. რისამე მარაგი; 23. წყლის დიდი სათავსი; 24. სხვადასხვა ხარისხის ნიშანი, რომლითაც აჯილდოებენ დამსახურებისათვის.

**შვეულად:** 1. კულაკი; 2. ნახევრად მაიმუნი; 3. ტროპიკული ტყეების კენტჩლიქიანი ცხოველი; 4. სარწმუნოება (ზოგად.); 5. ბანდის მეთაური; 6. მოყვითალო მწვანე მინერალი; 7. სუსტი სპირტიანი სასმელი; 8. დიდი ბრიტანეთის ნაწილის უძველესი სახელი; 15. ნაცრისფერი რბილი ქვა; 16. დომბა, ცხენირემი; 17. ნული ქულა რულეტზე; 19. მწერალი ... მღვიმელი; 20. რატომ; 21. გერმანული გვარების თავსართი.

**კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 3. ტორნადო; 9. კომეტა; 10. ლეპრა; 11. პოლგარი; 12. პოლუსი; 13. ვერჟე; 14. რეგლანი; 15. თალიზი; 18. ნოტიო; 19. შარიფი; 22. რესურსი; 23. ავზი; 24. ორდენი.

შვეულად: 1. ბობოლა. 2. ლემური; 3. ტაპირი; 4. რელიგია; 5. ატამანი; 6. ოლივინი; 7. აპერიტივი; 8. კალედონია; 15. თირი; 16. ლოსი; 17. ზერო; 19. შიო; 20. რად; 21. ფონ.

## კვირგვინოსნები

**ბასა ფოცხიშვილი**, *რეჟისორი*



როდესაც **მორისი** გარდაიცვალა და ჩვენი უწმინდესის კურთხევით სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში უნდა დაეკრძალათ, დაკრძალვამდე **დედას უთხრეს, რომ მეუღლის გვერდით ვერ დაკრძალებოდა.** დედამ უპასუხა — **მიწაში სად ვიწვები, რა მნიშვნელობა აქვს, ზეცაში ხომ მაინც ერთად ვიქნებით.**

„კვირის პალიტრა“

**ანი შენგელია**, *მოდელი*



შეყვარებული ვარ. **როდესაც ის პირველად დავინახე, ჟრუანტელმა დამიარა,** ისე აშკარად [illegible], მისთვისაც გასაგები იყო, რომ მომწონდა. **მე თვითონ ავუხსენი სიყვარული.** ძალიან ეჭვიანი ვარ. **გოგომ რომ გამარჯობა უთხრას და მან ზრდილობის გამო დაუბრუნოს პასუხი, ამაზეც ვბრაზდები** და ნახევარი საათი აღარ ველაპარაკები.

„თბილისელები“

**კოლე როისიშვილი**, *მსახიობი*



**ვინმეს რომ შევუქივარ,** ისე უხერხულად მიგრძნია თავი, რომ არაფერი დამმახსოვრებია, **ცუდი კარგად მამახსოვრდება.**

„თბილისელები“

**კახა ცაბაძე**, *გოგი ცაბაძის შვილი*



ერთხელ მკითხეს — **ბატონო გოგი რომ არ ყოფილიყო, ქართული ესტრადა როგორი იქნებოდაო...** ვუპასუხე — **გამოაკელით გოგი ცაბაძე და რაც დარჩება, ის იქნებაო-მეთქი.**

„სარკე“

**ლანა ღოღობერიძე**, *რეჟისორი*



**დღეს აბსოლუტური თავისუფლებაა.** ზედმეტია ლაპარაკი, ვინმე ჩაერიოს ფილმის გადაღებაში. მეორე მხრივ კი, **ბევრად ნაკლებია ფინანსური შესაძლებლობები.**

„კვირის პალიტრა“



# მიხეილ ცაგარელი:

# „შუა ცა“ ჩვენს პირად ჰოროსკოპში

*— პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ რომელ ზოდიაქოში განლაგებისას ძალუძს ადამიანს სხვების თავის მხარეს გადმობირება და მათგან დახმარების მიღება? რა შემთხვევაშია ადამიანი სულით ძლიერი, ჯიუტი, ჭკვიანი, რომლის ძლევა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება ანდა ვის აკრავს მშფოთვარე აურა და შეუძლია ნებისმიერი სირთულე გადალახოს, რათა თავის იდეებს ხორცი შეასხას? ვინ არის ნოვატორი, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საყოველთაო ბედნიერება და წესრიგი? პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ რომელ ზოდიაქოში განლაგება განაპირობებს ადამიანის ემოციურობასა და გაზრდილ მგრძნობელობას? ვის აქვს უნარი, ცხოველთა ენა გაიგოს, ესაუბროს და გაწვრთნას ანდა ვის რომელ სფეროში ელოდება წარმატება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ, ზოგადად, რა ზეგავლენას ახდენს პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ სხვადასხვა ზოდიაქოში განლაგება ადამიანის ნიჭზე, მოწოდებაზე თუ მიზანსწრაფვაზე. ამგვარად რისი ინტერესი და უნარი გააჩნია იმას, ვის ჰოროსკოპშიც „შუა ცა“ თხის რქის ზოდიაქოშია?**

— **10. პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში განლაგებისას ადამიანმა კარგად იცის, თუ როგორ მიიქციოს ყურადღება, თანამოსაუბრე როგორ დაარწმუნოს, გადმოიბიროს და მისი მხარდაჭერა მიიღოს.** ამგვარ ადამიანს დაბადებიდანვე ახასიათებს ძლიერი მიზანსწრაფვა და ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეუძლია დასახული გეგმით იმოქმედოს, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **თხის რქა** მიწის სტიქიის ნიშანია, ამიტომ **ამგვარი მახასიათებლების ადამიანი მშვენიერ კარიერას იკეთებს უძრავ ქონებასთან, კვების მრეწველობასთან თუ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ დარგებში.** ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადამიანისთვის მეტად მნიშვნელოვანია კეთილდღეობა და კარიერული აღმასვლა. ამასთან იგი ჯიუტი, სულით ძლიერი და ჭკვიანია, ამიტომ მისი დაძლევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. **მას წარმატება ელის ისეთ სფეროში, როგორიცაა სამხედრო საქმე, გეოდეზია, სოციოლოგია, სხვადასხვა სახის წარმოება, საბანკო საქმე. იგი კარგი ხელმძღვანელი, დირექტორი, ბანკირია.** სახელოვნებო დარგებიდან ყველაზე უფრო მიესადაგება ძერწვას, ქანდაკებას, ქვასთან მუშაობას. ამიტომაც ხშირად შეხვდებით ამ მახასიათებლების მქონე სკულპტორებს.

**11. პირად ჰოროსკოპში „შცა ცის“ მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში განლაგების შემთხვევაში, ადამიანს გარს აკრავს მშფოთვარე აურა. იგი მზადაა, ნებისმიერი სირთულე გადალახოს, რათა ხორცი შეასხას თავის იდეას. ამგვარი ადამიანი ნოვატორია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია საყოველთაო ბედნიერება და წესრიგი.** როგორც წესი, იგი გამოირჩევა ძლიერი გონებით, ცოდნით, ორიგინალურობით და უჩვეულო სტილის აზრებით. ამავდროულად მის გლობალურ მიზანს წარმოადგენს მთელი სამყაროს შეცვლა. მისი პროფესია უკავშირდება **უახლეს ტექნოლოგიებს, მეცნიერებას, კვლევებს და ისეთ დარგებს, როგორიც არის ასტრონომია, კოსმონავტიკა, კოსმოსური ხომალდის შენება, კიბერნეტიკა, ასტროლოგია, რობოტოტექნიკა, კომპიუტერული სისტემა, ინფორმატიკა, საგამომგონებლო სფერო, თეატრი** და სხვანი. სამედიცინო დარგებიდან **ქირურგია და სტომატოლოგია**. ბევრი მათგანი წარმატებას **ბლოგერობით** აღწევს. გარდა ამისა, ამგვარი ადამიანი **სიღრმისეულად შეიგრძნობს მოდასა და სტილს,** ამიტომაც ხშირად შეხვდებით ამ ადამიანთა შორის **განთქმულ მოდელიერებს, სტილისტებს და მოდელებს.**

**12. პირად ჰოროსკოპში „შუა ცის“ თევზების ზოდიაქოს ნიშანში განლაგება კი განაპირობებს ამ ადამიანის ემოციურობასა და გაზრდილ მგრძნობელობას**, ამიტომ კარიერა და წარმატება ელის ხელოვნების სხვადასხვა დარგებსა (მუსიკაში, კინომატოგრაფიაში, ქორეოგრაფიაში) და მწერლობაში. ამგვარ ადამიანებს ცხოველები ძალიან უყვართ და აქვთ უნარი, მათი ენა ესმოდეთ, ესაუბრონ და გაწვრთნან. გარდა ამისა, **წარმატება ელის ისეთ სფეროებში, რომელიც სითხეს, ზღვას, ზოგადად, წყალს უკავშირდება.** შესაბამისად, სასიკეთოა ისეთი დარგები, როგორიც არის ოკეანოლოგია, ქიმია, საზღვაო არქეოლოგია, მეზღვაურის პროფესია და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემოქმედებითი ნატურიდან გამომდინარე, ამგვარ ადამიანს ნაკლებად აქვს დიდი კარიერისა და წარმატების მიღწევის სურვილი. მითუმეტეს, არ სურს ამისათვის დიდძალი ენერგიისა და დროის ხარჯვა. მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია შინაგანი სიმშვიდე და იდილია, ამიტომ ურჩევნია, დინებას მიჰყვეს. მიუხედავად ამისა, **იგი ნიჭიერი და შრომისუნარიანია, ამიტომ წარმატება ელოდება ისეთ დარგებში, როგორიცაა სოციალური სფერო, დაზვერვა, სამძებრო სამსახური, მედიცინა, არატრადიციული მედიცინა, ფოტოგრაფია, ნარკოლოგია, მსახიობობა, სასტუმროსა და ღამის კლუბის ბიზნესი, ოკულტიზმი, დიზაინი, მასაჟისტისა და ტანსაცმლის მკერავის პროფესია.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 7 – 13 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ამ პერიოდში არაა რეკომენდებული რისკი და ფინანსური ოპერაციების ჩატარება. მოერიდეთ ფულის მეგობრებთან ერთად საქმეში დაბანდებას, რადგან არსებობს მოტყუების ან რაიმე კატაკლიზმების შედეგად მათი დაკარგვის ალბათობა. ორაზროვანი სიტუაციიდან რთული იქნება თავის დაღწევა. მოერიდეთ ძველ მეგობრებთან ან პარტნიორებთან კავშირის გაწყვეტას, რათა შემდგომ არ ინანოთ. დაძაბულობა შეიძლება გახდეს ავადმყოფობის მიზეზი. მოგზაურობა არაა მიზანშეწონილი.

**კურო** (21.04-20.05)
სამსახურის გამოცვლის სურვილი ჯობს, დროებით დაიოკოთ, რადგან შემოთავაზებები რეალური არ აღმოჩნდება. ნუ გექნებათ ფარული საქმეებისა და საიდუმლო მფარველების დახმარების იმედიც. საეჭვო საქმიანობამ შესაძლოა, გაგიფუჭოთ რეპუტაცია. დაეხმარეთ ახლობლებს და აღადგინეთ ურთიერთობები. ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ საშუამავლო საქმიანობით ან მეგობრებისა და ნათესავების დახმარების მეშვეობით. შესაძლოა, დაფიქრდეთ დიდ შენაძენზეც.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ახლობლებთან ურთიერთობა სასიამოვნო და სახალისო იქნება. ახალი ნაცნობები კი მომავალში დიდ დახმარებას გაგიწევენ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გაგიჭირდებათ მიზნებისა და გეგმების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ამიტომ ეს დრო გამოიყენეთ დამატებითი ცოდნის მისაღებად. ეცადეთ, შეამციროთ მოვალეობები და ნაკლები პასუხისმგებლობა აიღოთ საკუთარ თავზე. ამ შემთხვევაში მეტი დრო დაგრჩებათ პირადი ცხოვრებისა და დასვენებისთვის. გაიზრდება გადაადგილებებისა და ახლო მოგზაურობების რაოდენობაც.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
უკეთ გაერკვიეთ არსებულ მოვლენებში, რათა თავი დააღწიოთ გაუგებრობებს. კოლეგებთან ფრთხილად იყავით, რათა არ მოგატყუონ ან არ მოგაწოდონ ცრუ ინფორმაცია. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ, რათა არაფერი შეგეშალოთ. თავისუფლების მოთხოვნილება გიბიძგებთ სასიყვარულო ან საქორწინო კავშირის გაწყვეტისკენ, თუმცა, მარტოობის შიშმა შესაძლოა, შეგანარჩუნებინოთ ურთიერთობა. მოერიდეთ შორეულ მოგზაურობებს, რადგან ხიფათის ალბათობა მაღალია.

**ლომი** (23.07-23.08)
ოჯახის წევრები და გულის სწორი ყოველმხრივ გაგიწევენ დახმარებას ბიზნესსა და პირად საქმიანობაში, თუმცა, თქვენი ყურადღება სახლისა და ოჯახის პრობლემებისკენ იქნება მიმართული. მოსალოდნელია დამატებითი სამუშაოს ან ახალი ბიზნესის დაწყებაც, რაც სრულიად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. მოიმატებს ცნობისმოყვარეობა, მჭერმეტყველება და რომანტიკულობა. მზად იქნებით თავგადასავლებისა და ნაცნობობისთვის. ამიტომ დადებითად ჩაივლის მოგზაურობაც.

**ქალწული** (24.08-23.09)
საქმეებში შეფერხებები დაუკავშირდება დაგვიანებებს, შეცდომებსა და გაუგებრობებს, საბუთების დაკარგვასა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოყენებას. პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარების უნარზე იქნება დამოკიდებული პროფესიონალური საქმიანობის წარმატება. გაიზრდება შეხვედრებისა და მოლაპარაკებების რაოდენობა, მათ შორის დამსაქმებლებთან, მაღალი თანამდებობის და ავტორიტეტულ ადამიანებთან. რომანტიკულ ურთიერთობებს ნუ გააბამთ უცნობებთან.

## 7 – 13 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
კარგი დროა კონტრაქტების დასადებად, მათ შორის ქორწინებისთვის. გაიზრდება თქვენი რისკისა და ავანტიურებისადმი ლტოლვა. ბედი გაგიღიმებთ საბანკო საქმესა და კომერციაში. წარმატებას მოგიტანთ შემოქმედებითი საქმიანობა. გაიზრდება შემოსავალიც, თუმცა, ამისათვის შესაძლოა, მოგიწიოთ სამუშაო პირობების შეცვლა. მოერიდეთ სპონტანურ სასიყვარულო კავშირებს, რადგან ამას შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემები მოჰყვეს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მიუხედავად დაღლილობისა და მელანქოლიური განწყობისა, ბოროტად არ გამოიყენოთ ძალაუფლება და არ დახარჯოთ სამუშაო დრო გართობასა და პირად ინტერესებზე. იმპულსური და გაუაზრებელი ქცევები მომავალში ნეგატიურად აისახება თქვენს კარიერასა და მთლიანად ცხოვრებაზე. მიუხედავად დაბალი სასიცოცხლო ტონუსისა, თქვენ არაერთ პრობლემას მოაგვარებთ, თუმცა, აუცილებელი იქნება ხშირად დასვენება და ძალების აღდგენა. მოგზაურობა კი წარმატების მომტანი არ იქნება.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
საქმეების წარმატება დამოკიდებული იქნება გარემოებებზე. მგრძნობიარე იქნებით კრიტიკისა და საყვედურების მიმართ, რისგანაც დაგიცავთ პერიოდული განმარტოება. ზედმეტად პედანტური ნუ იქნებით წვრილმანების მიმართ, რათა არავინ გაალიზიანოთ. ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას სასიყვარულო ან მეგობრულ ურთიერთობებში და ნურავისთან იქნებით უხეში. სიფრთხილე გამოიჩინეთ გზებზე მოძრაობისას, რადგან მაღალია ტრავმების მიღების ალბათობა.

**თხის რქა** (22.12-19.01)
შესაძლოა, საქმიანმა პარტნიორებმა ან მეუღლემ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინონ თქვენსა და სხვა ადამიანებთან ფინანსური ურთიერთობის მიმართ, რაც დაუკავშირდება ნდობის შემცირებას. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ მათ რჩევებს, რადგან ფინანსურ საკითხებში დამოუკიდებლად მოქმედებისას შეიძლება დაუშვათ შეცდომები. პირად ცხოვრებაში მოუწერისგებელი ურთიერთობა თქვენი განწყობის ცვალებადობის მიზეზი გახდება. სიფრთხილე გმართებთ შორეული მოგზაურობისას.

**მერწყული** (20.01-18.02)
მოგიწევთ ფიქრი, როგორც სამსახურსა და საქმეებზე, ასევე სახლსა და პირად ჯანმრთელობაზეც. კოლეგებთან კორექტული იყავით, რათა არ გახდეთ ინტრიგებისა და ჭორების მსხვერპლი. ორგანიზმს ნუ გადაიღლით. თუ სამუშაო ამის საშუალებას მოგცემთ, კარგი იქნება დასასვენებლად გამგზავრებაც, მაგრამ ზედმეტად ბევრი ფულის უყაირათოდ ხარჯვას ერიდეთ. საყვარელ ადამიანთან ხშირად და ბევრი იკონტაქტეთ, გაცვალეთ ინფორმაცია და დაიმუხტეთ დადებითად.

**თევზები** (19.02-20.03)
ენერგიის ნაკლებობა შეასუსტებს თქვენს აქტიურობას. სამსახურში გაგიჭირდებათ სწრაფად მოქმედება და გადაწყვეტილებების მიღება. მოქმედების ტაქტიკისა და სტილის შეცვლისას შესაძლოა, მფარველები შეიძინოთ. თუმცა, ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო შესაძლოა, ძალად არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდეთ. ბევრ ძალისხმევას მოითხოვს სახლის საქმეები. მოგზაურობა და მივლინებები გაზრდის თქვენს შესაძლებლობებს და მოგიტანთ კარგ შემოსავალს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 7, 10 და 11 ოქტომბერი

**2 ოქტომბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 22.51 საათზე;**
**მზის დაბნელება, პიკი – 22.45 საათზე;**
**17 ოქტომბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 16.48 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 7 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.05 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.22) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 10.41 საათზე, ჩადის 19.33 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 13.42 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.53 საათიდან 03.35 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ეცადეთ, საკამათო საკითხი დროულად გადაწყვიტოთ, რადგან პარტნიორთა შორის კონფლიქტების პერიოდი ახლოვდება. დღეს და ხვალ პროვოკაციებს მოერიდეთ. კონტაქტებზე უარს ნუ იტყვით, მაგრამ ალკოჰოლი არ მიიღოთ. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, იურიდიული საქმიანობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, თანამშრომლობისთვის, ფილტვების, ბრონქების, ხელების მკურნალობისთვის. არ არის სასურველი სარკაზმი, პირდაპირობა, ქორწინება, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი, ლალი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 8 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 11.45 საათზე, ჩადის 20.16 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 15.00 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ფინანსური საკითხის გადაწყვეტისას აუცილებლად გაითვალისწინეთ პარტნიორის ინტერესი. კარგი დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და შეჯიბრებებისთვის, პრეზენტაციებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ფილტვებისა და ხელების სამკურნალოდ, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, იურიდიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი სისხლის გადასხმა, მშენებლობა, სარკასტულობა, ალკოჰოლის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაღვლის ბუშტი, ღვიძლი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლალი, ლაზურიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 9 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 17.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.24) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 12.45 საათზე, ჩადის 21.09 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 16.09 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 09.55 საათიდან 13.39 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან გამარჯვებისა და წარმატების მმართველი პლანეტა **იუპიტერი** რეტროგრადული ხდება **ტყუპის** ზოდიაქოში მოძრაობისას, რაც დაგვაბრუნებს ძველ პედაგოგთან თუ მკურნალთან, ძველ მეთოდებსა და კანონებთან, პარტნიორულ თანამშრომლობასთან, ძველ უცხოელ მეგობარ-პარტნიორებთან. დღეს სასიკეთოა მეტი მოძრაობა, მასაჟი, მოერიდეთ სარკასტულობას და სიტყვები გააკონტროლეთ. კარგი დღეა (I ნახევარში) მგზავრობისთვის, სპორტული შეჯიბრებებისთვის, იურიდიული საქმიანობისთვის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავის, მკერდის სამკურნალოდ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ფირუზი, ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 10 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.08 საათზე, ჩადის 17.27 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 13.38 საათზე, ჩადის 22.13 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 16.53 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 22.56 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგია ვალის დაბრუნება და ძველი გეგმავალდებულებისაგან გათავისუფლება. დღეს გულახდილობა. საქმიან პარტნიორთან სასიკეთო იქნება, შეყვარებულთან კი საზიანო. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონების, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ექსპერტიზისთვის, რესტავრაციისთვის. ეფექტური იქნება კუჭის, ღვიძლის, კანის, მკერდის, ფრჩხილების მოვლა-მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, სიმძიმეების აწევა, გაცვლითი და ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, მალაქიტი, აქატი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 11 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.09 საათზე, ჩადის 17.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.22) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 14.22 საათზე, ჩადის 23.24 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 17.20 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.54 საათიდან 20.32 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მაღალია ილუზიების, ცდუნებების, სიცრუის ალბათობა. ურთიერთობისას სიჯიუტემ შესაძლოა, კონფლიქტი გამოიწვიოს. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის, მკერდის, ფილტვების, მკურნალობა და კანის, ფრჩხილების მოვლა. კარგი დღეა სახლის კეთილმოსაწყობად, მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონების შესაძენად, ექსპერტიზისთვის, რესტავრაციისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, მკვეთრი მოძრაობები, ქორწინება, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, მანუალური თერაპია, ახალი კავშირის დამყარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, საფირონი, აკვამარინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 12 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.10 საათზე, ჩადის 17.24 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 14.58 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 17.35 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს, საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტას, მშობლებსა და შვილებს. ამბიციური ადამიანი შესაძლოა, პრობლემას გადააწყდეს. ძველი გამოცდილება გამოიყენეთ. კარგი დღეა სასურველი სტუმრის მასპინძლობისთვის, საზოგადოებრივნოვატორული საქმიანობისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული სისტემის აპარატურის შესაძენად, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, სამეცნიერო დანიშნულების აპარატურის შესაძენად. ეფექტური იქნება გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი საიდუმლოს გაცდობა, ზედმეტი ლაპარაკი, ფორიაქი, ნერვიულობა, დიდხანს ფეხზე დგომა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 13 ოქტომბერი , კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.11 საათზე, ჩადის 17.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.52) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 15.28 საათზე, ჩადის 14 ოქტომბერს 00.40 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 17.46 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.12 საათიდან 23.56 საათამდე. **ტენდენციები:** დაძაბული და ავარიული დღეა.ურთიერთშეთანხმების გარეშე არ იმოქმედოთ. ინტელექტის, გონებისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში (2 ნოემბრამდე), რაც ადამიანებში გაზრდის ინტუიციას, სიმამაცეს, ნებისყოფას, ორგანიზებულობას, ლიდერულ თვისებებს და ასევე სიჯიუტეს, ეჭვიანობას, სარკაზმს, წყენას, სამაგიეროს გადახდის სურვილსაც. დღეს სიტყვები აკონტროლეთ. კარგი დღეა სამშენებლო სამუშაოებისთვის, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, უძრავი ქონებით ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, ნერვიულობა, ბასრი საგნების გამოყენება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.













### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ჰიპნოზი; 9. სოკო; 11. კალაპოტი; 12. სალტო; 13. მორტირა; 14. ნირო; 15. მურუსიძე; 16. კაცია; 17. ნიაგარა; 18. ტაბუ; 19. ვერონეზე; 23. ძონძი; 24. ჩივაძე; 27. ნაუტილუსი; 28. ლატანია; 30. ნეიმარი; 31. ამირეჯიბი; 36. გორენიე; 39. მაზინა; 42. პრეტორია; 43. ლაერტი; 44. რადამესი; 45. ბარიტონი; 49. ფინალი; 51. მიკადო; 54. დილეტანტი; 55. ლუმიერი; 57. დესპანი; 58. ბატალია; 59. ზანდუკი; 60. ფარატინა.

შვეულად: 1. საყურე; 2. კარუზო; 3. კორიფე; 4. ჰიმენე; 5. პარმალი; 6. ოკინავა; 7. ისაკაძე; 8. პლაცენტა; 9. სონატინა; 10. კარაბადინი; 19. ვანგა; 20. რაული; 21. ნეი; 22. ზიუდი; 24. ჩინი; 25. ვაიდა; 26. ძმარი; 28. ლიგა; 29. ტარზანი; 32. მურწა; 33. რიტმი; 34. ჯორკო; 35. ბეარი; 37. ნარმა; 38. ეპიფიზი; 39. მადლი; 40. ზუმბა; 41. ნესტო; 45. ბედობა; 46. რულეტი; 47. ტიტული; 48. ნინია; 49. ფრუ; 50. ნაიადა; 51. მიდია; 52. კასკა; 53. დრამი; 55. ლიზა; 56. როკი.

**ბოლივარიეტელაგამიასულიკომეტალიანგიომალომი**
**გრაფიკისტადიალოგიკაბალატონიკითარაზოლაჩარი**

ვენესუელის ფულის ერთეული | მწერალი ... ლილიან ვოინიჩი | დაუქორწინებლობა | ა. წერეთლის ლექსი | ლითონი (ზოგად.) | კეთილთვისებიანი სიმსივნე | გარეული ცხოველი

კვამლი | მსუბუქი ჟანრის თეატრი | ცხენის აღჭურვილობის ნაწილი | ქალიშვილი | კუდიანი ვარსკვლავი | ერთად თავმოყრილი ხალხი | სოფელი თუშეთში | მე-3 ნოტი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. შთაგონებით გამოწვეული ძილთან მიახლოებული მდგომარეობა; 9. მცენარე, რომელიც სპორებით მრავლდება; 11. მდინარის სადენის ჩაღრმავება დედამიწაზე; 12. აკრობატული ნახტომი; 13. მოკლელულიანი ქვემეხი ე.წ. კიდული სროლისთვის; 13. ამერიკელი მსახიობი რობერტ დე ...; 15. ქართველი მოსამართლე; 16. ი. ჭავჭავაძე — „... ადამიანი?“ 17. მდინარე და ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 19. აკრძალვა; 19. ვენეციელი ფერმწერი; 23. ძველი ქსოვილის ნაგლეჯი; 24. ქართველი ექსფეხბურთელი; 27. კაპიტანი ნემოს ხომალდი (ლიტ.); 28. ოთახის პალმა; 30. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 31. ქართველი მწერალი; 36. სლოვენიური ტექნიკის ფირმა; 39. იტალიელი მსახიობი ქალი; 42. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 43. ჰამლეტის მეგობარი; 44. აიდას სატრფო; 45. კაცის სასიმღერო ხმა; 49. სპორტული შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი; 51. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 54. ზერელედ მცოდნე, მოყვარული; 55. კინოს გამომგონებელი; 57. ელჩი; 58. ბრძოლა (წიგნ.); 59. სკივრი; 60. ქალალდის ნაგლეჯი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ყურის სამკაული; 2. იტალიელი მომღერალი; 3. კორდებალეტის მთავარი მსახიობი; 4. ქორწინების ბერძნ. ღმერთი; 5. დერეფანი, აივანი; 6. იაპონიის კუნძული; 7. ქართველი მევიოლინე ქალი; 8. ორსული ქალის ორგანო, მომყოლი; 9. პატარა სონატა; 10. ძველი სამკურნალო წიგნი; 19. ბულგარელი ნათელმხილველი; 20. ესპანელი ფეხბურთელი; 21. ნაპოლეონის მარშალი; 22. სამხრეთი; 24. წოდებულება, ტიტული ძველ რუსეთში; 25. პოლონელი რეჟისორი; 26. დამჟავებული ღვინო; 28. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი; 29. ფილმი ვაისმიულერის მონაწილეობით; 32. თევზის სახეობა; 33. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა; 34. დაბალ სკამად გათლილი მორი; 35. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 37. უხეში მიტკალი; 38. ტვინის ზედა დანამატი — გირჩისებრი ჯირკვალი; 39. კეთილი საქმე; 40. ქართველი მომღერალი მამაკაცი; 41. ცხვირის ნაწილი; 45. ვისიმე იღბლად, წილად; 46. ხვეული ნამცხვარი; 47. წიგნის სათაური; 48. კოლუმბის ხომალდი; 49. მიმართვა ქალისადმი სკანდინავიურ ქვეყნებში; 50. წყლის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 51. წყლის „სანიტარი“ მოლუსკი; 52. რკინის ქუდი; 53. სომხეთის ფულის ერთეული; 55. ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდა, ანუ მონა...; 56. მიმდინარეობა მუსიკაში.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

სამუშაო გეგმა | რისამე განვითარების საფეხური | შინაგანი კანონზომიერება | ტბა უნგრეთში | ძვ. ბერძნ. სიმებიანი საკრავი | ფრანგი მწერალი | ოთხიანი კამათელზე

თავადაზნაურული მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში | კეთილთვისებიანი სიმსივნე | საუბარი ორ პირს შორის | მონური დამოკიდებულება | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | ვატერპასი | მხდალი

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2024 წლის 7 – 13 ოქტომბერი №42 (1560)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


